საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (232)
4 - 10 დეკემბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**დემოკრატიის სახელით ნაწამები საქართველო** 4

## პარა (ფირებული) ფსიქოზი 8



## გადაფხიკე, ბატონო დავით, გა-და-ფკი-კე! 7



## ვინ იბრძვის სირიაში — სააკაშვილის მომზადებული სპეცაგენტები თუ ქართულ-პასპორტიანი ისლამისტები? 4



## საქართველოში უსამართლობის აღდგენა დაიწყო

...რას აკეთებდით ერთი წლის განმავლობაში? რა შეისწავლეთ ან რა გზები დასახეთ?.. 3



**რა სარგებლობა მოაქვს პარაფინს და რა მიიღო საქართველომ პარაფირებით?** 5

**«ხურჩის ინციდენტის» დღეს ზუგდიდში მობილიზებული იყვნენ აშშ-ის საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომლები»** 6

## BIG BROTHER IS WATCHING YOU!




## ძია სემი გითვალ-თვალებს 2

**ძალა პოლიტიკური აღმართის მოსახნავად** 12

**მასხარაშვილის «ისტორიული» პანელი** 14

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით, ხალხი სულაც არ არის ნატოს ენთუზიაზმით შეპყრობილი. ამ ფონზე პოლიტიკოსების მიერ ეს მანტრასავით მრავალჯერ გამეორებული „დეკლარირებულ კურსს დასავლეთისაკენ არ შევცვლით, რადგან ხალხმა ნება გამოხატა 2008 წლის პლებისციტზე“ მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურება.**

# BIG BROTHER IS WATCHING YOU!

## (დიდი ძმა გითვალთვალებს)

**ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე „ფეისბუქზე“ ერთობ საგულისხმო მოსაზრებას აქვეყნებს: „ამ უმრავლესობის დეპუტაციის რა გამკვირვებია, იცით? ჯერ კიდევ სულ ერთი წლის წინ თქვენი 80% ჩემს ტელეფონს ანგრევდა და ჩემს კართან იდგა: არიქა, ბრიუსელში ეგების ერთი შეხვედრა მაინც მოგვიწყო „ევროკავშირის თუნდაც ერთ ჩვეულებრივ ჩინოვნიკთანო“ (ესემესები და მიმოწერა შენახული მაქვს დღემდე), სრული ასი პროცენტი კიდევ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში იჯექით, რადგან არც ერთი სხვა ტელევიზია გვერდით არ გიკარებდათ და... ახლა გახდით მიუწვდომელები და „ძაან მაგრები,“ ტელეობიექტივს რომ სათოფეზე არ ეკარებით და იმ ტელევიზიებში დარბიხართ, რომლებშიც დღემდე ხმამაღლა და გამოთქმით გაგინებენ?“**



**ნატო უაფხაზეთოდ და უცხინვალოდ რა თავში სახლელად მინდა? ჯერ ვინ იღებს საქართველოს ნატოში ან რა ღირს ის ნატო, რომელსაც მის მიმართ ჩემ მიერ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებების ეშინია?!**

ამ მიმართვის ერთ-ერთი ადრესატი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი — ირაკლი ალასანია სწორედ ასე გულმოდგინედ აბარებდა ანგარიშს „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერს“ და იმდენად გაერთო, რომ უცაბედად სკანდალური განცხადება გააკეთა, მაგრამ ქართულმა მედიამ ეს სკანდალი ისე გაატარა ყურს მიღმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ეს რომ სააკაშვილის თავდაცვის რომელიმე მინისტრს ეთქვა, რთული წარმოსადგენი არ არის, რა აჟიოტაჟი მოჰყვებოდა. მით უფრო, რომ ალასანიამ არა სამხედრო საფრთხეებზე ან ქართლის გულში გატარებულ მავთულხლართებზე, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, საზოგადოების განწყობებზე ილაპარაკა. მოდით, თავად მის გამონათქვამებს მივდიოთ:

**„ჩვენ ეროვნული ამოცანის შესრულებისგან ვერაფერი გადაგვახვევინებს, მაგრამ დაგეთანხმებით, რომ არის საფრთხეები და გამოწვევები, განსაკუთრებით მომავალ წელს, როდესაც ჩვენ მივუახლოვდებით სექტემბერს, როდესაც უნდა გაფორმდეს შეთანხმება ევროკავშირთან და ამავე დროს სექტემბერში, იცით, არის დაგეგმილი ნატოს სამიტი, რომელზეც განიხილება კიდევ ერთი დიდი ინსტრუმენტის მიცემა საქართველოსთვის, რომ ჩვენ სრულყოფილი ინტეგრაცია განვახორციელოთ ნატოს სტრუქტურებში.**

**ეს გამოწვევები არ არის ჩემთვის მხოლოდ სამხედრო საფრთხის შემცველი, მე ნაკლებად ვხედავ სამხედრო საფრთხეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს მიმართულებით, მიუხედავად იმისა, ბოლო თვეების განმავლობაში თუ რა ხდებოდა ოკუპაციის ხაზზე, მე უფრო ვხედავ ისეთ გამოწვევებს, რომ ჩვენი მოწინაალმდეგეები შეეცდებიან, იმავე საზოგადოების შიგნით, საქართველოს შიგნით შექმნან ახალი განწყობები კრიტიკული, სკეპტიკური ევროპული ინტეგრაციისკენ. მე მინდა გაგახსენოთ ის ეპიზოდი, როდესაც ავღანეთში ჩვენი გმირი სამხედროები დაიღუპნენ საკუთარი მოვალეობის შესრულების დროს მაისში და გახსოვთ, როგორ მყისიერად ამოქმედდა გარკვეული ძალები და დაიწყეს ამის გამოყენება და კულტივაცია, რათა საზოგადოებაში ანტინატოური, ანტიევროპული განწყობები შეექმნათ. მე ვხედავ სწორედ ასეთ საფრთხეებს მომავალში...“**

„კურიერის“ წამყვანი ჩაეკითხა თავდაცვის მინისტრს: — **ანუ თქვენ თვლით, რომ უფრო შიდა პოლიტიკაში შეიძლება მოხდეს ჩარევა, ვიდრე საგარეოში?..**

**ალასანია: — საზოგადოებრივი განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინაალმდეგეების მხრიდან. ამიტომაც, ძირითადად, ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს და აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო და სპეციალური სტრუქტურები იქნება მობილიზებული, რომ არ დაუშვას არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია“.**

ერთი სიტყვით, **თავდაცვის მინისტრი კონტრდაზვერვას და „სპეციალურ სტრუქტურებს“ გამოიყენებს მათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავს და ნატოს წინააღმდეგ არამცთუ აზრს გამოთქვამს, არამედ გუნებაშიც კი გაივლებს ამას!** მეტიც, ნატოს მოწინააღმდეგეობა პირდაპირ ჩაითვლება რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობად და აქედან რაც გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირში დაბადებულმა თაობამ ძალიან კარგად იცის!

არასოდეს დამიმალავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ სკეპსისი და ამ თემაზე ათეულობით ინტერვიუ, სტატია და ტელე-რადიო გამოსვლა მქონია. ამას ვაკეთებდი სააკაშვილის პრეზიდენტობისას და მის ხელისუფლებასაც კი არ მოსვლია თავში საკუთარი აზრის გამოხატვისთვის ჩემი დევნა. ახლა ამის კონტურები დემოკრატმა და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ირაკლი ალასანიამ ნათლად გამოკვეთა, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ისე გაერთო ახალ ხელისუფლებასთან თაფლობის თვით, რომ აზრადაც არ მოსვლია თავდაცვის მინისტრის გაკრიტიკება. არ ვგულისხმობ ტელე-რადიო კომპანია „ობიექტივს“, რომელმაც იმავე დღეს გაავრცელა ეს აუწონავი დღემაში.

სათაურში გამოტანილი **ფრაზა BIG BROTHER IS WATCHING YOU! (დიდი ძმა გითვალთვალებს!) ჯორჯ ორუელს ეკუთვნის. მის რომანში „1984“ სწორედ ეს ვითარებაა აღწერილი, როცა სახელმწიფო ტოტალურ კონტროლს ახორციელებს მოსახლეობაზე და საგანგებო „აზრების პოლიცია“ აქვს შექმნილი. „აზრით დამნაშავეებს“ სწორედ ეს მაპროფილებელი პოლიცია აპატიმრებს, ხოლო დაკითხვები „სიყვარულის სამინისტროში“ მიმდინარეობს. მიზანი „დიდი ძმის“ მიმართ სიყვარულის** ჩანერგვაა. **თუ ალასანია ამავე მეთოდით აპირებს ნატოს მიმართ სიყვარულის ჩანერგვას, მან, სულ ცოტა, სამინისტრო ან მისი დასახელება უნდა შეცვალოს. ნატო, რომელიც სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა და დღესაც ხელს აფარებს, სავარაუდოდ, არც მოვლენათა ამგვარ განვითარებას შეიმჩნევს.**

ორუელს ეკუთვნის გამონათქვამი: **„თავისუფლება იმის თქმის საშუალებაა, რომ ორჯერ ორი ოთხია. თუ ეს ნებადართულია, დანარჩენი აქედან გამომდინარეობს“.** ირაკლი ალასანია კი მართმევს საშუალებას, ვთქვა, რომ ორჯერ ორი ოთხია. **ნატო უაფხაზეთოდ და უცხინვალოდ რა თავში სახლელად მინდა? ჯერ ვინ იღებს საქართველოს ნატოში ან რა ღირს ის ნატო, რომელსაც მის მიმართ ჩემ მიერ გამოთქმული კრიტიკული შეხედულებების ეშინია?!**

„აზრების“ ახალი მინისტრი, ალბათ, სწორედ იმ „დიდი ძმის“ გასაგონად ლაპარაკობდა, რომელიც გვაკვირდება და ალასანიას თავგამოდებასაც, როგორც ჩანს, სათანადოდ დააფასებს. მართალია, ამ განცხადებას დემოკრატიასთან ახლოს არ ჩაუვლია, მაგრამ რა ბედენაა ეს დემოკრატია, როცა ნატოს კრიტიკაზეა ლაპარაკი! საბჭოთა კავშირშიც ზუსტად ასე იყო: მთავარია, სისტემას არ შეხებოდი და კისერიც გეტეხა!

1969 წელს საბჭოთა დისიდენტმა ანდრეი ამალრიკმა ისტორიულ-პუბლიცისტური ესსე დაწერა, რომელსაც ასე უწოდა: „იარსებებს საბჭოთა კავშირი 1984 წლისთვის?“. ამსტერდამში გამოცემული ამ ნაშრომის გამო ამერიკელებმაც დასცინეს და დისიდენტებმაც, აკადემიკოს სახაროვის თამადობით. მათ არ სჯეროდათ, რომ სსრკ დაინგრეოდა, ხოლო სამშობლოში ამალრიკი 190-1 მუხლით გაასამართლეს: „Распространение заведомо ложных измышлений, порочащих советский государственный и общественный строй“. არადა, რა მუხლია? პირდაპირ სულზე მიუსწრებდა „აზრების“ მინისტრს, რომელიც ნატოს წინაალმდეგ „განწყობების კულტივაციასთან ბრძოლას კონტრდაზვერვისა და მთელი სახელმწიფო და სპეციალური სტრუქტურების“ ხელით აპირებს!

**არ მჯერა ამ ნატოსი და მასში საქართველოს ინტეგრაციის და როგორ მოვიქცე? აღარაფერი ვთქვა და დავწერო? იქნება ამაზე ფიქრიც მეკრძალება? და ისე, ბატონო მინისტრო, ვინ დაგავალათ ჩემი აზრების კონტროლი? თავდაცვას მშველა და ახლა ჩვენი შეხედულებებია მისახედი თუ როგორ?**

ორუელი იმავე „ანტიუტოპიაში“ წერდა: **„თუ შენ უმცირესობაში ხარ ან ერთადერთი ხარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გიჟი ხარ. არის სიმართლე და არის ტყუილი და, თუ შენ სიმართლეს ემხრობი მთელი სამყაროს საპირისპიროდ, გიჟი არ ხარ“.** ანდრეი ამალრიკი სულ რაღაც შვიდი წლით შეცდა. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაინგრა. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ადამიანი აღმოჩნდა მართალი უმრავლესობის წინააღმდეგ.

თუმცა ვინ არის უმცირესობაში, კიდევ საკითხავია. **პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით, ხალხი სულაც არ არის ნატოს ენთუზიაზმით შეპყრობილი. ამ ფონზე პოლიტიკოსების მიერ ეს მანტრასავით მრავალჯერ გამეორებული „დეკლარირებულ კურსს დასავლეთისაკენ არ შევცვლით, რადგან ხალხმა ნება გამოხატა 2008 წლის პლებისციტზე“ მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურება.** ყველა თანხმდება, რომ 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა და ამავე მიზეზით ნატოს პლებისციტის ციფრებიც ნდობას აღარ იწვევს.

**საზოგადოების განწყობა აშკარად არ ემთხვევა მედასავლეთე პოლიტიკური ელიტის განწყობებს და აქ გარეშე ხელის ძებნას მიზეზებზე დაფიქრება სჯობს.** ყველაზე საინტერესო კი მაინც ის არის, რომ ერთი წლის წინ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ახალი ხელისუფლება „ნაციონალების“ **დაჭერას ვერ ბედავს და იმათ ემუქრება, ვინც ნატოზე არ ლოცულობს!**

მართალია, ნატო არ მხიბლავს, მაგრამ სამშობლო მიყვარს და კონტრდაზვერვას ნამდვილად ვერ მოვაცდენ. მას გაცილებით მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს შესასრულებელი, ამიტომ თავადვე გატყობინებთ, რომ დეკემბერში ნატოს შესახებ კრიტიკული მოხსენების პრეზენტაციას ვგეგმავ და გეპატიჟებით, თუ ეს ერეტიკოსობაში არ ჩაგეთვლებათ. ვაპირებ ქართველი და რუსი ახალგაზრდა ლიდერების სკოლის გახსნას, რეგულარულად ვატარებ სემინარებს და კონფერენციებს, რომლებიც „საზოგადოებრივი განწყობის კულტივაციას“ კი არ ისახავს მიზნად, არამედ იმაში გარკვევას, თუ საით მიდის საქართველო და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა გავამთლიანოთ.

ჯარში გახშირებული თვითმკვლელობების გამო ერთხელ ირაკლი ალასანიამ განაცხადა: **„როცა ადამიანს ანდობ იარაღს, როცა მას ანდობ შენი ქვეყნის ბედს, ბუნებრივია, საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს ამ ადამიანის ფსიქიკა — ეს მორღვეული იყო და სწორდება. ამავე დროს, ეს პროგრამა შეეხება იმ ბიჭებს, რომლებიც საერთაშორისო მისიებიდან ბრუნდებიან: მათ სტრესულ გარემოში უწევთ სამსახური, თანაც — მათთვის არაბუნებრივ გარემოში, ქვეყნის გარეთ, ამიტომ სჭირდებათ სერიოზული სარეაბილიტაციო კურსი. სწორედ ამიტომ შევქმენით სერიოზული სარეაბილიტაციო პროგრამა“.**

**ბატონო ირაკლი, პოლიტიკოსებით დაიწყეთ: ისინი ქვეყნის ბედს წყვეტენ და აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის მაგალითმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონე პირების ფსიქიკა მართლაც საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს.** ისე კი, მართლაც საინტერესოა, „ქვეყნის გარეთ, არაბუნებრივ და სტრესულ გარემოში სამსახური“, რომელსაც სერიოზული სარეაბილიტაციო კურსი სჭირდება, რა სარგებელს აძლევს 20 პროცენტით შემცირებულ საქართველოს?

ცნობისთვის: საზოგადოების განწყობებს სწორედ ეს პასუხგაუცემელი კითხვები ბადებს და არა გარე ფაქტორი.

**სიყვარულით,**

**ყოფილი სახალხო დამცველი,**
**ორი მოწვევის პარლამენტის წევრი,**
**თბილისის საკრებულოს ყოფილი მდივანი,**
**ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე,**
**ჟურნალისტი,**
**ნატოს მოწინააღმდეგე,**
**საქართველოს პატრიოტი,**
**მართლმადიდებელი,**
**„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი**
**ნანა დევდარიანი**

**არ იქნება სამართლიანობა, — არ იქნება მშვიდობა; მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის და ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის არაფორმალური გარანტიების შესაძლო მიცემის საკითხები ორი უმნიშვნელოვანესი ტესტის როლს შეასრულებს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიბრიყვე თუ ღალატი? ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ სულ უფრო შორდება თავის წინასაარჩევნო დაპირებებს და, შესაბამისად, ამომრჩეველს და, თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში ხელისუფლებისა და საზოგადოების ტრადიციად ქცეული დაპირისპირების, „ცივი სამოქალაქო ომის“ მორიგი რაუნდი დაიწყება. ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულად, სამამულო პოლიტიკური ფსიქიატრიის საუკეთესო ტრადიციებში აურია, მაგრამ, ალბათ, არც საზოგადოებაა უმწიკვლო — როდესაც ის დათანხმდა ფაქტობრივ „მორატორიუმს მთავრობის კრიტიკაზე“, სავარაუდოდ, უმძიმესი შეცდომა დაუშვა, რომლის შედეგებს დღეს ვიმკით.**

# საქართველოში უსამართლობის აღდგენა დაიწყო

**„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ კანონპროექტი, უკვე რამდენიმე თვეა, მზადაა. მას რეალურად არაფერი სჭირდება გარდა იმისა, რომ გაეგზავნოს პარლამენტს. ჩვენ კანონპროექტი მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე გავიტანეთ. კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება. ამის მიუხედავად, მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილადაა გასათვლელი ის შედეგები, რომლებიც შესაძლოა, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუკი ადამიანი გამართლებულად იქნება მიჩნეული, მას უკვე გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, რისთვისაც დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩაითვალა, რომ ეს ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა თავისთავად იდეა უარყოფილი არ ყოფილა“**, — განაცხადა გასულ კვირას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებას ვულკანის ამოფრქვევის მსგავსი ნეგატიური ემოციური რეაქცია მოჰყვა, ალბათ, აჯობებს, მსჯელობა მშვიდად, ერთი მოსაწყენი დოკუმენტის ციტირებით დავიწყოთ, რომელსაც განხილულ თემასთან პირდაპირი თუ არა, ირიბი კავშირი მაინც აქვს.

საქართველოს მთავრობის საიტზე გამოქვეყნებულია ორი დოკუმენტი: 2012 წლის 19 ნოემბრით დათარიღებული სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ და 2013 წლის 20 ნოემბრის სამთავრობო პროგრამა ამავე პათეტიკური სახელწოდებით. პირველ, ივანიშვილის პრემიერობის დროინდელ დოკუმენტში ვკითხულობთ: **„შესწავლილ იქნება საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება და დაისახება მისი გამოსწორების გზები, ქვეყნის რეალური ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით; ასევე შესწავლილ იქნება საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და მექანიზმები და დაისახება მისი აღმოფხვრის გზები“.** გავიდა ერთი წელი და 2013 წლის სამთავრობო პროგრამაში ჩვენ ვკითხულობთ: **„შესწავლილი იქნება საკუთრების უფლებების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება და დაისახება მისი გამოსწორების გზები; ასევე შესწავლილი იქნება საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და მექანიზმები და დაისახება მისი აღმოფხვრის გზები“.** ცხადია, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს შეიძლება ბუნებრივად დაებადოს კითხვა: **„ᲗᲥᲕᲔ (ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ) ᲝᲯᲐᲮᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲝ, ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ? ᲠᲐ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲗ?“.** არა, რა თქმა უნდა, ცვლილებები სახეზეა, მაგალითად, სიტყვა „შესწავლილ“-ს დაემატა ასო „ი“ (!), ამასთანავე, ტექსტიდან ამოვარდა ფორმულირება „ქვეყნის რეალური ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით“, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, არ უნდა გავიგოთ როგორც „ყოველ მიზეზ გარეშე“, წინააღმდეგ შემთხვევაში წულუკიანი არ ისაუბრებდა რალაც „ფრთხილად გასათვლელ შედეგებზე“ და იმაზე, რომ „ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის“ (არ არის მზად მდგომარეობა და რა ვუყოთ?!).

რაც მთავარია, **პროცესის ფაქტობრივი შეჩერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „გზის დასახვა“ და წინსვლა (ან თუნდაც უკუსვლა) ამ გზაზე.** მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც მთავრობა დღეს აკეთებს — **კომპენსაციების პრობლემა (როგორც ღუზა გემს) სამართლიანობის აღდგენის გაცილებით მასშტაბურ და მნიშვნელოვან პროცესს მკვდარი წერტილიდან დაძვრის შესაძლებლობას არ აძლევს. მათი მჭიდრო დაკავშირება ერთმანეთთან პოლიტიკური საბოტაჟის აქტს მაგონებს.**

არაერთ ადამიანს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალდა, მატერიალური კომპენსაცია საერთოდ არ აინტერესებს; მათთვის მთავარი უსამართლო განაჩენის გადახედვაა. ამასთანავე, არავინ უკრძალავს მთავრობას, მოამზადოს საგანგებო საკანონმდებლო ცვილებები და კომპენსაციების გაცემის წესი ეტაპობრივი, დროში გაწელილი გახადოს; ეს კომპრომისი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, სავარაუდოდ, მისაღები იქნება. მაგრამ **მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის ფაქტობრივი დაბლოკვა პატიოსან პოლიტიკად ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება. საინტერესოა, რა მოტივი აიძულებს ხელისუფლებას, უგულებელყოს საკუთარი წინასაარჩევნო დაპირებები, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები და თავის ამომრჩევლებს დაუპირისპირდეს?**



არავინ კამათობს იმაზე, რომ სახელმწიფოს გაუჭირდება საკუთარ თავზე თუნდაც მინიმალური საკომპენსაციო ვალდებულებების აღება; ამასთანავე, წართმეული საკუთრების დაბრუნება იმ შემთხვევაში, როდესაც მან რამდენიმე მფლობელი გამოიცვალა (ფორმალურად სრულიად უდანაშაულო; არადა, მათმა უმრავლესობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ბინძურ საქმეში მონაწილეობდა), იურიდიული თვალსაზრისით, ძალზე რთულია. არაერთმა კომენტატორმა არაერთგზის აღნიშნა, რომ **ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ** (ნაწილობრივ მაინც) **ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲣᲫᲠᲐᲕ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. როგორც ჩანს, პრობლემის გადაწყვეტა ისევ დაზარალებული, გაუბედურებული ხალხის ხარჯზე მოხდება. სიბრიყვე თუ ღალატი? — რაც უფრო ხშირად დავსვამთ ამ კითხვას, მით უკეთესი.**

ამ საეჭვო მანევრების პარალელურად, გრძელდება მანიპულირება საზოგადოებრივი აზრით, რომლის მიზანს, სავარაუდოდ, ძველი რეჟიმის თავკაცებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნა წარმოადგენს. ჟურნალ „გზისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა: **„სააკაშვილის დაპატიმრება არ შედის საქართველოს ინტერესებში. სააკაშვილის დაპატიმრება შედის ერთი ძალის ინტერესებში, რომელმაც არჩევნებში მიიღო 10 პროცენტი. სააკაშვილი არის ჩვენი წარსული. ილია ჭავჭავაძემ თქვა, მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი და ვიფიქროთ მომავალზეო. ჩვენს მომავალში არის ევროკავშირი, რომელიც გვეუბნება, არ დააპატიმროთო. თუ არ გვინდა და ჯინაზე ვართ, კი, ბატონო, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა ასე შეუძლებელია“.** შესაძლოა, ლევან ბერძენიშვილმა არ იცის, რომ მოქალაქეების დაპატიმრება არა ინტერესებიდან, არამედ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხდება, თუმცა ეს მისი პრობლემაა, მთავარი აქ სხვა მონაკვეთია — „ევროკავშირი, რომელიც გვეუბნება, არ დააპატიმროთო“. **ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ (ᲐᲜ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ) ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲘ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ.** აქედან გამომდინარე, გვაქვს ორად-ორი ვერსია: ა) ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლები ამას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს საიდუმლოდ, სხვადასხვა ფორმატის მოლაპარაკებების დროს ეუბნებიან; ბ) ლევან ბერძენიშვილი უტიფრად ტყუის.

პრობლემა ისაა, რომ მოლაპარაკება ამ საკითხზე (თუ მას ადგილი ნამდვილად აქვს) არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკის ან დიპლომატიის ნაწილი, ის გაცილებით ახლოს დანაშაულთან დგას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლის თანახმად, **„უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენლებთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.** სს კოდექსში არის 319-ე მუხლიც — **„უცხო ქვეყნებისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის დახმარება ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ხელყოფა...“ (7-დან-15 წლამდე).** სუვერენიტეტის შეზღუდვა დროებით გვერდზე გადავდოთ. ანტიკონსტიტუციურია თუ არა მოთხოვნა „არ დააპატიმროთ სააკაშვილი“, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპს? **ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-14 ᲛᲣᲮᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲬᲔᲠᲘᲐ „ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ“. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ** და, თუ ლევან ბერძენიშვილი ფლობს ინფორმაციას მსგავსი საუბრების შესახებ, ის, სავარაუდოდ, ვალდებულია, შესაბამის ორგანოებს ამის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს ან, როგორც მინიმუმი, საჯარო განცხადება გააკეთოს (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოლაპარაკებებს აწარმოებენ მისი თანაპარტიელები პარლამენტის ხელმძღვანელობიდან). ხოლო თუ ის „ბ-ვერსიის“ ფარგლებში ცრუობს, ალბათ, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს უნდა ვკითხოთ, რამდენად ნორმალურია, რომ ეს ადამიანი მათ პარლამენტში წარმოადგენს.

**ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲘᲡ ᲨᲔᲥᲪᲔᲕᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ** (და, სხვათა შორის, არსებითად ანტიევროპული, თუმცა ეს ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია), სივრცე ინტერპეტაციისთვის ან პოლიტიკური მანევრებისთვის ამ შემთხვევაში, უბრალოდ, არ არსებობს. რა იყო სააკაშვილის რეჟიმის მთავარი დანაშაული, თუ არა კანონის დაქვემდებარება პოლიტიკური კონიუნქტურის მიმართ? თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ახალი ხელისუფლება ამავე გზას დაადგა (და ლევან ბერძენიშვილის განცხადება, ამ მხრივ, ალბათ, ძალზე საგანგაშო სიგნალია), მისი გონზე მოყვანა მოგვიწევს, თანაც სწრაფად და რადიკალური ზომების გამოყენებით, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, თუ რით შეიძლება დაგვირგვინდეს მსგავსი პოლიტიკა.

**ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ, — ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ; ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲝᲠᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. თუ ახალი ხელისუფლება გამოცდას ვერ ჩააბარებს, ადგილობრივ არჩევნებზე, სავარაუდოდ, საგრძნობ მარცხს განიცდის და ახალ „ქუჩის ოპოზიციასაც“ გაეცნობა. მაგრამ ამ მძიმე ტაქტიკურ შედეგებს ადგილი რომც არ ჰქონდეს, მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან მნიშვნელოვნად გაუარესდება, თანდათან დაპირისპირების ხასიათს შეიძენს და 2012 წლის 1 ოქტომბერს კარგად დაწყებული ისტორია ძალიან ცუდად დასრულდება, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებისთვის.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა ქვეყანაში სპეცსამსახურები იმისთვის არიან, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე რეაგირება მოახდინონ, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, ქართულ პასპორტებიანი მებრძოლები ისეთ კონფლიქტში აღარ უნდა აღმოჩნდნენ ჩართულნი, რომელიც ჩვენთვის მისაღები არ არის.“**

# ვინ იბრძვის სირიაში — სააკაშვილის მომზადებული სპეცაგენტები თუ ქართულპასპორტიანი ისლამისტები?

**საქართველოში მცხოვრები ჩეჩნები სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეობენ. ამის შესახებ ინფორმაციები 19 ნოემბერს ერთდროულად „უოლ სტრიტ ჯორნალში“ და „ბი-ბი-სის“ ინტერნეტ-გვერდებზე გაჩნდა. მათში საუბარია პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქართველებზე, მათ შორის, ვინმე თახრან ბათირაშვილზე, რომელიც, „უოლ სტრიტ ჯორნალის“ სტატიის ავტორის — ალან კულისონის განმარტებით, სირიის ოპოზიციური ძალების რამდენიმე სამხედრო წარმატების უკან დგას. „ის წარმოშობით ჩეჩენია და სამხედრო წვრთნა შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებულ საქართველოს არმიაში გაიარა,“ — ნათქვამია მასალაში.**

მურად ბატალ ალ-შიშანი, „ბიბისი“-ში გამოქვეყნებული წერილის ავტორი ერთ-ერთ წყაროდ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ყოფილ თანამშრომელს, ვინმე გიორგის ასახელებს, რომელიც პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩნებთან მუშაობდა. ავტორის თქმით, ხეობაში ამჟამად 15 ათასი ყველასგან მივიწყებული ჩეჩენი ცხოვრობს. სწორედ იქიდანაა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მეომარი ომარ შიშანი, რომელიც სამხედრო დაჯგუფება „ალ-მუჰაჯირინ ვა ალ-ანსარის“ ლიდერია. ეს სახელწოდება ითარგმნება, როგორც ემიგრანტთა და დამხმარეთა არმია. დაჯგუფება „ალ ქაიდასთან“ ალიანსში მყოფი ჯიჰადისტების ერთობად ითვლება.

ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბევრი კომენტარი გაკეთდა და ყველა თანხმდება, რომ ეს ცუდი ფაქტია.

„საქართველო და მსოფლიო“ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე გენერალს დაუკავშირდა. მათ ეჭვი აქვთ, რომ სირიაში ამბოხებულების მხარეს საქართველოს ის მოქალაქეები იბრძვიან, რომელთაც მოქალაქეობა ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიანიჭა.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ ერთი ძველი ანეგდოტი გამახსენდა (თუმცა ფაქტი სასაცილო სულაც არ არის), კამიკაძე იმერელი რომ ეგონა მოხუც ბებიას. სააკაშვილის მიერ მოქალაქეობაჩამორიგებული ადამიანების წყალობით, დღეს მართლაც ვდგავართ ისეთი რეალობის წინაშე, რომ ჩიკაგოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, „ცათამბჯენოზავრად“ წოდებული შენობა ქართულპასპორტიანმა კაცმა ააფეთქოს, და ეს ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს. სააკაშვილმა წასვლის წინ კიდევ ერთი და სამარცხვინო სიურპრიზი დაგვიტოვა.



კობა კობალაძე:

**კობა კობალაძე, „გენერალთა კლუბის“ პრეზიდენტი:**

— ბოლო დროს ყოფილმა პრეზიდენტმა იმდენ ადამიანს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რომ **დაზღვეულები არაფრისგან ვართ. არ გამოვრიცხავ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში აღმოჩნდნენ ადამიანები ქართული პასპორტებით.**

**— სააკაშვილის მიერ ბოლო დროს უკანონოდ გაცემულ პასპორტებს გულისხმობთ?**

— არ ვიცი, ეს კანონიერი იყო თუ არა. ის ქვეყნის პრეზიდენტი იყო და რამდენად პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საკითხს, არ ვიცი. მისი ქმედების კანონიერებაზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ გამართლებულია თუ არა მისი ქმედება, ეს საკამათოა.

არსებობს ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელიც სირიაში ამა თუ იმ მხარეს თანაუგრძნობს, შესაბამისად, მოძრაობაც თავისუფალია. საზღვარს ვერავისთვის ჩაკეტავ, შუბლზეც არავის აწერია, თუ რა განზრახვა აქვს ან ვის მხარეს დადგება. მოკლედ, არ გამოვრიცხავ არაფერს, რადგან შეუძლებელი არაფერია.

## დაზღვეულები არაფრისგან ვართ. არ გამოვრიცხავ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში აღმოჩნდნენ ადამიანები ქართული პასპორტებით

**— როდესაც აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები, ძალიან ვბრაზობდით...**

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის ფაქტი არ განმეორდება. **ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფოს პოზიცია არ არის ისეთი, ვინმეს მოუწოდოს, დაქირავებულ მებრძოლად უცხო ქვეყანაში წავიდეს.** აფხაზეთის მოვლენების დროს სხვა რეალობა იყო.



აკია ბარბაქაძე:

**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი:**

— დამიჯერეთ, რომ იქ საქართველოს მოქალაქეები არ იბრძვიან. თუ სირიაში საქართველოს მოქალაქის სახელით ვინმე იბრძვის, ის ჩეჩნები იქნებიან ისინი, რომელთაც სააკაშვილმა მოქალაქეობა მისცა. ქართველებს ჩვენი იმდენი პრობლემა გვაქვს და იმდენი მიწები გვაქვს დასაბრუნებელი, სხვისი პრობლემებისთვის ნამდვილად არ გვცალია. **ადამიანები, რომლებიც დღეს სირიაში საქართველოს პასპორტებით არიან, ყველანი სააკაშვილის მიერ მომზადებული სპეცაგენტები და სირიაში ოპერაციების ჩასატარებლად გაგზავნილები არიან.**

**— სახელმწიფომ ასეთ დროს რაიმე აღმკვეთი ღონისძიება უნდა გაატაროს თუ არა?**

— რა თქმა უნდა, ქვეყანამ ასეთ დროს აუცილებლად უნდა მიიღოს ზომები, რადგან ეს ჩვენს სახელზე უარყოფითად იმოქმედებს. **ზომების მიღება კი იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილით, ვაშაძით, უნდა დაიწყოს, სწორედ ის აყალბებდა საბუთებს და არა მარტო ჩეჩნებს, ბევრ სხვა დაქირავებულ ბოევიკს საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებდა და სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდა, ეს მარტო სირიაში არ ხდება, ხდება ირანშიც.** დღევანდელი მთავრობა ვალდებულია, რეაგირება მოახდინოს. აუცილებლად უნდა დაიწყონ მოკვლევა, თუ ვინ არიან ეს ადამიანები და რა მოტივი ამოძრავებთ სირიაში. კიდევ ვიმეორებ: ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში იბრძვიან, სპეცაგენტები არიან, მათ ეს დავალებული აქვთ.





ტრისტან წითელაშვილი:

## არამარტო ჩეჩნებს, ბევრ სხვა დაქირავებულ ბოევიკს საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებდნენ და სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდნენ

**აკია ბარბაქაძე, პოლკოვნიკი, სამხედრო ექსპერტი:**

— მომხდარი ფაქტი მასობრივი ხასიათისა არ არის, ამიტომ ამ ეტაპზე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. დასახელდა სამი, წარმოშობით ჩეჩენი ადამიანის სახელი, ისინი, გასაგებია, ვის ინტერესებსაც იცავენ. მთავარია, რომ სახელმწიფო პროგრამიდან არავინ არის, იქ არ არიან ჩვენი ჯარისკაცები — არც ყოფილი და არც მოქმედი.

**— ზოგიერთ სამხედრო პირს ეჭვი აქვს, რომ ისინი ყოფილი ხელისუფლების მომზადებული სპეცდანიშნულების რაზმებს წარმოადგენენ. ასევე, არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და კეზერაშვილი სირიაში ამბოხებულებზე იარაღსაც კი ყიდდნენ...**

— ეს ყველაფერი ვიცი და გასაგებია, მაგრამ ჯერ დამტკიცებული არ არის, ამიტომ ბეჭედს ვერ დავუსვამთ იმას, რომ ადამიანები, რომლებიც იქ იბრძვიან სააკაშვილის მთავრობის მომზადებული და გაგზავნილია. ყველაზე სწორი ვერსიაა — ისინი არიან ისლამისტები და იქ მხოლოდ რელიგიური ნიშნით იმყოფებიან. ამ ფაქტს აუცილებლად სჭირდება სპეციალური გამოძიება. სახელმწიფომ, უშიშროების სპეცსამსახურებმა მოკვლევა უნდა ჩაატარონ, გაარკვიონ, ვინ არიან ეს ადამიანები, და თუ რაიმე კვალი აღმოჩნდა, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს მომზადებულები არიან, ან თუნდაც ის, რომ დასახელებულთაგან რომელიმეს სააკაშვილის მიერ მინიჭებული მოქალაქეობა აქვს, მაშინ ძალიან სერიოზული ზომებია მისაღები.

## ისინი არიან ისლამისტები და იქ მხოლოდ რელიგიური ნიშნით იმყოფებიან. ამ ფაქტს აუცილებლად სჭირდება სპეციალური გამოძიება

**ყველა ქვეყანაში სპეცსამსახურები იმისთვის არიან, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე რეაგირება მოახდინონ, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს, ქართულ პასპორტებიანი მებრძოლები ისეთ კონფლიქტში აღარ უნდა აღმოჩნდნენ ჩართულნი, რომელიც ჩვენთვის მისაღები არ არის.**

**ვაჟა ჩომახიძე, პოლკოვნიკი:**

— ძალიან სამარცხვინო ფაქტია. აუცილებელია რეაგირება. არ ვიცი, საქართველოს მთავრობას აქვს თუ არა რაიმე კანონი, რომლითაც ასეთი ქმედება აღიკვეთება; თუ აქვთ, ალბათ, გამოიყენებენ, მაგრამ, თუ არ აქვთ, მაშინ უნდა იფიქრონ, რომ კანონში ცვლილებები შეიტანონ.

**თუ ნამდვილად დასტურდება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეები სირიაში იბრძვიან, ასეთი ქმედება ჩვენს ავტორიტეტს საკმაოდ დიდ ზიანს მიაყენებს და სახელმწიფომ სერიოზული ღონისძიებები უნდა გაატაროს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„ევროკავშირს აქვს სერიოზული ფინანსური პრობლემები, ამიტომ იქ ბევრი რამ შეიცვალა. ეს უკვე აღარ არის ის ოჯახი, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სხვა სახელმწიფოსთვის. ამდენად, თუ ვინმეს მოლოდინი უჩნდება, რომ როგორც კი შევალთ იქ, საქართველო ელვის სისწრაფით განვითარდება, ეს ნამდვილად მცდარი წარმოდგენაა.“**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა სარგებლობა მოაქვს პარაფინს და რა მიიღო საქართველომ პარაფირებით?

**პარაფინის სასარგებლო თვისებებზე, ალბათ, ისედაც ბევრი გსმენიათ, ამიტომ საუბრით, რა სარგებლობა მოაქვს პარაფინს, თავს არ შეგაწყენთ. სამაგიეროდ გაუგებარია, რა სარგებლობა მოაქვს საქართველოსთვის ვილნიუსის ყბადაღებულ პარაფირებას, რომელსაც წინა კვირას მთელი ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ხზოს აღტაცებით შეხვდა. მოკლედ, თუ არ ჩავთვლით იმ დადებით ემოციას, რომლის გამოც ქალბატონ ფანჯიკიძეს დოკუმენტზე ხელის მოწერის დროს სიხარულის ცრემლები წასკდა, სარგებელზე ლაპარაკიც ზედმეტია. მეტიც, დასავლეთის ფსევდოლიბერალური ელემენტები აქამდე თუ ლუპით გვიყურებდნენ, ახლა მიკროსკოპით დაგვაკვირდებიან და ათასგვერდიან შეთანხმებაში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებას მკაცრ ზედამხედველობას გაუწევენ... ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივებსა და მის ავკარგიანობაში გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე კომპეტენტურ პირს დაუკავშირდა და აზრის გამოთქმა სთხოვა.**



ვალერიან დოლიძე:

**ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს საკუთარ ხალხს და უნდა განუმარტოს, რა არჩევანზეა საუბარი, რა გვინდა და საით მივდივართ**

**ვალერიან დოლიძე, პროფესორი:**

— დავიწყოთ იმით, რომ თვითონ ევროკავშირში არიან წარმატებული და წარუმატებელი სახელმწიფოები. მაგალითად, წარმატებულია გერმანია, რომელიც, ფაქტობრივად, ევროპის ეკონომიკურ ძრავს წარმოადგენს, და წარუმატებელია, ვთქვათ, საბერძნეთი; ან თუნდაც გავიხსენოთ უნგრეთის შემთხვევა, თავის დროზე, როცა ისინი ევროგაერთიანებაში შედიოდნენ, ჰქონდათ ძალიან დიდი მოლოდინი, რომ ქვეყანა ისარგებლებდა 500-მილიონიანი ბაზრით და განვითარდებოდა, მაგრამ სულ სხვა რეალობა დახვდათ. ახლა უკვე უნგრეთში მძიმე მდგომარეობაა: საკმაოდ მაღალია უმუშევრობა, რეგრესს განიცდის სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მთლიანად გაუარესდა სოციალური ფონი. რაც შეეხება საბერძნეთს, თქვენ იცით, რომ იქ პრაქტიკულად ეკონომიკური კოლაფსია. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ის ქვეყნები, რომლებიც სარგებლობას ნახულობენ ევროკავშირში შესვლით, არიან სახელმწიფოები, რომლებიც უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდნენ...

**— მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ფართოვდება.**

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. აგერ უკვე ინგლისელები რეფერენდუმზე საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, დარჩნენ თუ არა ამ გაერთიანებაში. გარდა ამისა, დღესდღეობით **ევროკავშირს აქვს სერიოზული ფინანსური პრობლემები, ამიტომ იქ ბევრი რამ შეიცვალა. ეს უკვე აღარ არის ის ოჯახი, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია სხვა სახელმწიფოსთვის. ამდენად, თუ ვინმეს მოლოდინი უჩნდება, რომ როგორც კი შევალთ იქ, საქართველო ელვის სისწრაფით განვითარდება, ეს ნამდვილად მცდარი წარმოდგენაა.**

**— თქვენ დასაწყისში 500-მილიონიანი ბაზარი ახსენეთ, თუკი საქართველო ამხელა სივრცეში დაუბრკოლებლად შეძლებს პროდუქციის გატანას, ის მნიშვნელოვნად არ განავითარებს ეკონომიკას?**

— გასაღების ბაზარი, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იქ რომ შეხვიდე და კონკურენციას გაუძლო, პირველ რიგში, მათ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გინდ გაგვიხსნია ეს კარი და გინდ არა. ახლა გეკითხებით: **არის საქართველო დღეს მზად ევროპული სტანდარტებისთვის? იქამდე რომ მიხვიდე, ჯერ ბევრი ეტაპი უნდა გაიარო, უწინარესად, უნდა მოხდეს ეკონომიკის მოდერნიზაცია. აი, სწორედ ამისთვის მოითხოვა უკრაინამ დიდი თანხები, მაგრამ თვითონ ევროკავშირს არ აღმოაჩნდა ამხელა ფინანსები; ეს არის კიდევ ერთი ნათელი იმისა, რომ ისინი არ არიან მზად გაფართოებისთვის.** ასე რომ, კიდევ ვიმეორებ: საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ილუზია...

**— თუკი ევროგაერთიანებას ჩვენთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიმზიდველობა არ გააჩნია, რატომ არის პოლიტიკური სპექტრი მუდმივად ორიენტირებული სწორედ ამ კავშირზე და რატომ გვესმის გამუდმებით საუბარი იმაზე, რომ ესაა ჩვენი ისტორიული არჩევანი?**

— პოლიტიკური სუბიექტები ყოველთვის მოქმედებენ პოლიტიკური ინტერესებით და მოვლენებს უყურებენ იმ ჭრილიდან, რომელსაც განაპირობებს არსებული კონიუნქტურა. რაც შეეხება ისტორიულ არჩევანს, როცა ასეთი განცხადებები კეთდება, **ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს საკუთარ ხალხს და უნდა განუმარტოს, რა არჩევანზეა საუბარი, რა გვინდა და საით მივდივართ. საქართველოში ამ ყველაფრის განხილვაც არ მომხდარა, ის კი არა, გეგონება, ასაიდუმლოებენ პროცესებს.** ასე კი, უბრალოდ, შეუძლებელია გაანალიზება, რას მოგვიტანს ეს ინტეგრაცია, რას მოვიგებთ და რას დავკარგავთ.

**— სახელისუფლო პროპაგანდას თუ დავუჯერებთ, ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოსთვის უამრავი დადებითი ასპექტი აქვს. მათ შორის, ერთ-ერთია უვიზო მიმოსვლა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ევროპის კარს გაუღებს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ამით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება საქართველო არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ დემოგრაფიული თვალსაზრისითაც. თქვენ წარმოიდგინეთ, დღეს, როცა ევროკავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში წასვლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ხალხი მაინც ასეთი მაღალი ინტენსივობით გადის ქვეყნიდან და, სავიზო ბარიერი რომ მოიხსნება, საერთოდ ქართველი აღარ დარჩება აქ. მერე უკან რამდენი დაბრუნდება, ესეც საკითხავია. ასე რომ, თავისუფალი მიმოსვლა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ: **თუკი შენი ეკონომიკა არ არის მზად, ფეხი აუწყოს იმ სტანდარტებს, თუკი ქვეყანაში სოციალური სიდუხჭირეა, ევროინტეგრაცია ერთმნიშვნელოვნად დადებით შედეგს კი არ მოგიტანს, შეიძლება საერთოდ დამანგრეველი აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის.**

**— დასასრულ, რაც შეეხება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობას, გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს და ამ პროცესის შესაფერხებლად შეეცდება, ყველა ღონე იხმაროს. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ყველაფერი?**

— ჩვენ ყველა ჩვენი გადაწყვეტილება, უწინარესად, უნდა შევაფასოთ იმის მიხედვით, რამდენად შეუწყობს ის ხელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ამ თვალსაზრისით ეს ევროინტეგრაცია უპერსპექტივოა, ამიტომ მე საკითხს ასე დავაყენებ: **თუკი კონფლიქტების მოგვარების კუთხით ამ დასავლურ გაერთიანებაში შესვლა არაფერს გვაძლევს, პირიქით, სამუდამოდ გვაკარგვინებს ორ რეგიონს, გვჭირდება მაშინ ის რეალურად?! ვფიქრობ, სახელმწიფო ყველა გადაწყვეტილებას საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით უნდა იღებდეს.** აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოს მხრიდან სწრაფვა იმ მიმართულებით, სადაც არც არაფერს გთავაზობენ და არც არავინ გეპატიჟება, სხვა არაფერია, თუ არა უსარგებლო, ფუჭი პოლიტიკა, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, თავისი არსით არის ანტისახელმწიფოებრივი.



ელიზბარ ჯაველიძე:

**ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელმაც, ამერიკის კარნახით, განადგურებამდე მიიყვანა ჩვენი ერი**

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— ვილნიუსის სამიტზე და მის შედეგებზე კონკრეტულად შეიძლება ვისაუბროთ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ის ათასგვერდიანი შეთანხმება. თუმცა ეჭვი მეპარება, მასში ჩვენთვის რამე კარგი და სასიკეთო ეწეროს.

**— რას გულისხმობთ?**

— ეს დოკუმენტი რომ სიკეთის მომასწავებელი იყოს საქართველოსთვის, მაშინ ისინი გაახმიანებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მალავენ მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მთლიანად გადააგვარებს ქართველ ერს. **მიზანი ამ ძალებისა ზუსტად ეს არის — საქართველო უნდა დაიშალოს, დაქუცმაცდეს და გაქრეს მსოფლიო რუკიდან; ამიტომ, ვინც ასეთი ხზოს აღტაცებით შეხვდა ამ შეთანხმების პარაფირებას, მე იმის ქართველობაში ძალიან მეპარება ეჭვი.**

**— თვითონ შეთანხმების ხელისმოწერის პროცესი ერთობ სენტიმენტალურად წარიმართა, მაია ფანჯიკიძემ თავი ვერ შეიკავა და დოკუმენტი ცრემლებით დანამა.**

— ფანჯიკიძის ცრემლები გამოწვეული იყო არა იმით, რომ წუხდა უბედურების მომასწავებელ დოკუმენტზე ხელიმოსწერის გამო, არამედ აღტაცებით. ამათ არ ენაღვლებათ, არ აინტერესებთ ქართული სარწმუნოება, ტრადიციები და ზნეობა. აი, ესაა მთელი უბედურება და ეს ხალხი მართავს დღეს სახელმწიფოს.

**— ესე იგი, თქვენი აზრით, ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოებას შეიძლება მოჰყვეს, ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს?**

— რა თქმა უნდა. **ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელმაც, ამერიკის კარნახით, განადგურებამდე მიიყვანა ჩვენი ერი,** იმას ახლა აგვირგვინებს ფანჯიკიძე და მისი ძმანი და დანი.

**— მთელი ეს ჩვენი საუბარი მაინც ზოგადი ხასიათისაა, კონკრეტულად რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის ევროინტეგრაცია?**

— პირდაპირ ვამბობ: **პარაფირებული შეთანხმების თანახმად, საქართველოში უნდა ჩამოსახლდეს ძალიან ბევრი თურქი-მესხი, რაც წერტილს დაუსვამს ჩვენს დემოგრაფიულ მდგომარეობას.** თქვენ იცით, რომ ქართველები ისედაც ცოტანი დავრჩით საქართველოში და უკვე სხვა ერი გვჭარბობს, ამ გეგმის მიხედვით კი საბოლოოდ ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით. გარდა ამისა, **იმ ათასგვერდიან დოკუმენტში კონკრეტული პუნქტებია, რომლებშიც მოცემულია, როგორ უნდა მოვეფეროთ ლგბტ პირებს, როგორ უნდა ვიყოთ მათდამი შემწყნარებლები და როგორ გავაღვივოთ ჩვენს შვილებში მათდამი სიყვარული.** აი, ამ ყველაფრის ფონზე უგულებელყოფილია ქართველი ხალხის ღირსება, ფასეულობები და მთავარი — მართლმადიდებლობა. სხვა უბედურებებზე არაფერს ვამბობ, რომელთაც მომავალში გვიქადის ამ გაერთიანებასთან დაახლოება.

**— ეკონომიკური თვალსაზრისით, რას მოგვცემს ევროპულ ოჯახში შესვლა, როგორ ფიქრობთ?**

— ამ კუთხით ევროკავშირი რომ რამის მომცემი ყოფილიყო, მერწმუნეთ, იქ უკრაინაც მოაწერდა ხელს, მაგრამ ეს სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მათი წარმომადგენლები არიან პირდაპირ ეკონომიკური მკვლელები. ამაზე უკვე თვითონ ამერიკელები და ევროპელები საუბრობენ. ასე რომ, თუკი აქ ის სამასი პუნქტი, რომლებიც პარაფირებულ დოკუმენტშია მოცემული, განხორციელდა: ფაფუ, აღარ იქნება საქართველო!

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სად და როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი, თუ არა ევროპასთან და ევროპულ ოჯახში? რა ალტერნატივა გვაქვს?**

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია: **ეს ევროპა აღარ არის ბაირონის, ბეთჰოვენისა და დანტეს ევროპა, რომელიც იცავდა სულიერებას; ეს არის გაშიშვლებული, უზნეო ადამიანის ევროპა, რომელიც მხოლოდ მუცელსაა აყოლილი და რაღაც აღვირახსნილი თავისუფლების ნეტარებით ხაროზს;** ადამიანის, რომელიც თავს მაიმუნზე მაღლა აყენებს, როგორც მოაზროვნე, მაგრამ ამავე დროს თავს მაიმუნზე ნაკლებ ბედნიერად გრძნობს, იმიტომ, რომ მაიმუნს შეუძლია ყოველგვარი ზნეობის ჩარჩოების დაუცველად იმოქმედოს. მე ვფიქრობ, რომ ასეთ ოჯახში საქართველოს ადგილი არ არის და ქართველმა ხალხმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ეს საფრთხე აიცილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება ყველაფერი, რამაც აქამდე მოგვიყვანა, რამაც გაგვაძლებინა და რისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი გმირი წინაპრები.

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბევრი გამოჩენილი ადამიანი იყო ჩართული ამ ბინძურ საქმეებში, მაგალითად, გოგა ზაქარაია — დათო ქვარაიას ბიძა (პოლიციელი, რომელსაც გადაჰყავდა მოძალადეები ერთი ადგილიდან მეორეზე, წამების პალატებზე, ასრულებდა დათა ახალაიას და მეგის ქარდავას ბრძანებებს). ზაქარაია, ერთ-ერთია ძველი გუნდიდან, რომელიც მაინც მუშაობს საგამოძიებო ორგანოებში და ამჟამად რეგიონში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაბლოკვას ცდილობს.“**



## ჯეფრი სილვერმანი:

# «ხურჩის ინციდენტის» დღეს ზუგდიდში მობილიზებული იყვნენ აშშ-ის საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომლები, მათ შორის მეორე მდივანიც

„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი.

**— თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც გაიგო, თუ რა მოხდა ხურჩაში. ეს როგორ მოახერხეთ?**

— მაშინ უჩა ნანუაშვილთან და „საქართველოს ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად ვმუშაობდი. ეს იყო საპარლამენტო არჩევნების დღეს, 2008 წლის 21 მაისს. ზუგდიდში ვიყავი და საარჩევნო მონიტორინგში ვეხმარებოდი. გავაცნობიერე, თუ რა ხდებოდა ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე და შემდეგ ნორვეგიელ გამომძიებლებს დასკვნების დაწერასა და გავრცელებაში დავეხმარე, რის გამოც ჩემი სახელი იმ დღეს მომხდარი ინციდენტის შესახებ მომზადებულ ბევრ ანგარიშსა და სტატიაში ფიგურირებს. მე ჩავედი სოფელში და ვესაუბრე მოსახლეობას, პირდაპირ მითხრეს, რომ ეს იყო ქართული მხარის მიერ დადგმული თავდასხმა.

2008 წელს ყველა დეტალი გავგზავნე TOL Online-ში — აღმოსავლეთ ევროპულ მედიასაშუალებაში, მაგრამ მათ მიერ დადებული ბლოგი მალე ამოიღეს, მას შემდეგ, რაც გაეროს გენერალური მდივანი გამოვიდა ინციდენტზე „ოფიციალური“ ანგარიშით. მე ასევე შევადგინე ანგარიში ხურჩის ინციდენტზე „ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის“. საიტიდან ჩემ მიერ დადებული ანგარიშის ამოღებამ ბევრი რამ გაამჟღავნა, რადგან ასეთი მედიაორგანიზაციების უმეტესობა დაფინანსებულია აშშ-ის მთავრობის მიერ, არის მჭიდროდ დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებთან და, როგორც ჩანს, აქვს მკაცრი ცენზურა.

ჩავედი სოფელ ხურჩაში და რამდენიმე დღე ვესაუბრებოდი ადგილობრივ მოსახლეობას, შემდეგ კი გადავკვეთე აფხაზური მხარის დეფაქტო საზღვარი და მათი მხრიდანაც ყველაფერი მოვისმინე. ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიასთან და „საქართველოს ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად, რომლებიც თითქმის ინტერესთა კონფლიქტში არიან. ყველა ადგილობრივმა თვითმხილველმა მითხრა, რომ, მათი აზრით, ეს ინციდენტი იყო დადგმული ქართული მხარის მიერ (ეს არის მათი მოსაზრება), კერძოდ, ის ფაქტი, რომ მგზავრები გადაიყვანეს არა ქალაქის ცენტრში განთავსებულ საარჩევნო უბანზე, არამედ საფეხბურთო მოედანზე, სადაც უკვე წინასწარ ჰყავდათ მოყვანილი უამრავი ჟურნალისტი. გაურკვეველი იყო, თუ ვინ მოაწყო ეს და ვერავინ ახსნა, საქართველოს არმია ისე სწრაფად როგორ ჩამოვიდა ადგილზე ან ყუმბარები როგორ გაისროლეს ქართული მხარეს კონფლიქტის ხაზიდან, ძალიან მოკლე მანძილზე საფეხბურთო მოედნიდან.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ იყო ეს გავრცელებული დასავლურ მედიაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ამბები და „დამოუკიდებელმა და პასუხისმგებელმა მედიამ“ ეს ამბავი ვერ გადაამოწმა. მათ ირწმუნეს ის, რაც გაავრცელა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ, „რუსთავი 2“-მა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ, რომლებმაც განაცხადეს, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მარიონეტულმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით ცეცხლი გაუხსნეს ორ ავტობუსს, რომლებითაც გადაჰყავდათ ქართველი ამომრჩევლები, რომელთაც საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი ჰქონდათ. მათ უკეთესად უნდა სცოდნოდათ, რომ „ხურჩის ინციდენტის“ დღეს ზუგდიდში მობილიზებული იყვნენ ამერიკის საელჩოს მაღალი რანგის თანამშრომლები, მათ შორის — მეორე მდივანიც. მე მას პირადად ვესაუბრე ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე.

**— რას იტყვით ხურჩის შესახებ სამეგრელოში ბოლო ვიზიტის შემდეგ?**

— ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტება გაცხადდა. პოლიციის მაღალჩინოსან ალექსანდრე დანელიას მკვლელობა თუ თვითმკვლელობაც ამას ადასტურებს. დანელია გახლდათ მოწმე, რომელიც მზად იყო, გამოძიებისთვის მამხილებელი მტკიცებულებები მიეცა, მაგრამ დღეს ის მკვდარია. ის მოკლეს ან თავი მოიკლა საეჭვო გარემოებებში. ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენ სერიოზულია რეალობის დაფარვის სურვილი, და რაზე არიან წამსვლელი ამ დანაშაულის ორგანიზატორები. **პოლიციის მაღალჩინოსანი დანელია ზუგდიდში, ნაქირავებ ბინაში, გარდაცვლილი იპოვეს, გულმკერდის არეში ჭრილობით. ეს საეჭვოდ ჟღერს, ზურაბ ჟვანიას ამბის მსგავსად. თანაც დამეთანხმებით, რომ გული მოუხერხებელი, არაკომფორტული და, ამდენად, უცნაური სამიზნეა თვითმკვლელისთვის.**

მე ისევ მაქვს ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელსაც არ სურს ტელეფონით საუბარი, რადგან ეშინია. მე მათ ვერ დავადანაშაულებ, რადგან ეს მოვლენა დაკავშირებულია მართლმსაჯულებისგან გაქცეულ მეგის ქარდავასთან, რომელმაც შეასრულა სააკაშვილის ბინძური სამუშაო სამეგრელოში და აქვს ბრალდებების გრძელი სია.



> **«მეგის ქარდავას თურქეთის დაზვერვა მფარველობს, საინტერესოა, რატომ. ასევე საინტერესოა, გააკეთებდა თუ არა ამას თურქეთის დაზვერვა ამერიკისგან დამოუკიდებლად?»**

ზაფხულის განმავლობაში ვიძიებდი წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფარული წამებისა და იარაღის უკანონო მარაგების ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთ აუხსნელ მკვლელობასთან. შემიძლია გითხრათ, სამეგრელოში დღესაც ბევრი არაფერი ხდება ძველი ხელისუფლების უნებართვოდ, რადგან ეს იყო საქართველოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საყრდენი, ერთგული ჯარისკაცი — ზედმეტი კითხვის გარეშე ასრულებდა ბრძანებას. წლების განმავლობაში მომხდარი ყველაზე მეტი მკვლელობა და დადგმული სცენა დაკავშირებულია ქარდავასა და სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკურ საწყისებთან. **ზაფხულში კიდევ ერთხელ გავემგზავრე ხურჩაში. კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ამ რეგიონში არის დესტაბილიზაციისა და აფხაზეთის სამეგრელოსგან იზოლირების მცდელობა, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ რუსეთმა და საქართველომ ვერ შეძლონ მოკლე ვადაში ურთიერთობების ნორმალიზება.**

შევეცადე, მიმეღო „ადამიანის უფლებათა ცენტრისა“ და შემთხვევითი სტატიებისგან განსხვავებული ინფორმაცია ხურჩის ინციდენტზე. ყოველთვის შემრიგებლური ტონით მეუბნებოდნენ, მაფრთხილებდნენ — „ჯერ არ ვიცით, დაველოდოთ კიდევ ერთი ან ორი კვირა; თქვენ იცით, თუ როგორ იცავენ ჩვენს ჟურნალისტებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაავრცელებთ ალტერნატიულ ვერსიას რომელიმე მედიასაშუალებაში“. გასულ კვირას კი ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, „ალბათ, ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ აღმოჩნდებით კონსპიროლოგთა სიაშიო“.

არ ვიცი, დამთხვევაა თუ არა, მაგრამ ამ „კარგი რჩევის“ მიღებიდან რამდენიმე დღეში, 23 ნოემბერს, თავს დამესხნენ. თავდამსხმელმა მითხრა: „გირჩევთ, შეჩერდეთ, რადგან, სავარაუდოდ, არ ხართ „შეშლილი“ და, სავარაუდოდ, ნამდვილად გაგაჩნიათ რაღაც ინფორმაციული ბომბი, რომელიც ააფეთქებს ხელმძღვანელებს“.

**— დააკონკრეტეთ, ვინ არის ჩართული ამაში და როგორ?**

— გარდა ხურჩისა, მე ვიძიებდი სხვა შემთხვევებსაც და ამ მოვლენებთან დაკავშირებული პირების საქმეებს; მათ შორის გამოუძიებელ და ღია მკვლელობებს. ბევრი ადამიანი აწამეს და დააპატიმრეს, სასჯელი დაადეს სავარაუდო ტერორისტული აქტების გამო. ზოგი იძულებული გახდა, ეღიარებინა ზოგჯერ არარსებული ტერორისტული აქტებიც კი, როგორც პოლიტიკური ხრიკების დიდი თამაშის ნაწილი, რომელიც მოიცავს რამდენიმე „თაღლითურ ელემენტს“ ამერიკის მთავრობაში, როგორიცაა პოტომაკის ინსტიტუტი, რომელიც ხურჩაში მომხდარი ინციდენტის ოფიციალური ვერსიის PR-ს მხარს უჭერს სტატიებით Turkish Daily Mail 24-ში და ქართულ „24 საათში“, გამოძიებამდე. **აფხაზეთის უშიშროების ყოფილი უფლებამოსილი პირი არის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სამეგრელოს რეგიონული კორესპონდენტის — ემა გოგოხიას მეუღლე. ახლა ის აცხადებს, რომ ხელისუფლება ზეწოლას ახდენდა მასზე ჩვენების მიცემისას, რომ ეს იყო ქართული მხარე, რომელიც თავდასხმაზე იყო პასუხისმგებელი. ივლისში, მეორე გამოძიებისას, მასთან ყველაზე მეტი დრო გავატარე მიწისქვეშა წამების ადგილების ძებნადათვალიერებაში. შემდეგ ვუთხარი, რომ ადრე თუ გვიან უნდა ეთქვა სიმართლე, თუნდაც ამას პრობლემები შეექმნა მისი ქმრისთვის.**

ვაშინგტონში დაფუძნებული პოტომაკის ინსტიტუტი ამ დროს სამინისტროების ხელმძღვანელობას PR-სა და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა, მათ შორის, PR შექმნილია ნატოში გაწევრიანების პროპაგანდისთვის და ცეცხლზე ნავთის დასასხმელად რუსეთთან მიმართებაში. ეს კავშირები სცილდება საქართველოს, მეგის ქარდავასა და როლანდ, დათა და ბაჩო ახალაიების კლანის პირდაპირ ქმედებებს, რომელთაგანაც ერთი დაჭერილია, მეორე კი გაიქცა უამრავი დანაშაულის გამო. საინტერესოა და აღსანიშნავია, რომ ჩემი კონფიდენციალური წყაროების ინფორმაციით, მეგის ქარდავას თურქეთის დაზვერვა მფარველობს. საინტერესოა, რატომ. ასევე საინტერესოა, გააკეთებდა თუ არა ამას თურქეთის დაზვერვა ამერიკისგან დამოუკიდებლად.

**ბევრი გამოჩენილი ადამიანი იყო ჩართული ამ ბინძურ საქმეებში, მაგალითად, გოგა ზაქარაია — დათო ქვარაიას ბიძა (პოლიციელი, რომელსაც გადაჰყავდა მოძალადეები ერთი ადგილიდან მეორეზე, წამების პალატებზე, ასრულებდა დათა ახალაიას და მეგის ქარდავას ბრძანებებს). ზაქარაია, ერთ-ერთია ძველი გუნდიდან, რომელიც მაინც მუშაობს საგამოძიებო ორგანოებში და ამჟამად რეგიონში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაბლოკვას ცდილობს.**

ასევე ვიძიებდი გოგი კვარაცხელიასა და კობა მატკავას საქმეებს, რომლებიც საქართველოს მთავრობამ 2003 წლის 3 აპრილს დააკავა ტერორისტული აქტის დაგეგმვის და მსჯავრდებულ ელდარ ქობალიას მკვლელობის გამო. როგორც ჩანს, საქართველოს ციხეებში არსებობს ბევრი უდანაშაულო ადამიანი: მამუკა შონია, მუხრან ცხადაია, დავით კეკუტია, გოჩა ხურცილავა და ა. შ.

მე განსაკუთრებით მაინტერესებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ანაკლიაში გამართული შეხვედრები, დასავლეთ საქართველოში დაგეგმილი კრიმინალური საქმიანობისთვის სხვადასხვა კლანის შეხვედრები და ის, თუ რამდენად იყო ეს ყველაფერი დაკავშირებული ნარკოტიკებისა და იარაღის ბიზნესთან. **არსებობს კავშირები პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის, მათ შორის ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია აფხაზეთში — რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონში საერთო დესტაბილიზაციის პოტენციურ გეოპოლიტიკურ შედეგებზე.**

**— გვითხარით, რა მოხდა ახლახან — ბოლოს როდის და ვინ გცემათ?**

— 23 მაისს ვიყავი ბარში ამერიკელ ქალთან ერთად, რომელთანაც დავამთავრე სკოლა რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატებში. მანამდე იტალიის საელჩოს პერსონალს და საჰაერო მიმოსვლის რამდენიმე კონტროლიორს (ვინც მუშაობდა აეროპორტში) ვესაუბრე, ძირითადად, შესაძლო ბიოლოგიური აგენტების ტრანსპორტირებასა და რიჩარდ ლუგარის ბიოლოგიური ლაბორატორიის შესახებ, ჩემი გამოძიების თემაზე ბოლო თვეების განმავლობაში, რის შესახებაც მე მქონდა მიცემული ინტერვიუ ქართულ ტელევიზიაში და გავავრცელე ინფორმაცია სხვა მედია- ▶

**„ნათელია, რომ გამომძიებლები ბევრ საქმეში ნახავენ დიდ ბზარს, რადგან ადამიანები ცხოვრობენ მუდმივი შიშის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მოჩვენება წავიდა, მიხეილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შექმნილი სისტემა ავტოპილოტზე მუშაობს და ამ სისტემის წარმომადგენლები კვლავ იკავებენ თანამდებობებს დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში. მე კარგად ვიცი, რომ ხალხს ეშინია ადგილობრივი სამართალდამცავების, რომლებსაც ხელფასს უხდიან უცხოური ფინანსური წყაროებიდან. რეგიონის სტაბილურობას ემუქრებიან, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე."**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საშუალებებში. ვაცხადებდი, რომ ლუგარის ლაბორატორია მართლაც შექმნილია ფარული ბიოკვლევებისთვის და უშვებს აკრძალულ ბიოლოგიურ აგენტებს. მას აქვს ბიოლოგიური იარაღის შექმნის საშუალება. ჩემ მიერ ამ ამბის გავრცელების შემდეგ, იქაური სპეცკონტიგენტი Air Force-თი გაფრინდა, გაიწმინდა აღჭურვილობა და მოიწვიეს პრესა, თუმცა რუსეთის ტელევიზიამ დაადასტურა, რომ ისინი არ იყვნენ კმაყოფილი. **ვადასტურებ, რომ საქართველოში არსებობს ლაბორატორია, რომელიც მუშაობს ბიოლოგიურ იარაღზე დნმ-ის საფუძველზე.**

ამ ყველაფრის შემდეგ, ერთ დღეს ამერიკელი მესაუბრა, ეჭვი მაქვს, იყო კუნთმაგარი კონტრაქტორი DoD-იდან (თავდაცვის დეპარტამენტი) ან Bechtel National-დან. მან მკითხა ჩემ მიერ ჩატარებული სამუშაოსა და ჩემი სტატიის შესახებ და ლაბორატორიის ზოგიერთი ასპექტის განხილვის შემდეგ, მომენტალურად ჩამარტყეს თავში, როგორც ჩანს, დიდი ქვა, აგრეთვე, მომხვდა უკნიდან, სავარაუდოდ, მეორე პირისგან ან დაზიანება (სისხლჩაქცევები და დაზიანები) მივიღე მიწაზე დავარდნის გამო.

ბუნებრივია, არ არსებობს მოწმე და არც მიმიღეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში. ვფიქრობ, ეს იყო გაფრთხილება. დავკარგე ბევრი სისხლი. ეს ყველაფერი პოლიციისთვის ცნობილი იყო და ჩამიტარდა სამედიცინო შემოწმება. ასე რომ, ვნახოთ, თუ როგორ გაგრძელდება გამოძიება, მაგრამ არც მოწმეები არსებობენ და ვეჭვობ, არც ამ ამერიკელს იპოვიან. მე ის აღვწერე და ვფიქრობ, შემიძლია მისი იდენტიფიკაცია, თუ მან უკვე არ დატოვა ქვეყანა. ახლა უკეთ ვარ და ვაგრძელებ სტატიების წერას; ვგეგმავ, როგორ უნდა მოვაგვარო ამ პიროვნებასთან საქმე, რადგან დარწმუნებული ვარ, მას რეალურად არასოდეს დასჯიან. ასეთი სიტუაციისა და DoD (თავდაცვის დეპარტამენტი) იმუნიტეტის მქონე ადამიანებთან (რომლებიც მუშაობენ Bechtel National-ში, Cubic-ში და Archangel-ში) ურთიერთობის გამოცდილება მაქვს.

იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ადრე თუ გვიან მიხვდება, თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა სამეგრელოს რეგიონში და მიიღებს ზომებს, ანუ შექმნის განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილ სპეციალურ საგამოძიებო ჯგუფს. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ადამიანი კარგად აცნობიერებს, თუ რა ხდება რეგიონში და, აგრეთვე, მომხდარის სერიოზულობასაც.

დასავლეთ საქართველოში გამოვკითხე ბევრი ადამიანი, მათ შორის იმათი მშობლები და ცოლები, ვისი შვილები და ქმრები ან უგზოუკვლოდ გაიტაცეს, ან მოკლეს. მე ასევე ვესაუბრე მოძალადე თემურ უბირიას დედას, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით ატერორებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

**ნათელია, რომ გამომძიებლები ბევრ საქმეში ნახავენ დიდ ბზარს, რადგან ადამიანები ცხოვრობენ მუდმივი შიშის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მოჩვენება წავიდა, მიხეილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შექმნილი სისტემა ავტოპილოტზე მუშაობს და ამ სისტემის წარმომადგენლები კვლავ იკავებენ თანამდებობებს დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში. მე კარგად ვიცი, რომ ხალხს ეშინია ადგილობრივი სამართალდამცავების, რომლებსაც ხელფასს უხდიან უცხოური ფინანსური წყაროებიდან. რეგიონის სტაბილურობას ემუქრებიან, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე.**

ყოფილი მმართველი ძალის — „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს და მათ ადგილობრივ მომხრეებს ძალიან ბევრი, მათ შორის თავისუფლება და ფული, აქვთ დასაკარგი.

**სააკაშვილის მოღვაწეობა უნდა დასრულებულიყო არა თავისუფლებით, არამედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენით, მაგრამ ფული ყოველთვის ლაპარაკობს უფრო ხმამაღლა, ვიდრე რიტორიკა და პოლიტიკური დაპირებები სამეგრელოში.**

მე ასევე კონტაქტი მაქვს გამომძიებლებთან, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან და მათგან მაქვს ინფორმაცია ადამიანთა ჯგუფზე, რომელიც გალის რაიონში ხოცავდა აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეებს, აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეებს.

ეჭვი მაქვს, რომ ერთი და იგივე პირები არიან ჩართულნი გოგიტა აბულაძის საქმეში, აგრეთვე, გოგი კვარაცხელიას მკვლელობაში, რომელიც აწამეს და მოკლეს; მას თვალები ამოჭრეს და ცხედარი მდინარეში გადააგდეს 2012 წლის აპრილში. ვცდილობ, დავეხმარო მის ოჯახს. მისი და, რიტა, უშუალოდ მეკონტაქტებოდა და საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის წევრების სიცოცხლის რისკის ფასად მიამბობდა, რა ხდებოდა დასავლეთ საქართველოში და როგორი დაუცველნი არიან განსაკუთრებით დევნილები. მე უკვე შემიძლია მივიღო ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთაგან. დაახლოებით ხუთი წლის წინ ერთი ზაფხული გავატარე ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში და ბევრი რამ ვიცი მენტალიტეტის შესახებ.

**არსებობს ასევე შემთხვევები (რომელიც არ გამოვიძიე), როცა ადამიანები საავადმყოფოებში იღუპებოდნენ, რადგან ექიმებს ემუქრებოდნენ, რომ, თუ პაციენტი იცოცხლებდა, მათ მოკლავდნენ, როგორც ჯიმი მეგრელიძის შემთხვევაში, რომელიც კვლავ პირდაპირ კავშირშია ქარდავასა და ახალაიასთან, რომლებმაც მისი მკვლელობის ბრძანება გასცეს.**

ჯიმი მეგრელიძეს რამდენიმეჯერ ესროლეს და მერე საავადმყოფოში მოკლეს. დიახ, როდესაც გაირკვა, რომ საავადმყოფოში მიყვანილი მეგრელიძე გადარჩებოდა, იგი იქ მოაკვდინეს და მისი სხეული შემდგომში დაასახიჩრეს, რათა გამოჩენილიყო დამატებითი სასიკვდილო ჭრილობები, რამაც თითქოს მისი სიკვდილი გამოიწვია, ოჯახს კი სამართალდამცავი ორგანოები მაშინვე დაემუქრნენ, რათა ეს ამბავი დაემალათ.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

# გადაფხიკე, ბატონო დავით, გა-და-ფხი-კე...

**საქართველოს განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას, დედაქალაქის მერობის კანდიდატად წარდგენამ ე. წ. კარენოი თბილისელთა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. „დანაშაული", რომელსაც ბატონ ნარმანიას ბრალად უყენებენ, მისი არათბილისური წარმოშობა და არათბილისური კილოა!**



ისე, ძალიან ბევრმა „კარენოი" თბილისელმა თავის საგვარეულოს რომ გადახედოს, უკეთეს შემთხვევაში, აღმოაჩენს, რომ იგი მხოლოდ თბილისელთა მესამე თაობას წარმოადგენს. **ნარმანია განსაკუთრებით დედაქალაქის იმ მცხოვრებთათვისაა მიუღებელი, რომლებიც საკუთარი ქალაქელობის დასამტკიცებლად ჯერ ცდილობდნენ სიტყვაში „ა" ხმოვნის „წაგრძელებით" წარმოთქმას, სასაუბრო ლექსიკონიდან პარაზიტი „ცავატანემ"-ს ამოშანთვას და საკუთარ არტიკულაციაში ასო „ჭ"-ს სწორად წარმოთქმის დახვეწას, ხოლო შემდგომი ათი წელი „ხვეწდნენ" ქართულს ინგლისური აქცენტით და ტერმინოლოგიით.**

**ვინ არის „კარენოი" თბილისელი?**

ლეგენდის მიხედვით, ხოხობი, რომელიც განიგმირა დიდი მეფის — ვახტანგ გორგასლის ისრით, ჩავარდა გოგირდის მოთუხთუხე წყაროში და შიგ ჩაიხარშა. მორჩა, სხვა „კარენოი" თბილისელი აღარ არსებობს! მის შემდეგ ყველა პროვინციიდანაა „ჩამოთრეული" ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ჩათვლით.

**მიუხედავად იმისა, რომ თბილისი, როგორც ქალაქი, აღმოსავლეთში უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა** (აქ გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა), **ქართული არისტოკრატია მას არ სწყალობდა — დედაქალაქს უყურებდა, მხოლოდ და მხოლოდ, როგორც დროსტარების ადგილს. თავადაზნაურობა ქედმაღლურად დასცქეროდა თბილისელებს — ვაჭრებსა და ხელოსნებს. სამწუხაროდ, თბილისი არც სიტყვაკაზმული ქართული პოეზიის პარნასია და არც ქართული ხელოვნების აკვანი, რამეთუ ერის საამაყო შვილები ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ანდრია რაზმაძე, ილია ვეკუა და მრავალი სხვ. არ იყვნენ „კარენოი" თბილისელები, ანუ თბილისი კულტურულ ცენტრად სწორედ რომ პროვინციიდან „ჩამოთრეული" ინტელიგენციის წყალობით იქცა! არც მერხეულელი ბიჭი — ლავრენტი ბერია დაიკვეხნიდა თბილისელობით, მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ სწორედ მან, ასე ვთქვათ, დედაქალაქი ქართულ ქალაქად აქცია. ეს მერე მოხდა თბილისის, როგორც ჭეშმარიტი დედაქალაქის, კულტურული, ეკონომიკური, სამეცნიერო და ინდუსტრიულ ცენტრად ჩამოყალიბება!**

და საერთოდ, რა „ბაზარია", ნარმანია არაა „კარენოი"?! ხომ გვყავდა დამოუკიდებელ საქართველოში თბილისის „კარენოი" მერები: გაბაშვილი, ჭიაბერაშვილი და უგულავა?! მერე, რა ხეირი მათგან ქალაქს?! აგერ, გუშინ იუსტიციის სამინისტროს „კრიშა" წაიღო ქარმა... გაიგეთ, ბოლოსდაბოლოს, **თბილისს სჭირდება არა „კაი ბიჭი", არამედ პატრონი, მმართველი, მეურნე, რომელიც მას მოუვლის და თბილისელებს ღირსეული ცხოვრების პირობებს შეუქმნის.**

სხვათა შორის, მეფე ვახტანგის მიერ მოკლული ხოხობი იყო კოლხური, როგორც მას უწოდა შვედმა ბუნებისმეტყველმა კარლ ლინეიმ. ასე რომ, კოლხ ნარმანიას აქვს სრული, თანაც კანონიერი უფლება, თბილისი ჩაიბაროს და მოუაროს. მაგრამ ზოგიერთის გულს დავით ნარმანია მაინც ვერ მოიგებს, მაგალითად, იმ „კარენოიზე კარენოი" თბილისელებისას, გულზე მჯილის ცემით დღესაც რომ ამტკიცებენ და ტრაბახობენ, ის ხოხობი სწორედ ჩვენ დაგვაკვდა გულზეო... ისემც მიგაკვდათ მაგ ხოხობი სულში!

რაც შეეხება ბატონ ნარმანიას, მინდა ვთხოვო, არ მიაქციოს ყურადღება „ფალცეტჩიკების" წივილს.

**ბატონო დავით, ნუ აჰყვებით ამათ, ესენი ლატარეის ბილეთივით არიან, ვიღაცამ** (კი ვიცით, ვინც, მაგრამ არ ვიტყვით სახელსა და გვარს) **„ტირაჟში ჩაუშვა" და ესენიც კივიან. თქვენც ადექით და გადაფხიკეთ, დიახ, უბრალოდ გადაფხიკეთ. ჯეკპოტს ვერ მოიგებთ, მაგრამ თქვენს „არაკარენოობაზე" მომჩივანთა „ქვეშ"**, თანაც აქვე, **მეორე თაობაშივე ფეშტანჯიანის ან ჰავქოფაშვილის გვარებს აღმოაჩენთ. ტოლერანტობა ტოლერანტობად, მაგრამ ასეთია თანამედროვე გეოპოლიტიკის მწარე რეალობა — თბილისი ჯერჯერობით არ არის სომხური ქალაქი და მათი** (ანუ ფეშტანჯიანებისა და ჰავქოფაშვილების) **აზრი კი ყველა ლოგიკით არა თბილისის, არამედ ერევნის ან დილიჟანის მერის არჩევნებისას არის გასათვალისწინებელი...**

ურწმუნო თომებს კი, ვისაც თბილისი დღემდე სომხური ქალაქი ჰგონიათ და ნარმანიას მეგრელობას უწუნებენ, შევახსენებ, **რომ სომეხი გოროდიჩები ტფილისს მხოლოდ გასაბჭოებამდე მართავდნენ. თუ არ გჯერათ, აგერ სია, საქართველოს დედაქალაქის სომეხი თავებისა XII საუკუნის შუა წლებიდან გასაბჭოებამდე** (წარმოშობით თბილისელების, მაგრამ სულით ჰავქოფაშვილების საყურადღებოდ, რომლებიც დავით ნარმანიას „არაძირძველი თბილისური წარმოშობა" აწუხებთ):

1. მელიქ არწრუნი ვასაკი — XII საუკუნის შუა წლები;
2. მელიქ არწრუნი ქურთი — XII საუკუნის მეორე ნახევარი;
3. მელიქ შადინი — XII საუკუნის მეორე ნახევარი;
4. მელიქ ენალი — 1646წლიდან;
5. მელიქ ბაიანდური — 1650 წლიდან;
6. მელიქ ხოჯა ბეიბუდი — 1662 წლამდე;
7. მელიქ აშხარბეკი — 1664 წლიდან;
8. მელიქ ავთანდილი — 1678-1698 წწ
9. მელიქ ბეიბუდიანი — XVII საუკუნე;
10. მელიქ ასლამაზ ბეიბუდიანცი — XVIII საუკუნის პირველი ნახევარი;
11. მელიქ გეორგ ბეიბუდიანცი — 1712 წლამდე;
12. მელიქ ზურაბ ბეიბუდიანცი — 1712-1734 წწ;
13. მელიქ აშხარბეკ ბეიბუდიანცი — 1734-1736 წწ;
14. მელიქ ალა ბეიბუდიანცი — 1736-1746 წწ;
15. მელიქ ანტონ ბეიბუდიანცი — 1746-1751 წწ;
16. მელიქ სააკ ბეიბუდიანცი — 1751-1760 წწ;
17. მელიქ ავეტიკ ბეიბუდიანცი — 1768-1795 წწ;
18. მელიქ დარჩი ბეიბუდიანცი — 1795-1801 წწ;
19. ოვანეს იზმირიანცი — 1840-1843 წწ;
20. სტეფან ხატისიანცი — 1844-1845 წწ;
21. მოვსეს ტერ-გრიგორიანცი — 1845-1846 წწ;
22. ოვანეს შადინიანცი — 1847-1848 წწ;
23. ტოვმა ფრიდონიანცი — 1848-1849 წწ.
24. ზაქარია ამირაგიანცი — 1850-1851 წწ
25. ოვსეფ მირიმანიანცი — 1851-1852 წწ
26. ავეტიკ ასტვაცატრიანი — 1853-1856 წწ
27. სოგომონ სარაჯევი — 1856-1857 წწ
28. ანდრეი მანანოვი — 1857-1858 წწ
29. ვარდან არშაკუნი — 1857 – 1860 წწ
30. სოგომონ აქისოგომიანცი — 1860-1861 წწ
31. სოგომონ მირიმანიანცი — 1861-1862 წწ
32. გევორქ ფრიდონიანცი — 1862-1864 წწ
33. გალუსტ-შერმაზან ვარდანიანცი — 1864-1865 წწ
34. ერემია არწრუნი — 1866-1868 წწ
35. ნიკოგაიოს ალადატიანცი — 1868-1869 წწ
36. დიმიტრი თუმანიანცი — 1869-1870 წწ
37. იაზონ თუმანიანცი — 1870-1874 წწ
38. დიმიტრი ყიფიანი — 1875-1879 წწ
39. ალექსანდრ მატინიანცი — 1879-1891 წწ
40. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი — 1891-1893 წწ
41. პოღოს იზმაილიანცი — 1893-1895 წწ
42. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი — 1895-1896 წწ
43. გევორქ ევანგულიანცი — 1897-1901 წწ
44. ალექსანდრ არგუტინსკი-დოლგორუკი — 1902-1903 წწ
45. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი — 1903-1904 წწ
46. ქრისტოფერ ვერმიშიანცი — 1904-1905 წწ
47. ვასილი ჩერქეზიშვილი — 1907-1909 წწ
48. ალექსანდრ ხატისიანცი — 1910-1917 წწ

**გიორგი კორძაძე,**
თბილისელი მესამე თაობაში

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი რეალობა, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეიქმნება, არ შეიძლება წარმოვაჩინოთ, როგორც ცალსახად დადებითი ან უარყოფითი, იქნება როგორც პლიუსები, ისე მინუსები და ამ ნიადაგზე პოლიტიკური მითოლოგიის შეკოწიწების მცდელობა, იმის გაუთავებელი მტკიცება, რომ ქვეყანას მიწიერ სამოთხეს (ან პირიქით — ჯოჯოხეთს) რამდენიმე ნაბიჯი აშორებს, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ბანალური პროპაგანდისტული მანიპულაცია.**

# პარა(ფირებული) ფსიქოზი

**ქართული ტელეაუდიტორიის აბსოლუტურ უმრავლესობას ძალიან არ მოეწონა, რომ ვილნიუსში საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების დროს დარბაზში „შალახოს“ ჰანგები გაისმა. ეს ღონისძიების ორგანიზატორებს დიდ მინუსად ჩაუთვალეს; მელოდია აშკარად უადგილო იყო და, ამასთანავე, არ შეესაბამებოდა განწყობას, რომელსაც საქართველოში ამ კულმინაციურ მომენტს უკავშირებდნენ. თუმცა, შესაძლოა, ამ უხერხულ მომენტს უცნაური სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მან კარგად გაუსვა ხაზი იმ არასერიოზულობას, რომლითაც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ეკიდება ურთიერთობას ევროკავშირთან, ისევე, როგორც საგარეო პოლიტიკას მთლიანობაში; გარკვეული თვალსაზრისით, „შალახო“ ვილნიუსში სავსებით ლოგიკური იყო.**



**ხელისუფლება ანტიდასავლური ტალღის ხელოვნურ შეკავებას რაღაც მომენტში ვეღარ მოახერხებს და ეს აუცილებლად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე**

## ასოცირება მითოლოგიასთან

**კოგნიტური ხარვეზები, რომლებიც საზოგადოებას რეალობის ობიექტური აღქმის შესაძლებლობას, ამდენი წელია, არ აძლევს, გავლენას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების აღქმაზეც ახდენს. ამ დოკუმენტს უკავშირდება სრულიად უსაფუძვლო მოლოდინები ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ფორსირებასთან დაკავშირებით და აპოკალიპტური წინათგრძნობა, რომელიც მიბმულია რუსეთის შესაძლო რეაქციასა და ზეწოლის გაძლიერებასთან.** ერთის მხრივ, წარმოდგენილია კვაზირელიგიური ალტკინება და ტრადიციული რიტორიკული მანიპულაციები „არჩევანთან“, „გზასთან“ და „ღია კართან“ დაკავშირებით (იგივე, რაც ნატოს შემთხვევაში); მეორე მხრივ კი, უკიდურესი მერკანტილიზმი, რომელიც მოითხოვს ნებისმიერი ტაქტიკური სარგებლის ასახვას სავსებით კონკრეტულ ფულად ეკვივალენტში.

საქართველოსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სხვა ქვეყნებს შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება: **თუ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ევაჭრებიან ევროკავშირს და ხშირ შემთხვევაში საწადელს აღწევენ, საქართველოში ეს იდეა ლამის ერეტიკულად აღიქმება. სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენს ხელისუფლებას მანევრის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მოლდოვის, აზერბაიჯანისა და უკრაინისგან განსხვავებით** (როგორც არ უნდა დასრულდეს იქ მიმდინარე დრამატული პროცესები, ამ ქვეყნის ნებისმიერი მთავრობა შეეცდება, ევროკავშირისგან მაქსიმალური ბონუსები მიიღოს და მათ ნაწილს მაინც, დიდი ალბათობით, მიიღებს), **საქართველოს ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ მხარს მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს, ძალიან ეშინია, რომ დასავლური ვექტორისგან თუნდაც მცირე გადახვევაში დაადანაშაულებენ.** ეს აუცილებლად მოხდებოდა, თუ ის რომელიმე საკითხზე (მაგალითად, შეუზღუდავ უვიზო რეჟიმზე ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ შეღავათებზე) შევაჭრებას გადაწყვეტდა. ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც პროპაგანდა და ფსიქოლოგიური ფაქტორები პრაგმატულ პოლიტიკაზე დომინირებენ, რადგან მსგავსი ვაჭრობის განხილვა „გადახვევად“, ცხადია, არ შეიძლება. ვერაფერს ვიზამთ, გვაქვს ის სიტუაცია, რომელიც გვაქვს და განხილული პროცესებისგან საქართველო, დიდი ალბათობით, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით ყველაზე ნაკლებ ბონუსს მიიღებს. ბუნებრივია, ამ უცნაურ მიდგომას, გამართლება სჭირდება და სწორედ აქედან მოდის ეს „წინსვლა შეუქცევადი გახდა“ ტიპის შეძახილები და შესაბამისი რიტუალური ცეკვები.

**რა მივიღეთ რეალურად? ჯერჯერობით არაფერი, რადგან პარაფირება ხელმოწერას არ ნიშნავს, თუმცა ეს გარემოება დროებით გვერდზე გადავდოთ. გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, რომელსაც სავაჭრო ბალანსის უარყოფითი ცვლილების საფრთხე უკავშირდება, რაზეც არაერთი ეკონომისტი საუბრობს. აგრეთვე, გვაქვს რუსეთის ზეწოლის და ქართული პროდუქციისთვის მისი ბაზრის ხელახალი დახურვის პერსპექტივა. სავიზო რეჟიმი შეიძლება მნიშვნელოვნად შერბილდეს, მაგრამ ამას, აშკარა პლიუსების გარდა, ემიგრანტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის საფრთხე უკავშირდება.** რაც შეეხება საქართველოში ევროპული ნორმებისა და რეგულაციების შემდგომ დანერგვას, ეს სტრატეგიულ პერსპექტივაში ქმის ნიადაგს იმისთვის, რომ საქართველო და ევროკავშირი ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ და ამ გზაზე მთელი რიგი წინაღობები მოიხსნას, მაგრამ ტაქტიკურ პერსპექტივაში პროცესმა შეიძლება იმსხვერპლოს მთელი რიგი (ისედაც აგონიაში მყოფი) ქართული საწარმო. აგრეთვე, მოსალოდნელია უსიამოვნო ეპიზოდები და საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების ზრდა, რომლებიც ევროჩინოვნიკების მხრიდან „თითის ქნევას“ მოჰყვება, მაგალითად, მაშინ, როდესაც საუბარი ლგბტ-ს უფლებებზე ან სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლების სისხლისსამართლებრივი დევნის ნიუანსებზე მიდგება.

**ახალი რეალობა, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეიქმნება, არ შეიძლება წარმოვაჩინოთ, როგორც ცალსახად დადებითი ან უარყოფითი, იქნება როგორც პლიუსები, ისე მინუსები და ამ ნიადაგზე პოლიტიკური მითოლოგიის შეკოწიწების მცდელობა, იმის გაუთავებელი მტკიცება, რომ ქვეყანას მიწიერ სამოთხეს (ან პირიქით — ჯოჯოხეთს) რამდენიმე ნაბიჯი აშორებს, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ბანალური პროპაგანდისტული მანიპულაცია,** რომელიც კარგად ნაცნობ ალგორითმს ეფუძნება — „ხვალინდელი ქათმის“ მიმზიდველი სურათის დახატვა, რათა მოქალაქეებმა ნაკლებად იფიქრონ „დღევანდელ კვერცხზე“ და არ წაუყენონ ხელისუფლებას (ძველს თუ ახალს) პრეტენზიები ეკონომიკის განადგურებასთან, დარღვეულ ტერიტორიულ მთლიანობასთან, ელიტის მიერ საკუთარი მოსახლეობის ძარცვასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არც მწვავე, სიტუაციის რადიკალურ შეცვლაზე ორიენტირებული პროტესტი გამოხატონ. ამ მხრივ არანაირი განსხვავება ორ ლოზუნგს შორის „ცოტაც გავუძლოთ და კომუნიზმს ავაშენებთ“ და „ცოტაც გავუძლოთ და ნატო-ევროკავშირში შევალთ, რის შემდეგაც კომუნიზმზე უკეთეს პირობებში ვიცხოვრებთ“, ალბათ, არ არის.

## აბერ – ჩვენ და აბერ – გერმანია

ქართული ევროოპტიმიზმი, ისევე, როგორც ევროსკეპტიციზმი, უაღრესად არაკონკრეტულია, ციფრებსა და პრობლემების დეტალურ განხილვას გაურბის. ოპტიმისტები, სკეპტიკოსებთან შედარებით, რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან მათ სულ უფრო ხშირად სთხოვენ, მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც მათ მიერ მხარდაჭერილი კურსის სისწორეს ადასტურებს. ამასთანავე, უნდობლობა ნატოში სწრაფი გაწევრიანების მიმართ ავტომატურად ვრცელდება ევროკავშირზე, შესაძლოა, იმიტომ, რომ სააკაშვილის პროპაგანდა მათ, როგორც წესი, ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ერთ კონტექსტში ახსენებდა.

**სამართლიანობისთვის, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლება წინამორბედზე პატიოსნად იქცევა, არ იყენებს „მაპზე უკეთესი მოგვცეს“ ტიპის ლოზუნგებს, არ ასახელებს შიზოფრენიულად არარეალისტურ თარიღებს და მიანიშნებს, რომ საქართველოს გაწევრიანება ხსენებულ ორგანიზაციებში ძალიან შორი, ფრიად ბუნდოვანი პერსპექტივის საკითხია. მაგრამ, ამავე დროს, ის ვერ დაემშვიდობა საბოლოოდ უსაფუძვლო ოპტიმიზმზე დაფუძნებულ პროპაგანდას და, შესაბამისად, მალე იმედგაცრუებული საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწევს დაახლოებით ისე, როგორც ეს 2008 წლის ომის შემდეგ ნატოსთან და ბრძოლის ველზე ამერიკელი მოკავშირეების გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით მოხდა** (არამხოლოდ მოსახლეობის დიდ ნაწილს, არამედ ქვეყნის პირველ პირს სრულიად საპირისპირო მოლოდინები ჰქონდა).

ევროკავშირი საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, „კარგ ცხოვრებასთან“ ასოცირდება და მხოლოდ ამის შემდეგ — დემოკრატიასთან, უფლებების დაცვასთან და ასე შემდეგ. შესაბამისად, წარმატებება-წარუმატებლობას ევროინტეგრაციის გზაზე მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად შეაფასებს. **გამორიცხული არაა, რომ ორ-სამ წელიწადში ჩვენ ფეხის ყოველ ნაბიჯზე დაახლოებით ასეთ ფრაზებს მოვისმენთ: „რა მოგვიტანა ასოცირებამ ევროკავშირთან? მხოლოდ უფრო დიდი გაჭირვება, რუსული ბაზრის დახურვა და გეიპარადები“. უპასუხისმგებლო პროპაგანდის მიერ გაღვივებული ცრუ იმედების მსხვრევას სხვა შედეგი ვერ მოჰყვება.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, სავარაუდოდ, ისაა, რომ ისევე, როგორც სააკაშვილის მმართველობის წლებში პოლიტიკოსებისა და მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი, პირდაპირ თუ ქვეტექსტში, წარმოაჩენს დასავლეთთან დაახლოებაზე ორიენტირებულ ნებისმიერ ნაბიჯს, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას, რომელიც ცალკე აღებული თითქმის არაფერს ცვლის, როგორც რუსეთთან დაპირისპირების აქტს. შესაბამისად, იზრდება პესიმისტური მოლოდინი კრემლის შესაძლო რეაქციასთან დაკავშირებით, რაც სტაბილურობას, როგორც ფსიქოლოგიურს, ისე პოლიტიკურს, ხელს ნამდვილად არ უწყობს. აქედან გამომდინარე, **ნებისმიერი სირთულე, რომელიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობებში ახლო მომავალში შეექმნება, მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ აღქმული იქნება, როგორც ევროინტეგრაციული მისწრაფებების ნაყოფი და ეს მაშინ, როდესაც მას რუსეთთან ახალი კონფრონტაციის ეშინია და, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხედავს მიზეზს, რომლის გამო შეიძლება ამას დათანხმდეს** (2012 წლის 1 ოქტომბერს ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა, სხვა ყველაფერთან ერთად, ხმა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას მისცა). ყოველივე ეს მთლიანობაში შექმნის ძალიან კარგ პირობებს ანტიდასავლური აგიტაციისთვის და შესაბამისი განწყობების ზრდისთვის, მაგრამ ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როდის გამოვლენ ავანსცენაზე პოლიტიკოსები, რომლებიც ამ რესურსის გამოყენებას შეძლებენ.

## გოროდოვოის გიჟო რომ უცვნია

ქართველები ევროპელების მიმართ ყოველთვის გამორჩეულ პატივისცემას ავლენდნენ, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ასე, მაგალითად, თბილისის მატიანეში სათანადო ადგილს იკავებს დაუვიწყარი ბატალური სცენა „6 ყარაჩოღელი 25 შოტლანდიელი სამხედროს წინააღმდეგ“ (ერთი სახალისო ციტატა განტვირთვისთვის): **„უცხოელების თავხედურ ქცევას ქალაქელები აღუშფოთებია. სატიოს უბანში ყოჩ ნიკუას უთქვამს: სიყრმის მზემ, კუკიაზე ადგილი აღარ დარჩებაო. შექეიფიანებულ უცხოელ ოფიცრებს უცხო ქვეყანაში დამცინავი გასართობი მოეძებნათ, გამოლაგდებოდნენ სასტუმროს წინ გოლოვინის პროსპექტზე და მოსეირნეებს ანოკაუტებდნენ უმიზეზოდ. ხუკები და აპერკოტები დაბლა სცემდა დარეტიანებულ მოქალაქეებს. სწორედ ერთ მშვენიერ დილას აქ შეყრილან სატიოს უბნის გიჟები. უცხოელ ოფიცრებს, გართობის ნაცვლად, გასაქცევად დასდგომიათ საქმე. როცა საშა ვერელს ქართულ გარმონზე „სატიო“ შეუბერია, წამალაანთ გიჟუას პრინციპულად ჯიბიდან ხელები არ ამოუღია, მისი თაური დარტყმის ხმები ვიტრინის შუშებს ხეთქავდა თურმე. გოროდოვოის გიჟო რომ უცვნია, მხოლოდ იმასღა ეხვეწებოდა თურმე, არ მოკლაო, მუშტი დაარტყიო. გიჟოსთვის სხვებსაც მიუბაძავთ და ყოჩებს თავებით ისეთი ბათქაბუთქი აუტეხიათ, რომ მუშტი-კრივი სანახაობად გადაუქცევიათ“** (მერაბ ბერძენიშვილი, „ვერა-სატიო“). ამ ძველი ისტორიის გახსენება საჭირო არ გახდებოდა, რომ არა ერთი გარემოება — **ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენელი, განსაკუთრებით ეს ბალტიისპირელებს ეხება, ხანდახან ვერ გრძნობს ზღვარს, რომელსაც არ უნდა გადააბიჯოს თავის დიდაქტიკურ მონოლოგებში და არ ითვალისწინებს ქართველების განწყობასა და მოსალოდნელ რეაქციას,** იმ საბრალო შოტ- ▶

ნებისმიერი სირთულე, რომელიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობებში ახლო მომავალში შეექმნება, მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ აღქმული იქნება, როგორც ევროინტეგრაციული მისწრაფებების ნაყოფი და ეს მაშინ, როდესაც მას რუსეთთან ახალი კონფრონტაციის ეშინია და, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხედავს მიზეზს, რომლის გამო შეიძლება ამას დათანხმდეს

ვაი ჭკუისაგან
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ლანდიელების არ იყოს, რომელთაც თავი, როგორც ჩანს, ისევ კოლონიურ ინდოეთში ეგონათ.

ადრე ევროპელი პოლიტიკოსების რჩევებს საქართველოში სრული სერიოზულობით ეკიდებოდნენ, მაგრამ თანდათან მოხდა ამ რეკომენდაციების დევალვირება. ამის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ორმაგი სტანდარტებია, რომელთაც ევროკავშირი სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერისას და მისი ავკაცობის შეფასებისას ეყრდნობოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **მთელი ამ წლების განმავლობაში „ნაციონალების" პროპაგანდა წარმოაჩენდა ძველი ევროპის ქვეყნების ლიდერებს, როგორც გაუბედავ, რუსეთთან გარიგებაზე ორიენტირებულ ადამიანებს, რომლებმაც ამერიკელებს არ დაუჯერეს და ნატოში საქართველოს გაწევრიანება დაბლოკეს. „ნაციონალების" მომხრეები დღემდე ჩვეულებრივ იყენებენ სოციალურ ქსელებში „ბებერი მეძავი ევროპა" ტიპის გამონათქვამებს და ოცნებობენ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციაზე, რომელიც ევროპელების „თავნებობას" ბოლოს მოუღებს.** ამას ემატება უკვე ნახსენები ფაქტორი — ზოგიერთი ევროპოლიტიკოსის მომაბეზრებელი, მცდარ შეფასებებზე დაფუძნებული „ჭკუის სწავლება", რომელიც ადგილობრივ კონტექსტს საერთოდ არ ითვალისწინებს. ყოველივე ამან საქართველოში ევროპული სიტყვის ფასი მნიშვნელოვნად დააგდო.

**„ნაციონალები" და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მმართველი კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენელი დღედაღამ გვიმტკიცებენ, რომ ევროკავშირი სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების გასამართლებას ეწინააღმდეგება და მათი დაპატიმრება საქართველოს ევროინტეგრაციას შეაფერხებს.** მიუხედავად იმისა, რომ არც ევროკავშირის, არც აშშ-ის წარმომადგენლებს, პროცესების გამჭვირვალობისა და იურიდიული ნორმების მკაცრი დაცვის გარდა, არაფერი მოუთხოვიათ, ეს არაკორექტული მოსაზრება ძალიან ფართოდ გავრცელდა. ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარებენ მას ხელისუფლების წარმომადგენლები და თუ დაამუხრუჭებინებენ ამის გამო პროკურატურას, მაგრამ ფაქტია, რომ ის პროდასავლურ განწყობებს საქართველოში ბულდოზერზე ეფექტურად ანადგურებს. თუ ასე გაგრძელდა, **ხელისუფლება ანტიდასავლური ტალღის ხელოვნურ შეკავებას რაღაც მომენტში ვეღარ მოახერხებს და ეს აუცილებლად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე** (გაჩნდება სერიოზული მოთხოვნა ანტიდასავლურ პოლიტიკურ რიტორიკაზე, მოხდება ახალი, შესაბამისი იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ჯგუფების ფორმირება და ა. შ.), **რაც არაერთ ქვეყანაში არაერთგზის მომხდარა.** საუბარი ამ პერსპექტივაზე ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს, თუმცა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე ჩვენ მომავალი კრიზისის პირველ ნიშნებს ვიხილავთ.

**დიმიტრი მონიავა**

# მცოცავი დემოგრაფიული ექსპანსია გრძელდება

## რა საფრთხეს უქმნის საქართველოს «ნაცმოძრაობის» პოლიტიკური ტყუპისცალი?!

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა თითქმის მთელი საქართველო თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადა და მსოფლიოს 118 სახელმწიფოსთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო, თბილისსა და ქვეყნის სხვა დიდ რაიონულ ცენტრებში უცხოელების შემოდინება გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარეობს. შედეგად მილიონნახევრიან დედაქალაქში უკვე ყოველი მესამე-მეოთხე მოქალაქე ირანელი, თურქი ან არაბია, რაც ჯამში იმას ნიშნავს, რომ დღესდღეობით აქ 100 ათასამდე ე. წ. მიგრანტია შემოსული. „ნაცმოძრაობის" პროპაგანდისტული მანქანა თავის დროზე ამ მცოცავ დემოგრაფიულ ექსპანსიას დადებით მოვლენად გვიხატავდა და აცხადებდა, რომ, რაც უფრო მეტი ინვესტორი შემოვიდოდა, მით უფრო მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდებოდა. მიუხედავად ამისა, უმუშევრობა დღემდე უმთავრეს პრობლემად რჩება, „ინვესტორები" კი ლამის ეთნიკურ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ.**



აღსანიშნავია, რომ 2005-დან 2012 წლამდე შემოსული უცხოელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ისევ სააკაშვილის ძალისხმევით, ქართული პასპორტები მიიღეს. შესაბამისად, მათ შეძლეს აქ უძრავი ქონების დაკანონება და სამუდამოდ საკუთრებაში მიღება. ძირითადად, ლაპარაკია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტისა და შენობა-ნაგებობის შესყიდვაზე. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქის ცენტრი, უკვე დიდი ხანია, ოცდამეერთე საუკუნის თურქ ხონთქართა, არაბ შეიხთა და ბედუინთა სამფლობელოდ იქცა. სხვათა შორის, 2009 წელს, როცა სააკაშვილმა და უგულავამ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის" პროგრამის ფარგლებში აღმაშენებლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები გახსნეს, „ნაცმოძრაობის" ბელადმა ამაყად განაცხადა: „ეს არის თბილისის ის უბანი, რომელიც ჰგავს ყველაზე მეტად პარიზს და მას დავამსგავსებთ პარიზსო". დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მან ეს დაპირება პირნათლად შეასრულა და თითქმის მთელი „პლეხანოვი" არაბებზე გაასხვისა. დღესდღეობით ამ უბანში, ისევე, როგორც პარიზის რიგ რაიონებში, მართლაც არაბები სჭარბობენ, ყველგან არაბული ჰანგები ისმის და ფასადებზე, აბრებზე მათ ენაზეა წარწერები დატანილი. მოკლედ, მიშამ საქართველო ამ მხრივ ზუსტად დაამსგავსა საფრანგეთს, მაგრამ საბოლოოდ ესეც არ გვაკმარა და საკუთარი საკონსტიტუციო ვადის ბოლო დღეებში დამატებით კიდევ 25 ათასამდე უცხოელს მიანიჭა მოქალაქეობა. სად, როდის ამოქმედდება ეს ნაღმები და რა ზიანს მოუტანს სახელმწიფოს, კაცმა რა იცის; ახალი ხელისუფლება კი, იმის ნაცვლად, რომ ამ ნაღმების გაუვნებელყოფას ცდილობდეს, დანაშაულებრივ რეჟიმთან კოაბიტაციით ტკბება...

**„საქართველო და მსოფლიო" სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან სამადაშვილს შეხვდა და უცხოელებისთვის მოქალაქეობის მიღება-მინიჭების საკითხზე დეტალურად ესაუბრა.**

**— ბატონო ლევან, განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი უცხოელი შემოვიდა საქართველოში აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. მათი უმეტესობა მოქალაქეობის მიღებას ცდილობს. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი ამისთვის და საერთოდ, რამდენად კანონიერად მიმდინარეობს ეს პროცესი?**

— ზოგადად, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ორი გზა არსებობს, ეს არის მინიჭება და მიღება. მათ შორის დიდი განსხვავებაა, ვინაიდან მიღება გულისხმობს იმას, რომ პირი ტოვებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას და იღებს მხოლოდ ქართულ პასპორტს, რაც არის განსხვავებული პროცედურა, ანუ ნატურალიზაციის პროცესი. რაც შეეხება მინიჭებას, ამ დროს პირი ინარჩუნებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობასაც და ხდება ორმაგი მოქალაქე.

**— ეს უფრო მარტივი პროცესია?**

— საერთოდ, მოქალაქეობის მინიჭებას ორგვარი პროცედურა აქვს. ერთი და სტანდარტული პროცედურა გულისხმობს იმას, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მოგვმართავს ჩვენ — სერვისების განვითარების სააგენტოს, წარადგენს მოქმედ პასპორტს, საფასურის გადახდის ქვითარს და ავსებს სპეციალურ ანკეტას. ამის მერე ვიბარებთ მას გასაუბრებაზე, მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჭიროების შემთხვევაში, — სხვა უწყებებსაც, რომ მიიღოს ინფორმაცია პირის შესახებ და შემდეგ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ვამზადებთ საბოლოო დასკვნას, რომელიც იგზავნება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. იქ უკვე გამოიცემა ბრძანებულება მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მეორე პროცედურას, იგი გულისხმობს მინიჭების გამარტივებული წესის უფლებას, რომელიც გააჩნია ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს. ამ შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია მიმართოს პირველ პირს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან სხვა უწყებებში ინფორმაციის გადამოწმება არ ხდება.

**— ესე იგი პრეზიდენტი სრულიად დამოუკიდებლად იღებს ამ გადაწყვეტილებას?**

— უბრალოდ, ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურის გვერდის ავლით მას აქვს უფლება, მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება და მიანიჭოს მოქალაქეობა უცხოელს.

**— გამოდის, რომ პირი შეიძლება შესაბამის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდეს და პრეზიდენტმა მაინც მიანიჭოს მოქალაქეობა?**

— თავისთავად მოქალაქეობის მინიჭება, აპრიორი, ნიშნავს, რომ მან შეიძლება არ იცოდეს ქართული ენა, საქართველოს ისტორია, მაგრამ ეს არ არის რეალურად ხელისშემშლელი ფაქტორი.

**— იმ შემთხვევაში, თუ კი უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა საჭირო მოთხოვნას აკმაყოფილებს, დაახლოებით რა ვადაში შეიძლება მიიღოს ქართული პასპორტი?**

— ზოგადად, მიღებაზე ძალიან ცოტაა განაცხადი, სულ რამდენიმე შემთხვევაა წელიწადში, იმიტომ, რომ უმეტესობას არ სურს, დატოვოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა. შესაბამისად, მინიჭებაზე გაცილებით მეტია, ვადას რაც შეეხება, აქ არის სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს ვადას 30-დან 90 დღემდე.

**— ავიღოთ ასეთი შემთხვევა: მოქალაქეობის მოთხოვნით მოდის ორი პირი — ერთი — ეთნიკურად ქართველი, მეორე — არაქართველი, აქვს თუ არა რაიმე უპირატესობა ქართველს?**

— თუ სტატუსით მოქალაქეობის არმქონე ხარ, აქ მთავარია სამართლებრივი მდგომარეობა და ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე სხვა კრიტერიუმებით შევაფასოთ.

**— მოკლედ, კანონი ქართველს არ ანიჭებს უპირატესობას?**

— არა.

**— ისე, ბევრია ყოველწლიურად საქართველოს მოქალაქეობის მსურველი?**

— ჩვენ წელიწადში დაახლოებით 5000-დან 6000-მდე დადებით დასკვნას ვაკეთებთ.

**— როგორც ვიცი, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ქართველს, არაქართველისგან განსხვავებით, ბინადრობის უფლების მისაღებად ორი მოწმის ხელმოწერა სჭირდება. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?**

— დიახ, ეს ასეა. უცხო ქვეყნის მოქალაქეს დროებით ბინადრობაზე არ სჭირდება მოწმის ხელმოწერა, ვინაიდან ეს არის დროებითი საცხოვრებელი ადგილის დადასტურება, ანუ, მარტივად თუ ვიტყვით, ამით ხდება მათთვის პროცედურის გამარტივება, რომ ხელი შევუწყოთ შემოსვლაში და შესაბამისი დოკუმენტების აღებაში.

**ლევან სამადაშვილთან საუბრის შემდეგ, რომლის სამსახურიც იქვე, იუსტიციის სახლის მესამე სართულზეა, დაბლა ჩავედი და სტრუქტურის სამუშაო პროცესს დავაკვირდი. დაახლოებით ერთი საათი ვიდექი მეექვსე სივრცეში და ვცდილობდი, გამეგო, ვინ რა მიზნით, რის გასარკვევად ან რა პროცედურისთვის მიდიოდა ოპერატორთან. ცნობისთვის: იუსტიციის სახლში მეექვსე სივრცე ის ადგილია, სადაც ხალხი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ანუ პასპორტის ასაღებად მიდის. იმ ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით ოცამდე უცხოელი მივიდა საბუთებით ხელში მაგიდასთან; მათგან სამს, პირადად დავინახე, როგორ გადასცეს შინდისფერი „ბროშურა" საქართველოს გერბით...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გვინდა თუ არა ნატო?

სოსო ცინცაძე:

# ნატოსთან ინტეგრაცია სრულიად გამორიცხულია

დისკუსიას, რომელიც თვე-ნახევარია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მიმდინარეობს, ძალიან ბევრი ადამიანი გამოეხმაურა, ზოგი — წერილობით, ზოგიც — სატელეფონო ზარებით. ყველა მათგანის მოსაზრება საგულისხმო და მნიშვნელოვანია და შევეცდებით, რომ დიდი ნაწილი გამოქვეყნდეს კიდეც. დღევანდელი დისკუსია ერთი სატელეფონო ზარით უნდა დავიწყო:

თელავიდან ქალბატონმა თინა ხუციშვილმა დარეკა და ასეთი რამ გვითხრა: „2008 წელს რომ პლებისციტი ჩატარდა, მე კომისიის წევრი ვიყავი. წინასაარჩევნო პერიოდში კარდაკარ დავდიოდით, გაფრთხილებული ვიყავით, ყველასთვის გვეთქვა, კითხვაზე „გვიდა თუ არა ნატო?" შემოეხაზათ „დიახ". ხალხი გაოგნებული გვეკითხებოდა, — ეს ნატო ვინლააო? აი, ასეთი არჩევნები ჩატარდა მაშინ. ისე, პრეტენზია მაქვს იმაზე, თუ რატომ არ გვიხსნიან გასაგებად. როდესაც მთავრობის წევრები სადმე მიდიან და რაღაცაზე ხელს აწერენ, უფლება ხომ გვაქვს, ჩვენც ვიცოდეთ სიმართლე. ბოლოს და ბოლოს, მეც ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, ჩემი აზრი გამაჩნია და იქნებ ვინმემ იკითხოს, რა მინდა?".





**«ჩვენ ნატოში არავინ მიგვიღებს. წლები გავა და სულ გვეტყვიან, რომ ჯერ ასპირანტები ვართ, მერე დოქტორანტები გავხდებით, პროფესორობასაც და აკადემიკოსობასაც მივაღწევთ, მაგრამ ნატომდე ვერასოდეს მივალთ»**

ჩვენი დისკუსიის დღევანდელი სტუმარი კი პოლიტოლოგი და ექსპერტი სოსო ცინცაძეა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაბედა და საზოგადოებას ხელშეკრულების პარაფირებასთან დაკავშირებით სიმართლე განუცხადა: „ევროკავშირში გაწევრიანება შორეული პერსპექტივაა. ჩვენ გვაქვს კონკრეტული საშინაო დავალება მოცემული. ეს არის თურქი მესხების ჩამოსახლებისა და სასამართლო რეფორმის საკითხები. **არანაირი გარანტია იმისა, რომ ერთ წელიწადში აუცილებლად იქნება ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება, არ არსებობს. სულ რაღაც 15 დღის წინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ დღეს უკრაინაც მოაწერდა ხელს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. წინასწარ ნურაფერს დავგეგმავთ. პარაფირება, როგორც დიპლომატიური აქცია, დიდს არაფერს მოასწავებს.** ეს არავითარი გარანტია არ არის და არავითარი იურიდიული ვალდებულება არ აულია ევროკავშირს პარაფირებით". მან ასევე გაგვარკვია იმაშიც, გვექნება თუ არა ევროპასთან უვიზო ან გამარტივებული სავიზო რეჟიმი: „მიკვირს პატარა ხბოებივით აღფრთოვანებული პოლიტიკოსები, ენა რომ ებმებათ სიხარულისგან, რატომ არ აკეთებენ კომენტარს დიდი ბრიტანეთის პრემიერის — დევიდ კამერონის ძალზე მწვავე და ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო განცხადებებზე. როდესაც მან თქვა, რომ უნდა გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი, ვინაიდან მთელი აღმოსავლეთ ევროპა გადმოსახლებულია ბებერ ევროპაშიო, კამერონმა თქვა, რომ ბრიტანეთში უნდა გადმოსახლებულიყო 14 ათასი პოლონელი და 14 ათასის ნაცვლად 700 ათასი შემოვიდაო. ვკითხულობ: თუ პოლონელებს, ბრიტანელებს, ჩეხებს, რუმინელებსა და უნგრელებს არ უშვებენ, ქართველებს ვინ შეუშვებს?"

**— ბატონო სოსო, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ფურცლებზე, უკვე რამდენიმე ნომერია, მიმდინარეობს დისკუსია თემაზე: გვინდა თუ არა ნატო. შეკითხვასაც პირდაპირ ასე დაგისვამთ: გვინდა თუ არა ნატო?**

— საუბარს ასე დავიწყებ: უნდივართ თუ არა ნატოს? დღესვე რომ გადაწყვიტოს ნატომ ჩვენი მიღება, რა თქმა უნდა, გვინდა და გვენდომება, მაგრამ ჩვენ თვითონ მზად ვართ ნატოსთვის? საქართველოში, თავიდანვე მახინჯ ფორმებში დაიწყო ნატოსთვის მზადება, ვგულისხმობ იმას, რომ კომპლექსურად არ დაიწყო ამაზე ზრუნვა. ჩვენ გვეუბნებიან, ქვეყანა ნატოში რომ შევიდეს, ამისთვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ გვყავდეს ევროპული ჯარი ნატოს სტანდარტებით, იყოს დემოკრატია, სასამართლო, არჩევნები ჩატარდეს და ა. შ. ოღონდ **არავის უფიქრია იმაზე, რომ ახლა რუსეთის ბაზრის ათვისების ახალი ეტაპი იწყება. ჰიპოთეტურად დავუშვათ, რომ ჩვენ ნატოში შევედით, რუსეთმა ბაზარი ჩაკეტა და ეს ასეც იქნება, სად და რომელ ბაზარზე უნდა გავიტანოთ ჩვენი პროდუქცია? ყველას ვურჩევ, რომ საკითხის შესწავლა აქედან დაიწყოს.**

ის, რომ დემოკრატია აუცილებელია, ამ ზღაპრების იმ ექსპერტებს სჯერათ, რომლებიც ბრიუსელში გასუქდნენ.

**ნატოს აქვს ორმაგი სტანდარტი, ასეთი სტანდარტები აქვს ყველას. მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც თავის პრაგმატულ, სახელმწიფო ეგოიზმს უფრო მაღლა არ აყენებდეს, ვიდრე ფასეულობებისადმი ბრმა ერთგულებას.** ორმაგი ინტერესი იყო, როდესაც თურქეთი ნატოში მიიღეს, რა იყო იმ დროს თურქეთი? ეს შეიძლება ჩვენმა ბევრმა ექსპერტმა არც იცის, რადგან თითოეულ მათგანს სამ-სამჯერ აქვთ პროფესია შეცვლილი. ვილაპარაკოთ თუნდაც მაკედონიაზე, საქართველოზე წარმატებულია დემოკრატიის თვალსაზრისით? არა, უბრალოდ, **ნატოს თავის რიგებში ჩვენი მიღება არ სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ელცინის რუსეთის დროს მიგვიღებდნენ.**

**— ნატოში ჩვენი არმიღების მიზეზი ტერიტორიული პრობლემაა?**

— არავითარი ტერიტორია. როდესაც ნატოს დასჭირდა, უნგრეთისა და რუმინეთის მიღება, წუთში ათქმევინეს უარი ტერიტორიებზე.

ჩვენი ქვეყნის „კეთილისმსურველ" ექსპერტებს, როგორც ჩანს, კარგად არ აქვთ წაკითხული ნატოს წესდება, რომელშიც გარკვევით წერია, რომ ნატოს წევრობისთვის შემაფერხებელი შეიძლება იყოს მეზობელთან სასაზღვრო დავა, რაც ჩვენ არავისთან არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანთან საზღვარი დაუდგენელია. ერთი და ყველაზე მთავარი ფაქტორი რუსეთია. **ჩვენ ნატოში არავინ მიგვიღებს. წლები გავა და სულ გვეტყვიან, რომ ჯერ ასპირანტები ვართ, მერე დოქტორანტები გავხდებით, პროფესორობასაც და აკადემიკოსობასაც მივაღწევთ, მაგრამ ნატომდე ვერასოდეს მივალთ.** ნატოს 1949 წლის დოკუმენტში ტერმინი „მაპი" საერთოდ არ არსებობს, ეს შემდეგ მოიგონეს, ისევე, როგორც ევროკავშირის წესდებაში არ არსებობს სიტყვა „ასოცირებული", ამას ხელოვნურად იგონებენ, რომ პროცესები შეაფერხონ, გღებულობ, მაგრამ არ გღებულობ, იმიტომ, რომ მოლოდინში გამყოფონ და სხვაგან არ წახვიდე.

ფაქტია, რომ **სანამ რუსეთი ასეთია, ნატოში ვერ შევალთ, მაგრამ, თუ რუსეთში რაიმე შეიცვალა, ნატო აღარც დაგვჭირდება.** რატომ არ ინტერესდებით ჟურნალისტები გერმანიის ელჩის ინტერვიუთი, რომელიც საკმაოდ სკანდალური იყო. მან პირდაპირ განაცხადა: ჩვენ თქვენი გულისთვის რუსეთთან ომს არ დავიწყებთ. რუსეთი იქცა ევროპული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად. ამას ხუთჯერ პროფესიაშეცვლილ ექსპერტებს ვერაფრით გავაგებინებ. **რუსეთი ასჯერ მნიშვნელოვანია ევროპისთვის, ვიდრე საქართველო, ამიტომ ჩვენი ევროპასთან და ნატოსთან ინტეგრაცია სრულიად გამორიცხულია.**

თუ ჩვენ ასე გვაინტერესებს ევროპა, ნატო და მათი მხარდაჭერაც გვჭირდება, ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება დიპლომატებად დილეტანტებს რატომ აგზავნის?! იქნებ ვინმემ მითხრას, ვინ არის ის ქალბატონი სირაძე-დელონი? რა დამსახურებისთვის გახდა ის ელჩი და როდის გახდა ნატოსა და ევროპის სპეციალისტი? ის პოლიტიკოსები, რომლებმაც სირაძე-დელონის ელჩობას მხარი დაუჭირეს, მართლა ფიქრობენ, რომ ასეთი დილეტანტი თუნდაც ერთი ნაბიჯით მაინც წაწევს წინ საფრანგეთის ჩვენდამი მხარდაჭერის პროცესს? ხშირად მიჩნდება ეჭვი, რომ ჩვენმა პოლიტიკოსებმა ბრწყინვალედ იციან, რა შანსები გვაქვს.

**— თუ ყველაფერი კარგად იციან, მაშინ რაში სჭირდებათ ჩვენს პოლიტიკოსებს აბსურდული გზით სიარული?**

— საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკოსების, პარლამენტარების პრივილეგირებული „კასტა", რომლებიც თვეში ორჯერ-სამჯერ გადასახადების გადამხდელთა, ანუ ჩვენს ხარჯზე, ძალიან კომფორტულად მოგზაურობენ ბრიუსელში, სტრასბურგში... **დაინტერესდით ჟურნალისტები და ნახეთ, თუ არსებობს ისეთი დღე, რომ 150-ვე დეპუტატი იჯდეს პარლამენტის სხდომაზე ან ყველა მინისტრი ერთდროულად თბილისში იმყოფებოდეს. დაითვალეთ, რამდენ დღეს იმყოფებოდნენ თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოში.**

**— ეს წინა ხელისუფლების დროს იყო, ახალი ხელისუფლების დროსაც ასე ხდება?**

— დღესაც ასე ხდება. დაუთვალეთ ალასანიას, რამდენი დღე იყო სულ თბილისში? **ყველა მთავრობისთვის ნატო კომფორტია.**

მოკლედ, **ნატო ჯობია უნატოობას, მაგრამ, თუ ნატო „ქოლგად" არ გვექცევა, მაშინ რად გვინდა? უბრალოდ, არ მესმის, რატომ მივისწრაფვით მისკენ? რაც შეეხება გასაჭირში ევროპის დახმარებას, ჩვენ ეს უკვე დავინახეთ.** რუსეთი დიპლომატიურ საკითხებში გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, ხოლო ევროპა უკრაინას როგორ დაეხმარა, ვხედავთ. ეს ყველაფერი ხომ ჩვენ თვალწინ ხდება. ქართველებს რაც გვაკლია, პრაგმატიზმია.

საკითხის ასე დასმა „გვინდა თუ არა ნატო?" სწორად არ მიმაჩნია, საკითხი ასე უნდა დაისვას: ნატოში გაწევრიანების რა პერსპექტივები გვაქვს?

**— უნდა ჩატარდეს თუ არა ქვეყანაში ხელახალი პლებისციტი ნატოში შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით და ხალხის რა რაოდენობა დაუჭერს მხარს ნატოში გაწევრიანებას?**

— მაჩვენებელი ისეთი მაღალი აღარ იქნება, როგორიც იყო 2008 წელს, მაგრამ ცოტაც არ იქნება. როდესაც ქვეყანაში ცუდ ტონად ითვლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა, როდესაც ამ საკითხზე შენი მოსაზრების გამო შეიძლება ჯვარს გაცვან და ანათემას გადაგცენ, ასეთ ვითარებაში ბრმად იტყვიან, რომ ნატო უნდათ, მაგრამ, თუ ჰკითხავ, — რატომ უნდათ ნატო, პასუხს ვერ გაგცემენ. ისე, საინტერესო იქნებოდა, პლებისციტი ასეთი ფორმით ჩატარებულიყო: რატომ გვინდა ნატოში შესვლა? დარწმუნებული ვარ, ყველა ერთ პასუხს გასცემს: — იმიტომ, რომ რუსეთისგან თავი დავიცვათ.

**სიტყვის თქმის უფლება აუცილებლად უნდა მიეცეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნატო რუსეთისგან ვერ დაგვიცავს. ნატო სამხედრო ორგანიზაციაა, ეს არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია და არც წითელი ჯვარი. მან ჩვენი გულისთვის უნდა იომოს, მაგრამ იომებს? ნატომ გვითხრა: თქვენ მაშინ შეძლებთ ჩვენს რიგებში შემოსვლას, როდესაც საფრთხეს თავადვე გაანეიტრალებთო,** მაგრამ საჯაროდ და სახალხოდ ამას ასე ფუთავენ: როდესაც გექნებათ დემოკრატია, ნატოს წევრები გახდებით. მსოფლიოში იდეალური სახელმწიფო არ არსებობს, ამიტომ ბრიუსელს სულ ექნება სათქმელი, რომ დიდი გზა გაიარეთ, მაგრამ უფრო მეტი გასავლელი გვაქვს. რასმუსენმა, ორთვე-ნახევრის წინ თბილისში რომ იყო, თქვა: — თქვენ ბევრი გააკეთეთ ნატოში შესასვლელად, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრი გაქვთ გასაკეთებელიო. რასმუსენის გამოსვლაში „ძალიან" საკვანძო სიტყვა იყო, მან ამით თავი დაიზღვია, მაგრამ ამაზე ყურადღება არავინ გაამახვილა. 2015 წელი ახლოვდება, ნატოს გაფართოების სამიტი. გახსოვთ, ალბათ, ლისაბონის სამიტის შემდეგ სააკაშვილმა თავდაჯერებით განაცხადა, რომ 2015 წელს ნატოს საბაბი აღარ ექნება, ჩვენ უარი გვითხრასო. ეს წელიც ახლოვდება, ისინი კი საბაბს ეძებენ უარის სათქმელად.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

P.S. „საქართველო და მსოფლიო" ნატოს თემაზე დისკუსიას განაგრძობს. საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემა ყველა მსურველს.
დაგვიკავშირდით: ტ.: 591 195 907,
ელექტრონული ფოსტა: ekanaskidashvili@mail.ru
ან გაზეთში მითითებულ მისამართებზე.

**„ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავდით, რომ დასავლელი პოლიტიკოსები დემოკრატიის ნიღაბქვეშ ამართლებდნენ 7 ნოემბრის დარბევას, 26 მაისის სისხლიან მოვლენებს და ნებისმიერ აღვირახსნილ ქმედებას. ისინი გამუდმებით თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რომ ყველა ტელევიზია ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში იყო, ადამიანებს აპატიმრებდნენ და აწამებდნენ საკუთარი აზრის გამოთქმისთვის.“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დემოკრატიის სახელით ნაწამები საქართველო

**ოც წელზე მეტია, რაც ქართველებმა ნანატრი თავისუფლება მოვიპოვეთ, განვითარებადი ქვეყანა გვიწოდეს და შესაბამისად, გვესმის ლოზუნგები: „ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას“, „საქართველო ნელა, მაგრამ დემოკრატიული ქვეყნების სიას წარმატებით უერთდება“.
წლები გადის და ხალხმა დემოკრატიის აზრი და არსი ვერაფრით გაიგო, მთავრობები სადღაც ჩადიან, ხელს რაღაცებზე აწერენ, იქიდან დაბრუნებულნი გვმოძღვრავენ, თავად ფულს შოულობენ, ხალხი კი მშიერია და უკეთესი მომავლით ამუნათებენ, რომელიც ქართველისთვის არა და არ დადგა.
დემოკრატია გადაგდებული მთავრობაა? გაყალბებული არჩევნები? თავისუფალი აზრისთვის დაპატიმრებული ადამიანები? ქუჩაში, გაურკვეველ ვითარებაში მოკლული პოლიტიკოსები? გეი-აღლუმები? თუ სადარბაზოში მოფსმა?
ამ საკითხებზე მოსახლეობაში გამუდმებული დავები მიმდიმარეობს. ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: — „ვინც გინდა მოვიდეს, ოღონდ დემოკრატია აღარ ახსენოს“ ან „დემოკრატიის ხსენებაზე ტანში მზარავს“ და ა.შ. რამ გამოიწვია ასეთი უარყოფითი განწყობა ამ, ყველასთვის „სანატრელი“ სიტყვის მიმართ, რატომ არავის სჯერა, რომ ოდესმე საქართველოც დემოკრატიული ქვეყანა იქნება? ან თუ დადგება ჩვენს ცხოვრებაში დღე, როდესაც დემოკრატიის სახელით უცხოტომელები არ მიგვითითებენ, რა და როგორ უნდა ვაკეთოთ? რა ხდებოდა მთელი ამ ხნის მანძილზე დემოკრატიის სახელით?
„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე.**



სანდრო ბრეგაძე:

**ყველა კატაკლიზმი ბუშების მმართველობის დროს მოხდა — 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება უფროსი ბუშის დროს, ხოლო „ვარდების რევოლუცია“ და 2008 წლის აგვისტოს ომი უმცროსი ბუშის პერიოდში**

**— რა ხდებოდა და ხდება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის სახელით?**

— ოცი წლის განმავლობაში მცნება „დემოკრატია“, ჩვენდა სამწუხაროდ, დიქტატორული და ავტოკრატული მმართველობის სათამაშო იარაღი გახდა. დემოკრატია დააკნინეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც ავი და, ხშირ შემთხვევაში, მოღალატეობრივი ზრახვებისთვის გამოიყენეს იგი, შეფუთეს და თავი გაიმართლეს.

**პირველი იმედგაცრუება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან დაიწყო. კრიმინალურმა ელემენტებმა დემოკრატიის სახელით კანონიერი ხელისუფლება დაამხეს. მაშინ დემოკრატიას ყველაზე დიდი და საშინელი დარტყმა მიაყენეს.**

ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და სხვა ოდიოზური ფიგურები წარმოჩინდნენ, როგორც დემოკრატიის დამცველები და დემოკრატიის სახელით, სამხედრო გადატრიალებაც მოახდინეს. ამ ფაქტმა სახელმწიფოში საფუძველი დაუდო დემოკრატიის მცნების დევალვაციას და ამ მცნების არასწორად გამოყენებას. სწორედ იქიდან დაიწყო ის საშინელება, რასაც სამხედრო საბჭო წლების მანძილზე ჩადიოდა და ისიც, რაც მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა.

**მეორე ეტაპი იყო შევარდნაძის მმართველობა. შევარდნაძემ და კრიმინალებმა, ფაქტობრივად, დემოკრატიის ნიღაბქვეშ განახორციელეს მიტინგების დარბევა, დახვრეტა, ოჯახების აწიოკება, აფხაზეთის დაკარგვა.**

როდესაც საქართველოში ჯეიმს ბეიკერი იყო ჩამოსული, მოსახლეობა ხედავდა, თუ როგორ ეხვეოდა ის შევარდნაძეს, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს, ხოლო იქვე, რამდენიმე მეტრში კრიმინალები მომიტინგეებს ხვრეტდნენ, მაგრამ ბეიკერი მაინც ამბობდა, რომ საქართველოში დემოკრატია მყარდება. ყოველივე ამის შემხედვარე ქართველს ხალხს დემოკრატიის მიმართ ერთგვარი ნიჰილიზმის განცდა გაუჩნდა.

ეს ძალიან მცირე მაგალითებია, რამაც დაღი დაასვა დემოკრატიას საქართველოში. **ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავდით, რომ დემოკრატიულად ცნობილი დასავლეთის ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდნენ ათასი ჯურის ნაძირლების ხელისუფლებას და ამბობდნენ, რომ საქართველოში დემოკრატია ფეხს იკიდებდა.**

არადა, რეალურად, შევარდნაძის კრიმინალური ხელისუფლების მხარდაჭერა დასავლეთის იმ ლიდერების მხრიდან, — ესენი გახლდათ გენშერი, ბეიკერი, — იყო დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ისინი ხშირ შემთხვევაში სცოდავდნენ და დემოკრატიის დევალვაციაც მათი დიდი დამსახურებაა. იმ წლებში დავინახეთ, რომ **შევარდნაძის ხელისუფლების ყველა ქმედება, იყო ეს კორუფცია, ადამიანთა წამება და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სისაძაგლე, ერთგვარად ვიზირებული იყო დასავლეთის „დემოკრატიული“ წრეების მიერ, რამაც უდიდესი დაღი დაასვა დემოკრატიის ცნებას საქართველოში.**

მესამე ეტაპი არის ეტაპი, როდესაც დემოკრატია საბოლოოდ „გაშავდა“ — სააკაშვილის მმართველობის პერიოდი. მართლაც სამარცხვინო და ამაზრზენი იყო და დღესაც იგივე განცდა მაქვს, დასავლეთის ზოგიერთი დემოკრატი პოლიტიკოსის მიერ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისადმი უპირობო მხარდაჭერა რომ მახსენდება. ქართველებს კარგად გვახსოვს ჯორჯ ბუშ (უმცროსის) ფრთიანი ფრაზა, რომელიც პირდაპირ დემოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მან სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. ისტორიამ კი დაგვანახა, რომ, ფაქტობრივად, სააკაშვილი დიქტატორი და პირსისხლიანი მმართველი იყო. ბუშის სიტყვები კი დღეს სასაცილოდ ჟღერს.

**ჩვენ წლების განმავლობაში ვხედავდით, რომ დასავლელი პოლიტიკოსები დემოკრატიის ნიღაბქვეშ ამართლებდნენ 7 ნოემბრის დარბევას, 26 მაისის სისხლიან მოვლენებს და ნებისმიერ აღვირახსნილ ქმედებას. ისინი გამუდმებით თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რომ ყველა ტელევიზია ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში იყო, ადამიანებს აპატიმრებდნენ და აწამებდნენ საკუთარი აზრის გამოთქმისთვის.**

ჩვენ დავინახეთ, რომ ცნობილ ციხის კადრებს დასავლეთის მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, ისინი სააკაშვილის ავტოკრატიულ მმართველობას ბოლომდე იცავდნენ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას პირდაპირ ეუბნებიან, რომ, თუ სააკაშვილსა და მის დანაშაულებრივ ბანდას დააპატიმრებენ, მაშინ ეს ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიის გზაზეო. ეს კი, საფუძველშივე მცდარი მოსაზრებაა, რადგან **სამართლიანობის აღდგენა არის დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპი და არა ის, რომ დანაშაულს ხელი დააფარო.**

შევეცადე, მმართველობის სამი ეპოქა მოკლედ დამეხასიათებინა, მაგრამ, ალბათ, მოვახერხე, რომ დამენახვებინა, ამ წლების განმავლობაში როგორ ხდებოდა დემოკრატიის დევალვაცია და ადამიანებისთვის დემოკრატიის შეზიზღება. კომპლექსში აღებული ყველაფერი ერთად არის რეალური მიზეზი, რომ დემოკრატია ფართო მასებში, არც თუ პოპულარულია.

**— ბატონო სანდრო, თუ შეძლებთ, გაიხსენოთ საქართველოში დაფინანსებული და ძალდატანებით განხორციელებული დასავლეთიდან შემოსული პროექტები?**

— გრანტებით ნაკვები არასამთავრობო ორგანიზაციების თითქმის ყველა პროექტი იყო დემოკრატიის ნიღაბქვეშ მიმდინარე კრიმინალური და არაადეკვატური ქმედება. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ფაქტს მოვიყვან. გახსოვთ, ალბათ, „კმარას“ პროექტი. სოროსის ფონდის დახმარებით ათეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა, რომ „კმარა“ შექმნილიყო, „ჰიტლერიუგენდის“ ანალოგიური ორგანიზაცია და იქიდან წამოსულმა, კარგად დამოძღვრილმა ადამიანებმა შესაბამისი დიქტატურაც დაამყარეს. **ახალაიებმა, კეზერაშვილმა, რამიშვილმა, ბოკერიამ და რა ვიცი, კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლება, ამ პირსისხლიანმა ჯალათებმა დემოკრატიის სახელით, საკმაოდ დიდი თანხა მიიღეს, მიიღეს მხარდაჭერა და შემდგომში დემოკრატიის დროშის ქვეშ ადამიანებს აწამებდნენ.**

„კმარა“ და მისნაირი ორგანიზაციების დაფინანსება გამუდმებით ხდებოდა და ხდება დემოკრატიის ნიღაბქვეშ ამოფარებული დასავლეთში მოღვაწე ფონდების მიერ. ის მონსტრი, რომელსაც სააკაშვილი ერქვა, სწორედ მათი დაფინანსებით მივიღეთ.

**„დემოკრატიული“ ფონდების დახმარებით ყალბდებოდა ყველა არჩევნები. ვითომ დემოკრატიის დასანერგი ფონდები ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან აფინანსებდნენ არჩევნების გაყალბებას.** როგორი სასაცილო და აფსურდი იყო, ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა საპარლამენტო არჩვენებში ორ მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვეს და ეს, იმ პერიოდში, დასავლეთის მხრიდან აღქმული იყო, როგორც დემოკრატიის გამარჯვება. ამის შემდეგ, იყო პერიოდი, როდესაც **შევარდნაძემ ყველა არჩევნები გააყალბა. გავიხსენებ ჯუმბერ პატიაშვილისა და შევარდნაძის საპრეზიდენტო კამპანიას. პატიაშვილმა მას არჩევნები მოუგო, თანაც ძალიან დიდი პროცენტით და შევარდნაძემ არჩევნები ტოტალურად გააყალბა, ხოლო მთელმა „დემოკრატიულმა“ სამყარომ აღიარა, რომ ის კანონიერი პრეზიდენტი იყო.**

**ასე იყო სააკაშვილის ყველა არჩევნების დროსაც. ლევან გაჩეჩილაძემ მოიგო არჩევნები, მაგრამ ძალადობრივი გზით სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად გამოცხადდა. მაშინაც მთელმა „დემოკრატიულმა“ სამყარომ არჩევნები სამართლიანად აღიარა.** ასეთი მაგალითების დასახელება ძალიან შორს წაგვიყვანს და თქვენი გაზეთის ფურცლები ამას არც ეყოფა. უბრალოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩვენი დამღუპველი ფაქტები გავიხსენე.

**— მართალია, ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ახლა მინდა, გაიხსენოთ, როდიდან და ვისი დაკვეთით დაიწყო ის, რომ საქართველო განვითარებად ქვეყნად გამოეცხადებინათ?**

— მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ანუ დეკლარირებულად გამოცხადდა ზვიად გამსახურდიას პერიოდში, ამ ვითომ დემოკრატიულმა ქვეყნებმა ჩვენი დამოუკიდებლობა ერთი წელიწადი არ სცნეს. შემდეგ, როდესაც აღიარება მოხდა, ეს უკვე შევარდნაძის პერიოდში, საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს, რითაც შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. **განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მინიჭებამ ძალიან დიდი და უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე.**

**სხვადასხვა ევროპული ფონდი საქართველოში ახორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომელმაც თითქმის ყველა სფეროზე დამღუპველად იმოქმედა, განსაკუთრებით კი განათლებაზე. შევარდნაძის შემდეგ ეს პროცესი მისმა „მოწაფეებმა“ გააგრძელეს. შევარდნაძემ ბუშის ადმინისტრაციის ინტერესები გაატარა.**

ამერიკის ისტორიაში ორი ყველაზე ცუდი მმართველი — მამა-შვილი ბუშები იყვნენ, რომლებმაც დაღი დაამჩნიეს მსოფლიო პოლიტიკას. ყველა კატაკლიზმი, რომლებიც საქართველოში მოხდა, იყო ბუშების მმართველობის დროს, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება უფროსი ბუშის დროს, ხოლო „ვარდების რევოლუცია“ და 2008 წლის აგვისტოს ომი უმცროსი ბუშის პერიოდში.

დემოკრატიის ყველაზე დიდი მტრები არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ მცნებას არასწორად იყენებენ და ამით მოსახლეობაში აგრესიას იწვევენ. დემოკრატია არ უნდა ყალიბდებოდეს ჯორჯ სოროსის ნება-სურვილის მიხედვით, ეს უნდა ხდებოდეს იმ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორი ინტერესებიც კონკრეტულ ქვეყნებს აქვთ. საქართველოს შეიძლება სხვა ინტერესი ჰქონდეს, ამიტომ ერთიან, გლობალურ ყალიბში ყველა ქვეყნის ჩამოსხმა მკვდრადშობილი იდეაა და არასდროს არ გამოვა. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ყველა ერს თავისი განვითარების გზა აქვს და ამ გზას პატივი უნდა სცენ, **ჩვენ ჩვენთვის განსხვავებულ იდეოლოგიას წლების განმავლობაში თავს გვახვევდნენ და დღესაც ცდილობენ მოგვახვიონ. ქართველისთვის მთავარი მცნებაა ის, რაც ყველაზე დიდმა დემოკრატმა ილიამ დაგვისახა „მამული, ენა, სარწმუნოება“.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვე კაი ხალხო, თვით ამერიკელებმაც კი, რომლებიც დღეს მსოფლიო ლგბტ-პედერასტების უპირველესი მფარველები არიან, გასული საუკუნის 70-იანებში კოსმოსში გენიალური ქართული „ჩაკრულო“ გაუშვეს და თქვენ, ლიტველებს, რა გეტაკათ, რომ მოცემულ კონტექსტში რაღაც უსიამო ასოციაციების გამომწვევი „კინტოურის“ მეტი ჩვენთვის ვერაფერი გაიმეტეთ?**

# საუკუნის აფერა «ისტორიულ» სამიტზე

# რატომ მალავენ პარაფირებული დოკუმენტის შინაარსს?

**„პირველად იყო სიმღერა, სიმღერა მრავალხმიანი და სიმღერისგან შეიქმნა“ ზღაპარი საქართველო-ნატოს პლატონურ სიყვარულზე და პლატონური სიყვარული, ხომ იცით, რასაც ნიშნავს ქართულ იუმორისტიკაში? ანუ შენ გიყვარს და უნამუსო პლატონა კი...**




ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს, სულ რაღაც 2-3 საათით პირველად გვესტუმრა ნატოს მაშინდელი გენმდივანი და მას შემდეგ, ვიდრე რასმუსენამდე, ლამის 20 წელიწადია, გვიმღერიან-გვიყვებიან ზღაპარს ნატო-საქართველოს პლატონურ სიყვარულზე, რომ ოღონდ დღეს არა, მაგრამ ხვალ, ხვალ თუ არა, ზეგ და ზეგაც თუ არა, მაზეგ „სტოპრო“ მიგვიღებენ ნატოში. მთავარი ხომ ის იყო, რომ ნატოს კარი ღიაა და ამ ღია კარის შემყურეებმა ჯერ „მაპზე უკეთესი“ მივიღეთ, შემდეგ „ასპირანტობას“ მივაღწიეთ და ვინ იცის, მომავალში იქნებ „პროფესორობასაც“ გამოვკრათ ხელი?!

ამ სიყვარულის სანაცვლოდ კი ქართველ საჯიშე ბიჭებს ავღანეთის სასაკლაოზე ერეკებოდნენ და დაიძრა კიდეც ყანდაჰარ-ჰელმანდიდან ქართული კუბოების ქარავანი თბილისისკენ!

დღეს შინაურ ნატოელებსაც კი აღარ სჯერათ ნატოს ზღაპრისა! თუმცა როდის სჯეროდათ, როო? — ყოველთვის ძალიან კარგად იცოდნენ და მითუმეტეს აგვისტოს ომის შემდეგ, რომ საქართველოსთვის ნატო ქიმერა, საუკუნის აფიერაა. უბრალოდ მიხვდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, საქართველოს მოსახლეობის 80% „უჭერს მხარს“ ევროატლანტიკურ არჩევანს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება იფეთქოს ამ 80%-მა და ნატოს ხსენებაზე თავპირი დაანგრიოს ქართველ ნატოელებს, რადგან ქართული საზოგადოება იმასაც მიხვდა, რომ არანაირი 80%, მითუმეტეს აგვისტოს ომში „გამარჯვების“ შემდეგ, ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს და ეს ზღაპარი მხოლოდ „ნაცებ-ქოცების“ 2-3-პროცენტიანი რეიტინგის მქონე ელიტის ხელისუფლებაში დარჩენისთვის არის მოგონილი!

ამიტომ გახდა საჭირო რაიმე ახალი მითის შექმნა და აკი შექმნეს კიდეც „ნაცებ-ქოცების“ მფარველებმა დასავლეთში, რაც სხვა არაფერია საქართველოსთვის თუ არა კიდევ ერთხელ „მაპზე უკეთესი“...

**ფინანსების, მუშახელის თავისუფალი მიმოქცევა, გადაადგილება, თავისუფალი ვაჭრობა და სავიზო რეჟიმის ნელ-ნელა ლიბერალიზაციით ეტაპობრივი სვლა უვიზო რეჟიმისკენ ევროკავშირის ტერიტორიაზე — აი, ის სიკეთეები, რომელთაც გვიქადის პარაფირების შემდეგ ხელმოწერა ერთი წლის მერე. კი, ბატონო, მაგრამ იმ 1000-გვერდიან დოკუმენტში, რომელზეც ხელისმოწერამ საქართველოს საგარეო მინისტრი სიხარულისგან აატირა, მხოლოდ ეს „ორი სიტყვა“ წერია? მაშ, რატომ არავინ არაფერს გვეუბნება დოკუმენტის სრულ შინაარსზე?**

ის 350 კანონი, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ ვილნიუსში პარაფირებიდან უკვე დოკუმენტის ხელმოწერამდე, ანუ იმ სიკეთეების სანაცვლოდ, რომელსაც ეტაპობრივად გვპირდებიან, მყისიერად ხომ არ ითხოვენ ჩვენგან ისეთი „უმნიშვნელო“ ვალდებულებების საკანონმდებლო გარანტიებს, როგორიც ათასობით ე. წ. თურქი მესხის ჩამოთესლებაა საქართველოში ან ლგბტ-პედერასტების უფლებების უმკაცრეს დაცვას ხომ არ გვთხოვენ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების ჩათვლით?

ანდა ვილნიუსის სამიტის დღეს შემთხვევით დაემთხვა სოფელ ჭელაში მინარეთის აღდგენა და ქრისტიანული საშობაო მარხვის დაწყების პირველ დღეს მინარეთიდან მოლა-მუეძინის ყივილი? ხომ არ იყო ეს წინასწარ განზრახული მკრეხელობა — რესპუბლიკელების (რესპუბლიკელი საკრებულოს თავმჯდომარის ძალისხმევით მიიღეს მინარეთის ხელმეორედ მონტაჟის გადაწყვეტილება) გზავნილი ამერიკაში — ხელი არ ჩაიქნიოთ ჩვენზე, ცოტაც გვაცალეთ და იავარვყოფთ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, როგორც მტერს, ყოველი ლიბერასტულისასო! იქნებ შალახოს რიტმები იყო შემთხვევით აჟღერებული „ისტორიულ სამიტზე“?

**ჩვენი ბრალი არ არის — რა მუსიკას დაუკრავდნენ, მასპინძელ-ორგანიზატორი ქვეყნის კომპეტენცია იყო „შალახო-კინტოურის“ ჰანგებიო, თავი იმართლა ამ მართლა კინტომ — კოკა ყანდიაშვილმა, რომელიც თურმე საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შეფიც ყოფილა...**

ჰოდა, მით უარესი ჩვენი „მეგობარი“ ლიტვისთვის — თქვე კაი ხალხო, თვით ამერიკელებმაც კი, რომლებიც დღეს მსოფლიო ლგბტ-პედერასტების უპირველესი მფარველები არიან, გასული საუკუნის 70-იანებში კოსმოსში გენიალური ქართული „ჩაკრულო“ გაუშვეს და თქვენ, ლიტველებს, რა გეტაკათ, რომ მოცემულ კონტექსტში რაღაც უსიამო ასოციაციების გამომწვევი „კინტოურის“ მეტი ჩვენთვის ვერაფერი გაიმეტეთ?

არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ამდენი შემთხვევითი დამთხვევის მხოლოდ დამთხვეულმა შეიძლება დაიჯეროს...

უკრაინამ ევროკავშირის „შნირობაზე“ თქვა უარი — აი, მოკლედ ის, თუ რა და რის გამო ხდება კიევის მაიდანზე. უფრო ვრცლად კი, ნატოსი არ იყოს, რომლის ყველა წევრი ალიანსში თანაბარუფლებიანი ვერ იქნება, სწორედაც არათანაბარი „წონისა“ გამო (ანუ, ვთქვათ, ხვალ რუსეთი „გაგიჟდა“ და ბალტიის რომელიმე ქვეყანაში ტანკები შეიყვანა, მხოლოდ გიჟს თუ ჰგონია, რომ ავტომატურად ამოქმედდება ნატოს წესდების ის პარაგრაფი, რომელიც ღაღადებს, რომ ალიანსის რომელიმე წევრზე თავდასხმა მთელს ნატოზე თავდასხმას ნიშნავს და ნატოს „შნირი“ ქვეყნის გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყება), ევროკავშირშიც არიან განსაკუთრებითი უფლებების მქონე ჰეგემონი ეკონომიკური მონსტრები: საფრანგეთ-გერმანია-ბრიტანეთი, შედარებით დაბალი რანგის იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია, მოკლედ ე.წ. ბებერი ევროპა და დანარჩენ, ყოფილ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე (ჩეხეთ-სლოვაკეთზე, ბულგარეთ-რუმინეთზე, უნგრეთზე, ბალკანეთის თუ ბალტიის ქვეყნებზე) მხოლოდ მესამე რიგში თუ შეიძლება საუბარი.

ე. წ. აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებს, რომელთა შორის უკრაინასთან ერთად საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი განიხილებოდა, ნატოსი არ იყოს, მხოლოდ როდინობის კვირის შვიდშაბათს თუ „ეჯღანებათ“ ევროკავშირის წევრობა!

„შნირი“ ციხის ჟარგონზე დამლაგებელს, „პარტნოის“, „პარაშის“ გამტანს, პარიკმახერს, მრეცხავს, ერთი სიტყვით, „ბიტავოი აბსლუგას“, მოსამსახურეს ნიშნავს და აღმოსავლეთ პარტნიორობის მაქსიმუმი სწორედ მდიდარი ევროპელებისთვის ხელის ბიჭობას, უკანალის წმენდას გულისხმობს ჩვენისთანა ქვეყნების მცხოვრებთათვის, რაზეც უარს, სხვათა შორის, არც ასოცირების პარაფირებამდე გვეუბნებოდნენ.

ამ ყველაფერთან ერთად, უკრაინის „რადამ“ და პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მისხალ-მისხალ აწონეს უკვე ასოცირებული წევრობის პლუს-მინუსები და დაინახეს, რომ ხორბლის გარდა (რომელიც ისედაც გააქვთ ევროპაში) კონკურენტუნარიანი საქონელი თითქმის არ აქვთ და ის თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა ევროკავშირთან მხოლოდ ცალკარში თამაში იქნებოდა, ანუ ევროკავშირიდან უკრაინაში შემოვიდოდა მაღალი სტანდარტების და ასეთივე ფასების დაუბეგრავი საქონელი, რაც ადგილობრივი წარმოების თითქმის სრულ სიკვდილს ნიშნავს და ამის საპასუხოდ რუსეთთან შეღავათიანი პირობებით ვაჭრობის გაუქმება, ენერგომატარებლებზე ევროპული ფასის გადახდა იმავე რუსეთისთვის, უკრაინის სახელმწიფოს სრულ კოლაფსს ნიშნავს. ამიტომაც პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ევროკავშირის „შნირობას“ რუსეთთან თანაბარუფლებიანი პარტნიორობა არჩია!..

ეკონომიკაში დიდი ყარამანი არ ვარ, მაგრამ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების ანალიზისას მეც კი დავრწმუნდი, რომ რუსეთის „ზეწოლა“ უკრაინაზე სხვა არაფერია, თუ არა იმავე რუსეთის ზრუნვა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისთვის. რამე თუ უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის რატიფიკაციის და ამავე დროს რუსეთის მიერ უკრაინასთან სავაჭრო შეღავათების სტატუსკვოს შენარჩუნების შემთხვევაში, ევროპა-უკრაინა-რუსეთის კორიდორის „სკვაზნიაკი“, ამ უკანასკნელის ეკონომიკის სიკვდილს ვერა, მაგრამ მნიშვნელოვან ზარალს ნიშნავს. ამიტომ განაცხადა პუტინმა ვილნიუსის სამიტამდე ორიოდე დღით ადრე რომში ვიზიტისას — რა, ჩემს ევროპელ მეგობრებს რომ თავი მოვაწონო, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა უნდა ვაზარალო? და იქით დაადანაშაულა ევროკავშირი უკრაინაზე ზეწოლა-შანტაჟში...

ამავე დროს ვიქტორ იანუკოვიჩმა ისიც აღიარა, რომ ევროკავშირმა დიდიხნის წინ შეპირებული 640 მილიონი ევრო (რაც ზღვაში წვეთია, რადგან უკრაინის ეკონომიკის ევროსტანდარტებამდე მოდიფიკაციას თითქმის ამდენივე, ოღონდ მილიარდი სჭირდება, მაგრამ მაინც) არა და არ მომცა და ახლა, სამიტის წინ მსოფლიო სავალუტო ფონდთან გადამამისამართა და ამ უკანასკნელმა თანხის სანაცვლოდ ხელფასი-პენსიების გაყინვა და შიდა ბაზარზე მოსახლეობისთვის გაზის ტარიფის გაზრდა მომთხოვა, რასაც არასდროს გავუკეთებ საკუთარ ხალხსო!!!

სავალუტო ფონდის მოთხოვნები რომ შეესრულებინა უკრაინის პრეზიდენტს, დასავლეთისგან ორგანიზებულ-დაფინანსებულ მიტინგებზე დღეს მდგომი გაბრიყვებული ხალხი, რომელთაც ჰგონიათ, რომ იანუკოვიჩმა ქაღალდის ნაგლეჯზე ხელის არმოწერით უკრაინელებს ევროპელობა და, შესაბამისად, კეთილდღეობა წაართვა, „გაევროპელების“ შემთხვევაში უეჭველი ეკონომიკური გაჭირვების გამო, იგივე ხალხი ცოტა ხანში ისევ იანუკოვიჩს მოსთხოვდა პასუხს, რაც დასავლეთის ოცნებაა, რადგან იანუკოვიჩის გაპრეზიდენტებამ ჩაშალა უკრაინაში ნარინჯისფერი პროექტი მსოფლიო ნეოლიბერალებისა!

**იმას, რომ დასავლეთი უკრაინაში დაწყებული არეულობების პასიური დამკვირვებელი კი არა, დაინტერესებული მხარეა, ისიც მოწმობს, რომ ევროპის მაღალჩინოსნები (კრეტინი ლეხ კაჩინსკი, ლატვიის პარლამენტის სპიკერი და სხვები) კიევის მიტინგებზე გამოჩნდნენ და პირდაპირ აგულიანებენ, აქეზებენ უკრაინელებს!**

**ამასობაში პრეზიდენტი პუტინი 2 დეკემბერს ერევანში ჩავიდა და დაუფარავად, ყოველგვარი დიპლომატიური მიეთ-მოეთის გარეშე განაცხადა, პრაქტიკულად, უკვე საბაჟო კავშირის წევრ სომხეთის პრეზიდენტთან საუბრისას, რომ რუსეთი ამიერკავკასიიდან არსად მიდის, უფრო მეტიც: საკუთარი პოზიციების განმტკიცებას აპირებს!**

„მოგვარებულია“ ბაქო, ერევანი და ვინ რჩება მესამე „მოსაგვარებელი“ ამიერკავკასიაში? საქართველო! ჰოდა, მარტო საქართველო შეძლებს რუსეთის გეგმების, ამბიციების მოთოკვას სამხრეთ კავკასიაში? ან წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი და დავუშვათ, რომ შეძლოს კიდეც — რისთვის, რატომ, ევროკავშირის, ნატოს, გნებავთ, ამერიკის ან კიდევ უარესი, სამივეს ერთად „შნირობისთვის“?

რა ვიცი, ჩემი მოკლე ჭკუით, „შნირობას“ ისევ ჯერ საბაჟო და შემდეგ ევრაზიული კავშირის თანაბარუფლებიანი, პარტნიორული წევრობა სჯობია, თანაც ოდესმე იქნებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით...

შენ რას იტყვი, მკითხველო?

**დავით მხეიძე**

**ნოვაციები და ტექნოლოგიები ინვესტიციის გარეშე წარმოუდგენელია, პრობლემას ვერ მოაგვარებს ვერავითარი ვაუჩერები, რომლებისთვისაც წინამორბედმა და დღევანდელმა ხელისუფლებამაც ასობით მილიონი „გადაყარეს“, სანამ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხი არ გადაწყდება ყველა სახის ვაუჩერიზაცია წყალში გადაყრილი ხარჯია, სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.**

სტატისტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არარეალური მონაცემები დასაქმების შესახებ და სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნდოვანი პერსპექტივა

**20 წელიწადზე მეტია, საქართველოს მოქალაქეები უმუშევრობას უჩივიან. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ადამიანები სამსახურს ითხოვენ და დამსაქმებელი არ ჰყავთ. ჩვენი ქვეყნის ყველა ხელისუფალი ამ პრობლების საქმის კურსში იყო და შესაბამისად, სამოქმედო გეგმაშიც სულ ეწერა, რომ უმუშევრობა უნდა მოესპოთ, მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა, თუმცა წლების გასვლასთან ერთად უმუშევრობის მაჩვენებელი იკლებდა, რადგან სამსახურად ითვლებოდა საკუთარი მანქანით „ტაქსაობა“, სოფლად გლეხის საქმიანობა და ა. შ. „საქართველო და მსოფლიო“ სტატისტიკური მონაცემებით დაინტერესდა და „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრს“ მიმართა: რა ვითარებაა დღეს საქართველოში უმუშევრობის კუთხით, გაიზარდა თუ შემცირდა უმუშევართა რაოდენობა? რა შედეგი მივიღეთ სოფლის მეურნეობაში გაცემული ვაუჩერების შედეგად და დამუშავდა თუ არა უფრო მეტი მიწა? ახალი ხელისუფლება ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მილიარდი ლარი დახარჯა და საწარმოებიც ამუშავდა.**



**ახალმა ხელისუფლებამ მიწის საკითხთან დაკავშირებით მორატორიუმი გამოაცხადა და 1 წლის განმავლობაში სრულიად გაურკვეველი ვითარება შექმნა**

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ კვლევების მიხედვით, უმუშევრობა, ზოგადად, ერთ-ერთ დიდ ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც მუდმივად ყველა ქვეყანას აწუხებს, იქნება ის ეკონომიკურად განვითარებული თუ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე. მეცნიერულად დადგენილია მისი პირდაპირი კავშირი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. მაგალითად, **ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. იმ ფონზე, როცა ეკონომიკური ზრდა ძალზე დაბალია 2013 წლის პირველი ორი კვარტლის მიხედვით, მშპ-ს ზრდა დაახლოებით 2%-ს შეადგენს, უდავოა, უნდა ველოდოთ უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდასაც.**

**საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს უმუშევრობის დონე 15% იყო, რაც შეეხება 2013 წლის უმუშევრობის მაჩვენებელს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურს ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია.**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2013 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 1,7-ით მოიმატა. „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ანალიტიკოსთა აზრით, უმუშევრობა წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, მთლიანობაში 2.5 პროცენტით მოიმატებს, რადგან მხოლოდ ბიზნესსექტორში დასაქმების 6%-იანი კლება გვაქვს.**

საქსტატის შესაბამისი მიდგომით დასაქმებულად ითვლება არამხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით კერძო ან სახელმწიფო სექტორში იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, არამედ მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც, სარგებლის მიღების მიზნით, ეწევა გარკვეულ საქმიანობას, ანუ თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ, **თუ ოფიციალურ მონაცემებს დავეყრდნობით, უმუშევრობის დონე სოფლად დაახლოებით 8%-ს შეადგენს, ხოლო ქალაქად — 29%-ს, მათ შორის, თბილისში ეს მაჩვენებელი 32%-ს აღემატება, 2012 წლის მდგომარეობით.**

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, 50%-ზე მეტი, დასაქმებულია სოფლად, ხოლო სოფლად დასაქმებულთაგან 82% თვითდასაქმებულია, მათ შორის, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. **სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც გააჩნია საკუთრებაში ან მფლობელობაში საკარმიდამო ნაკვეთები, დასაქმებულად ითვლება.**

სინამდვილეში არიან თუ არა დასაქმებულნი სოფლად მცხოვრებნი, რომლებიც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და შესაბამისად, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან?

ამავე მეთოდოლოგიით, შრომისუნარიანი, ოთხი სულისგან შემდგარი ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოფლად და მის სახელზე ირიცხება 0.25 ჰა-მდე მიწა, დასაქმებულად ითვლება. სოფლად მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს 0.25 და 0.8 ჰა მიწა აქვს. იმ ფონზე, როცა სოფლის მეურნეობა განუვითარებელია, ემატება კიდევ დამატებითი პრობლემა — მიწის სიმცირის, ეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჯერ კიდევ საკუთრებაში აქვს უზარმაზარი მიწის რესურსი (1.4 მილიონი ჰექტარი, აქედან დაახლოებით 350 ათასი ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებია) და **დღემდე არც ერთი ხელისუფლება არ ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომლითაც სახელმწიფოს ხელში არსებული ეს უზარმაზარი და უსარგებლო მიწის რესურსი მოსახლეობას კერძო საკუთრებაში გადაეცემა.**

**წინა მთავრობა ამ საკითხის გადაჭრას ბურების ჩამოსახლებითაც კი აპირებდა, სამწუხაროდ, ყველა ხელისუფალს ეს რესურსი თავისი ჰგონია და პრივატიზების გზით, რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარს ყიდდა ხან უცხოელებზე, ხან მათთან დაახლოებულ პირებზე.**

**ახალმა ხელისუფლებამ კი მიწის საკითხთან დაკავშირებიათ მორატორიუმი გამოაცხადა და 1 წლის განმავლობაში სრულიად გაურკვეველი ვითარება შექმნა.**

სოფლად სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ქონა (1 მოსახლეზე არანაკლებ 2 ჰექტარი) აუცილებელი წინაპირობაა რეალური დასაქმებისთვის, ამისთვის კი სასწრაფოდ მიწის რეფორმაა გასატარებელი, რომლის მთავარი მიზანი სასოფლო-სამეურნეო მიწების აღრიცხვა და კერძო საკუთრებაში გადასვლა უნდა იყოს, განსაკუთრებით კი მრავალწლიანი ნარგავების, სახნავებისა და სათიბების, რადგან სოფლად მცხოვრები, დასაქმებულად მიჩნეული მოსახლეობა და სახელმწიფოც ამ დასაქმებიდან ვერაფერს იღებს, შინამეურნეობები, რომლებიც საშუალოდ 0.25-0.8 ჰექტრამდე მიწას იყენებენ არაეფექტური დასაქმების საშუალებაა.

**წლების განმავლობაში მიწები გასაყიდად ისეთ მსხვილ ლოტებად გადიოდა, რომ მის ფასს მოსახლეობა ვერ შესწვდა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფასი 1 კვმ-ზე ძალზედ დაბალი იყო. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ — სოფლის მეურნეობის განვითარება მიწის გარეშე, სოფლად დასაქმების მაღალი მაჩვენებელი — რეალური დასაქმების გარეშე. ამ დასაქმებულთაგან უმეტესობა ქალაქშია ლუკმაპურის საშოვნელად ან საზღვარგარეთაა გასული არალეგალურად და სასოფლო სამეურნეო ბაზრებზე, ადგილობრივის ნაცვლად, მეტწილად იმპორტირებული, უხარისხო საქონელი შემოდის.**

კერძო საკუთრება არამარტო ამ სფეროში, სხვა სფეროებშიც დიდი პრობლემაა. ეკონომიკა ძალიან ჰგავს მანქანას, ყველაფერი კარგად რომც გააკეთო და ერთი დეტალი დააკლო, ძვრას ვერ უზამ. საბაზრო ეკონომიკისთვის ეს დეტალია კერძო საკუთრების დაბალი წილი, განსაკუთრებით კი მიწასთან მიმართებაში. **სასოფლო-სამეურნეო მიწები, როგორც სოფლად დასაქმების ერთადერთი წყარო, 99,9% -ით კერძო უნდა იყოს, მიწა საქართველოს მოქალაქეებს კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ.**

მიწის რესურსის საერთო ოდენობის თითქმის 50% არარენტაბელურია და მისგან მიღებული სიკეთეც ნულს უტოლდება და, სანამ მიწა სახელმწიფოს ხელშია, ეს პრობლემა არ მოგვარდება.

სახელმწიფო მიწა იყიდება, იყიდება დაბალ ფასად 1კვ.მ 5-10 თეთრად, რაც კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზეც ფასის დაწევას იწვევს.

მიწა იყიდება იმ ადამიანებზე, რომელთა 63% სიღარიბის ზღვარს მიღმაა. არადა, მარტო ყიდვა ხომ არაა საქმე, მიწას ინვესტირებაც სჭირდება.

თანხა, რომელიც რეალურად სოფლის მეურნეობაში იყო და ირიბად თუ პირდაპირ დარგის ინვესტირება უნდა გაეწია, არამიზნობრივად იხარჯებოდა.

სოფლის მეურნეობა სანახევრო სიმძლავრით და თანაც პარალიზებულად მუშაობს დასაქმების კუთხით. თუ არ მოხდება ბუნებრივი გამსხვილება, არ იქნება ინვესტიციები, არ იქნება რენტაბელობა, არ იქნება კონკურენტუნარიანი ჯანსაღი ბაზარი. **ნოვაციები და ტექნოლოგიები ინვესტიციის გარეშე წარმოუდგენელია, პრობლემას ვერ მოაგვარებს ვერავითარი ვაუჩერი, რომლებისთვისაც წინამორბედმა და დღევანდელმა ხელისუფლებამაც ასობით მილიონი „გადაყარეს“. სანამ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხი არ გადაწყდება ყველა სახის ვაუჩერიზაცია წყალში გადაყრილი ხარჯია, სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.**

1 კვმ მიწა 10 თეთრი ღირს, ხოლო მისი საწარმოო ციკლი ამავე ფათობზე მინიმუმ 35 თეთრი ჯდება. არ არსებობს ადამიანი, რომელიც 10-თეთრიან მიწას 35 თეთრით დააფინანსებს.

დასასრულ, სოფლად დასაქმების პარადოქსთან ერთად, საზოგადოებას კიდევ ერთი უცნაურობა უნდა გავაცნოთ: საქართველოში სახნავი 1 კვმ მიწა მაქსიმუმ 0.1 ლარი (10 თეთრი) ღირს, მაშინ, როცა ამ 1 კვ მ მიწაზე ყველაზე მარტივი კულტურა, თუნდაც კარტოფილი, მინიმუმ, 1 კგ მოვა, რომლის ჩასაბარებელი ღირებულებაც ასევე, მინიმუმ, 0.5 ლარია, ანუ ძირითადი, ხანგრძლივი გამოყენების საწარმოო საშუალება 0.1 ლარი ღირს და მასზე მოყვანილი მარტივი კულტურა — 5-ჯერ მეტი.

**სანამ ასეთი პარადოქსები არსებობს, სოფლად დასაქმების საკითხი მოუგვარებელია, ხოლო მონაცემები დასაქმების შესახებ არარეალური და არასანდოა, სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები — საკმაოდ ბუდოვანი და არადამაჯერებელი.**

**ეკა ნასყიდაშვილი**



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2013 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 1,7-ით მოიმატა. «ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის» ანალიტიკოსთა აზრით, უმუშევრობა, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, მთლიანობაში 2.5 პროცენტით მოიმატებს, რადგან მხოლოდ ბიზნესსექტორში დასაქმების 6%-იანი კლება გვაქვს**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში ერთადერთი სერიოზული პერსპექტივა აქვს ეროვნულ ნიადაგზე მდგომი ადამიანების პოლიტიკურ გაერთიანებას, ადამიანებისა, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რომ დინამიური განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის აუცილებელია მაღალი ხარისხის გახსნილობა, სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინება, მართებული ორიენტაცია.“**

# ძალა პოლიტიკური აღმართის მოსახნავად

## რას ფიქრობენ ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის შესახებ საქართველოში

**საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, თუმცა ქვეყანაში დღეს მოქმედი სახელისუფლო თუ ოპოზიციური პარტიების მიმართულებისა და აზროვნების იდენტურობა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, ცხადია. მართალია, ქვეყანაში არიან არასაპარლამენტო (სხვადასხვა მიმართულებისა და იდეოლოგიის მქონე) ოპოზიციური პარტიებიც, მაგრამ მათ, უკვე წლებია, პოლიტიკური რეალობის შეცვლა ვერ მოახერხეს და მათი არსებობაც უკვე ერთგვარ ფორმალობად უფრო იქცა. ამიტომაც, ქართულ პოლიტიკაში ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის აუცილებლობა, როგორც არასდროს, განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლასთან ერთად, პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც წავიდა პოლიტიკიდან, მაგრამ ამ საკითხზე ჯერჯერობით რატომღაც ღიად არავინ საუბრობს. რამდენად დგას დღეს ქართული საზოგადოების წინაშე ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბების აუცილებლობა და როგორი უნდა იყოს ეს ძალა? გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, რას ფიქრობენ აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.**



**ექსპერტი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ახალი სახეების გამოჩენა აუცილებელია.**

— დღეს ქართული პოლიტიკური სისტემა ძალიან არამყარია, ვინაიდან არსებული პოლიტიკური ძალები გამოკვეთილად ჩამოყალიბებულნი და სტრუქტურირებულები არ არიან და ამდენი წელია, მხოლოდ პიროვნებაზე აგებული რაღაც დროებითი ჯგუფები იქმნება და ქრება, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან მძიმე ვითარებას ქმნის. ამიტომ **ახალი ძალებს ჩამოყალიბების აუცილებლობა პოლიტიკური ცხოვრების მოსურნე ადამიანების ამბიციიდან გამომდინარეობს, რათა ქვეყანა შემთხვევით პოლიტიკურ ძალებზე არ იყოს დამოკიდებული, რომლებიც უფრო კონიუნქტურულად მოქმედებენ და ამბიცია იმისა, რომ ქვეყანა განვითარების რაიმე სერიოზულ ორბიტაზე გაიყვანონ, არ გააჩნიათ.** 22 წელია, მოდიან ეს პოლიტიკური ძალები და სხვის სახელს ამოფარებულები მხოლოდ საკუთარი ინტერესების ფარგლებში მოქმედებენ, შემდეგ კი ქრებიან.

დღევანდელ ხელისუფლებას აქვს სერიოზული პრობლემა, რადგან ეს არის ხელისუფლება, რომელიც ერთი პირის მიერ (მოქალაქეების მისდამი ნდობის გამო) არის ფორმირებული. აღსანიშნავია, რომ ეს ნდობაც სიტუაციური იყო, ვინაიდან წინამორბედი ხელისუფლება მიუღებელი იყო ქართველი ხალხისთვის. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არსებულ ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემა აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, ახალი სახეებით უნდა იყოს დაკომპლექტებული ეს ძალა?**

— პოლიტიკაში ახალი სახეები ასე უცებ ვერ ჩამოყალიბდებიან. ვფიქრობ, მთავარია, შეიქმნას სამი-ოთხი თანაბარი ძალის პოლიტიკური ჯგუფი, რომლებშიც გაწევრიანებულები იქნებიან როგორც ცნობილი სახეები, ასევე ნაკლებად ცნობილებიც და სერიოზული პოტენციალის მქონე ახალი ფიგურებიც გამოდნებიან, რომლებიც თავიანთ სფეროებში მოღვაწეობენ, მაგრამ პოლიტიკურად ანგაჟირებულები არ არიან. ამიტომ ვფიქრობ, **საზოგადოების მხრიდან ახალი სახეების მოთხოვნა დილეტანტიზმია. ახალი სახე პოლიტიკაში ასე მოულოდნელად ვერ გაჩნდება და, თუ გაჩნდება, ქართველი ხალხი ერთ დიდ სისულელეს კიდევ დაუშვებს, როგორც ეს მოხდა 2003 წელს, როდესაც მისთვის უცნობ ახალგაზრდებს მისცა ხმა.** ასე რომ, ახალი ძალები ვერ გამოჩნდებიან, საუბარია ახალ კონფიგურაციაზე. ეს ძალებიც ვითარების შეცვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი პოლიტიკური სუბიექტები გახდებიან, ვინაიდან პოლიტიკაში ანგარიშს მხოლოდ ძალას უწევენ. თუ პოლიტიკური ჯგუფი პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს, ის ვერაფერს შეცვლის.

**ვფიქრობ, საქართველოში ერთადერთი სერიოზული პერსპექტივა აქვს ეროვნულ ნიადაგზე მდგომი ადამიანების პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რომ დინამიური განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის აუცილებელია მაღალი ხარისხის გახსნილობა, სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინება, მართებული ორიენტაცია.** ისინი ყველაფერს გააკეთებენ საკუთარი ხალხის, საკუთარი კულტურის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნების მიზნით და არ იმოქმედებენ თავსმოხვეული სქემებით, როგორც ამჟამად ხდება.



**სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, ექსპერტი მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ ახალი პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბების აუცილებლობა არსებობს და ის რეალიზებული იქნება.**

— მიმაჩნია, რომ დემოკრატიული საზოგადოება, რისი შექმნისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ძლიერ ოპოზიციურ ძალას საჭიროებს, ვინაიდან საზოგადოების დიდი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობას“, რომელსაც ძალიან ცუდი ბიოგრაფია აქვს, ოპოზიციად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ოპოზიციური პარტიის, წარმომადგენლები რაიმე მოვლენას აფასებენ, საზოგადოების მხრიდან მაშინვე მათი ბიოგრაფიის შეფასება ხდება. იმას კი არ აფასებენ, რა თქვეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, არამედ იმას, — თუ რა „უფლება აქვთ“, ეს ილაპარაკონ.

**— მაგრამ სხვა ოპოზიციური პარტიებიც ხომ არიან?**

— დანარჩენი ოპოზიციური პარტიები, შეიძლება ითქვას, ვერ „ქაჩავენ“. ვინაიდან, მათ გარკვეულწილად თავიანთი შინაგანი რესურსი ამოწურეს და საზოგადოებაში პოპულარულები არ არიან. ერთადერთი ნინო ბურჯანაძის პარტია შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ეს მაინც ნინო ბურჯანაძის ფაქტორითაა განპირობებული და არა იმდენად პარტიის სიძლიერით. **დღეს საქართველოში არ არსებობს რეალური, ძლიერი ოპოზიციური ძალა, რაც მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ახალი პოლიტიკური ძალა აუცილებლად გამოჩნდება. არ არის გამორიცხული, ეს იყოს გარკვეული ოპოზიციური გაერთიანება, პლუს ახალი სახეები.**

**ვფიქრობ, არსებული ძალებისგან განსხვავებით, ეს ძალა უფრო მემარცხენე უნდა იყოს.** თუ რის შეცვლას მოახერხებს იგი, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად პოპულარული იქნება საზოგადოებაში და რამდენად შეძლებს ხალხის ნდობის მოპოვებას.



**ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენის აუცილებლობა არსებობს.**

— ვინაიდან დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, ორპარტიული სისტემაა, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, დანარჩენი პარტიები კი პოლიტიკიდან მოშორებით არიან. ასეთი ორპარტიული სისტემით არსებობა შეუძლებელია. **ახალი ძალა, ალბათ, უფრო ეროვნული იდეოლოგიის მქონე ორგანიზაცია უნდა იყოს და მე მაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები ასეთი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად ემზადებიან და, ალბათ, გაზაფხულზე ქართულ პოლიტიკაში უკვე გამოჩნდებიან.** თუ აქამდე ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ტირანიის დასამარცხებლად იყო მიმართული და ეს ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა, ახლა უკვე ნელ-ნელა უნდა დაიწყოს პოლიტიკური ცხოვრების ისეთი ეტაპი, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პარტიების ასპარეზიც შესაძლებელი იქნება.

**ჩამოყალიბდებიან როგორც პრორუსული, ისე პროდასავლური, პროევროპული პოლიტიკური ძალები, ასევე ეროვნული იდეოლოგიის მქონე პარტიები.** ჩვენ, ფაქტობრივად, 25 წლის მანძილზე ასეთი რამ არ გვქონია. პირველად უნდა შევეცადოთ, შეიქმნას ასეთი პოლიტიკური გარემო, პოლიტიკური კულტურა, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიისა და მიმართულების მქონე პარტიები იქნებიან. მესმის, რომ ეს რთული განსახორციელებელია, მაგრამ აუცილებელია. ეს მიდგომები უნდა შეიცვალოს, მით უფრო, თუ ევროპისკენ მივისწრაფვით, ბელადომანია უნდა დასრულდეს.



**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი ღლონტი ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენის აუცილებლობაზე საუბრობს.**

— საზოგადოება სამ სეგმენტად გაიყო: ერთია „ნაციონალური მოძრაობის“ მოტივირებული ამომრჩეველი, რომელიც ყველა შემთხვევაში მისი ამომრჩეველი იქნება, მეორე — „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, რომელიც ასევე ნებისმიერ შემთხვევაში ამ ძალას დაუჭერს მხარს და კატეგორია, რომელიც არასდროს გახდება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, ვინაიდან თავის დროზე იყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, მაგრამ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში არ მიიღო მონაწილეობა, რადგან „ქართული ოცნების“ ზოგიერთი გადაწყვეტილება არ მოეწონა. ეს უკანასკნელი ის კატეგორიაა, რომელმაც არც ერთ ზემოხსენებულ პოლიტიკურ ძალას არ დაუჭირა მხარი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **აუცილებლად, თან ძალიან მალე, პოლიტიკურ სივრცეში უნდა გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური პარტია ან კოალიცია, რომელიც იმ ელექტორატთან დაიწყებს მუშაობას, რომელმაც ღია მხარდაჭერა არც ერთ წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიას არ გამოუცხადა.**

დღეს საქართველოს სჭირდება ეროვნულად ორიენტირებული, პატრიოტი და საზოგადოებრივი აზრისა და ნების გამტარებელი პოლიტიკური სუბიექტი. საქართველოში ამჟამად არსებული სიტუაცია კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახალი პოლიტიკური ძალის აღმოცენებისთვის. ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაცია შეიცვალა, ამ პარტიამ თავისი საქმე შეასრულა და მას ქართულ პოლიტიკაში მომავალი არ აქვს. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მინიმუმ რამდენიმეწლიან პერსპექტივაში მასაც არავითარი შანსი არ ექნება. **საჭიროა ახალი ძალა, რომელიც იქნება აბსოლუტურად კომპეტენტური ყველა იმ მიმართულებაში, რომლებიც სასიცოცხლოა ქვეყნისთვის.** ახალი ძალების ადამიანებს გააერთიანებთ იდეები და პროფესიონალიზმი, ქვეყნის სიყვარული და სურვილი იმისა, რომ ერთხელ მაინც გაკეთდეს საქმე, რომელიც იქნება არა ფასადური, არამედ საბაზისო.



**პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით, ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბების აუცილებლობა, დიდი ხანია, ქართული საზოგადოების წინაშე არსებობს.**

— ამის აუცილებლობა ახლა განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა, როდესაც ერთობ გაურკვეველი სიტუაციაა. ვინაიდან ახალი ხელისუფლება ჯერჯერობით საზოგადოებისთვის უცნობია როგორც პიროვნულად, ისე მისი საქმიანობიდან გამომდინარე. მართალია, ახალი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ერთი წელი ასრულებდა შს მინისტრის მოვალეობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. არც ღარიბაშვილს და არც მარგველაშვილს საზოგადოება არ იცნობს და არც მათი გაკეთებული საქმეები უნახავს.

**მიმაჩნია, რომ ახალი პოლიტიკური ძალა უნდა ჩამოყალიბდეს, რომლის მიმართულება და იდეოლოგიაც დღევანდელი ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის იდეოლოგიის აბსოლუტურად საწინააღმდეგო იქნება. საერთოდ ყველა პარტიას, რომელიც დღეს ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაშია, მარტო ევროატლანტიკური მიმართულება აქვს. საჭიროა ახალი ძალა, ახალი იდეებითა და სულისკვეთებით, ახალი სახეებით,** ერთი-ორი, შესაძლოა, ძველი სახეც იყოს, რომლებიც საწყის ეტაპზე დროებით შეიძლება გამოდგნენ ლიდერებად, მაგრამ, როცა პარტია ძალას მოიკრებს, ისევე უნდა დატოვონ გუნდი, როგორც ივანიშვილი მოიქცა. რადგან ამ „გაცვეთილმა“ სახეებმა, რომლებიც დღეს ტრიალებენ როგორც სა- ▶

**„საზოგადოების უმრავლესობის განწყობა როგორია, იცით? ბავშვებიც კი, რომლებიც აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ, ამბობენ, ოღონდ აფხაზეთში დავბრუნდეთ და, რა ფორმით, სულერთიაო. და ახლა რომ ამბობენ, — აქ კარგად არიან დევნილები და დაბრუნება არ უნდათო, აბსურდია.“**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პარლამენტო, ისე პარლამენტს გარეთ ოპოზიციაში, საზოგადოებას თავი მოაბეზრეს. საზოგადოება მათ კეთილ სიტყვასაც კი (რაც ასევე იშვიათობაა) უარყოფითად აღიქვამს. ამიტომ, თუ ეს ადამიანები პატრიოტები არიან, საერთოდ უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან და გზა სხვებს დაუთმონ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ქვეყანა კი არა, საკუთარი თავი უყვართ.

**— გულისხმობთ, რომ ყველა უნდა წავიდეს, ვინც დღეს პოლიტიკაშია?**

— დიახ, ყველა უნდა წავიდეს. ვინ რა გააკეთა? ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. მათ ტაში დაუკრეს სააკაშვილის ცხრაწლიან მმართველობას. ზოგიერთმა მერე დაიწყო ყაყანი, როცა მისი მოქმედება არ მოეწონა, მაგრამ **პოლიტიკოსმა თავიდანვე უნდა გამოიცნოს, ვინ მოდის პოლიტიკაში და რას წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი, მაგრამ მათ არ აქვთ პოლიტიკური ალღო. მათ ერთი რამ იციან, როგორ უნდა გაძიძგნონ ქვეყანა.** მაგალითად, ვერ ვხვდები, რა საჭიროა ისეთი სახეები პოლიტიკაში, როგორიცაა ბაჩუკი ქარდავა, რას წარმოადგენს? ან დანარჩენი ოპოზიცია რას წარმოადგენს? მხოლოდ იმისთვის იბრძვიან, რომ ოპოზიციის ნიშა დაიკავონ და სახელმწიფოს ფული ოფიციალურად წაგლიჯონ.

**— არასაპარლამენტო ოპოზიციას გულისხმობთ?**

— დიახ, მათ ვგულისხმობ, რადგან „ნაციონალურ მოძრაობაზე“ საუბარიც ზედმეტია, ეს არის კრიმინალური ორგანიზაცია, რომელიც დღეს ციხეში უნდა იყოს. საზოგადოება, დიდი ხანია, „ნაციონალების“ დასჯას ითხოვს, მაგრამ უმრავლესობა ამას არ და ვერ შეასრულებს, მით უმეტეს ვერ შეასრულებს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ პარაფირება მოახდინა ტექსტისა, რომელშიც მკაფიოდაა მითითებული, რომ ქვეყნაში პოლიტიკური ნიშნით დევნა არ უნდა განხორციელდეს, ამიტომ ახალი ძალის გამოჩენა აუცილებელია.



**სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი (დიაკონიძე)** პოლიტიკაში ახალი აზროვნებით გამსჭვალული ხალხის მოსვლას მიესალმება.

— ეს აუცილებლობა მხოლოდ დღეს არ დამდგარა. **ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება კი არ არის საჭირო, უფრო მართებული იქნება, განახლებული ძალით, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მართლმადიდებლური ძალების მოსვლა პოლიტიკაში.** ამასთან, საჭიროა და ბაზად უნდა გამოვიყენოთ ძველი ეროვნული მოძრაობის გამოცდილება. ერთადერთი რამაა საჭირო, როგორც იაკობ მოციქული ბრძანებს, „არ გაქვთ? იმიტომ, რომ არ ითხოვთ“. ქვეყანას სჭირდება სწორ რელსებზე დაყენება და გამოყვანა ამ სულიერი, ფიზიკური თუ მორალური გადაგვარებიდან.

**— რის შეცვლას მოახერხებს ეს ძალა?**

— პირველ რიგში, მან უნდა მოახერხოს, შეცვალოს ადამიანში მენტალობა და მართლმადიდებლური, ეროვნული ნიადაგის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს იდეოლოგია. ამ იდეოლოგიას უნდა დაეყრდნოს პოლიტიკური ძალა, რომლის სამომავლო პერსპექტივაც კონსტიტუციური მონარქიისთვის ნიადაგის გასუფთავება და შექმნა იქნება.



**ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი სიმონ კილაძე უახლოეს მომავალში ქართულ პოლიტიკაში ახალი ძალების გამოჩენას არ გამორიცხავს.**

— ვინაიდან „ქართული ოცნების“ მთავარი ძალა იყო ბიძინა ივანიშვილი, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერი ჩამოშორდა პოლიტიკას, შეიძლება ითქვას, ამ პარტიამაც დაკარგა მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა ახალი პარტიის შექმნა. მაგრამ საქართველოში ხშირად პარტიები მხოლოდ ქაღალდზე იქმნება და ისინი მერე ისევე უკვალოდ ქრებიან, როგორც გაჩნდნენ. არსებულ ოპოზიციურ პარტიებს რაც შეეხება, ერთი რამ ცხადია: ყველა პარტიას, რომლებიც ბოლო ხანებში ჩამოყალიბდნენ, თავიდან თითქოს განსხვავებული იდეები და მიზნები ჰქონდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს სხვადასხვაობა გაქრა და მთელ რიგ საკითხებში დღეს ყველა ერთნაირად ფიქრობს.

**— „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალებს“ გულისხმობთ?**

— დიახ, შეიძლება რაღაც ტაქტიკური ნაბიჯები განსხვავებული იყოს, მაგრამ ამ პარტიების ძირითადი იდეა და მიზანი, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. **„ქართულმა ოცნებამ“ ორიგინალობა დაკარგა. არადა, ჩვენ ისეთ რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით, რომ ბალანსია დასაცავი. არ შეიძლება სულ დასავლეთი და ევროკავშირი ვიყვიროთ და არც მეორე რადიკალიზმში გადავვარდეთ, ვიძახოთ, რომ ნატო და ევროკავშირი არ გვინდა. ბალანსის დაცვა თუნდაც იმავე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან, აუცილებელია. ჩვენს მეზობლებს ანგარიში უნდა გავუწიოთ.** თუ ამას რომელიმე ახალი პარტია მოახერხებს, რასაკვირველია, ამ პარტიას უკვე საკმაოდ მნიშვნელობა ექნება და მხარდამჭერებიც გამოუჩნდება. საქართველოს რეალობაში ეს ძალიან რთული გასაკეთებელია, მაგრამ აუცილებელი.

**მოამზადა შორენა ციცქარაშვილმა**

# «სათესლედ არ დავტოვებთ აფხაზებს!»

**ორიოდე დღის წინ სოციალურ ქსელში შემთხვევით წავაწყდი ჟურნალისტ მერაბ მეტრეველის წერილს, რომელმაც სერიოზული აღშფოთება გამოიწვია საზოგადოების გარკვეულ წრეებში, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს მოსაზრება სერიოზულად არის შესასწავლი და გასათვალისწინებელი.**

**„ვიცი, ამ პოსტის გამო ბევრი ჩამქოლავს, მაგრამ მაინც უნდა დავწერო. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ჩავიხედოთ სარკეში? ახლა ვნახე გადაცემა სოხუმელებზე, რომლებიც ძირითადად შერიგებაზე და იმაზე საუბრობდნენ, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთ. მე თუ მკითხავთ, პირველ რიგში, ვისაც ბოდიში აქვს მოსახდელი, ეს სწორედ სოხუმელი ქართველები არიან, განსაკუთრებით კი ისინი, ვისი ნათესავებიც იმ ომში იბრძოდნენ. წარმოიდგინეთ, მაშინ მათ რა გააკეთეს, როდესაც იქ ქართული ჯარი შევიდა, — იმის მაგივრად, რომ შუაში ჩამდგარიყვნენ (ამას ფიგურალურად ვამბობ) და ეთქვათ: რას აკეთებთ, ძმებო, ქართვლებო, ესენი ჩვენი მეზობლები, მეგობრები, კლასელები არიან (როგორც დღეს ამბობენ) და მათ ნუ ესვრით, თავადაც იარაღი აიღეს და თავიანთი მეზობლების, მეგობრების და კლასელების ხოცვა დაიწყეს“,** — წერდა მეტრეველი.

ჩემთვის მოულოდნელად ამას უცნაური გამოხმაურება მოჰყვა: **„აბსურდს ამბობ, მერაბ, მაგრამ არ იცი და იმიტომ. იმ დღეს, როცა ქართული ე. წ. ჯარი თუ რაღაც გაუგებრობა მოადგა საზღვრებს, ვიყავი დრანდაში, სამსახურში. დრანდის მოედანზე შევიკრიბეთ გულრიფშის რაიონის ეროვნული ძალები, გავრცელდა ზვიად გამსახურდიას წერილი (ხელნაწერი), გროზნოდან იმ დილით ჩამოიტანეს. მახსოვს იქ ასეთი ფრაზა იყო: „დაუდექით აფხაზ ძმებს გვერდით და ეს ბანდიტები არ შემოუშვათ“. დავიწყეთ სწორედ ასეთი მოწოდებები, მაგრამ აფხაზები, ძირითადად, სოხუმში იყვნენ და მოვიდა ინფორმაცია, რომ ისინი იხიზნებიან გუდაუთაში. ასე აღმოვჩნდით ქართველები ქართველების წინააღმდეგ. ამ დროს მოგვივარდა სოხუმის მხედრიონი და სულ მოღალატეები გვიძახეს — აფხაზების მხარეს ხართ, ქართველების წინააღმდეგ, თან დედას გვაგინებდნენ. აი, ასეთ გაორებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. შემოჯლიგინდნენ ტანკებით სროლა-სროლით, მაგრამ ვის ესროდნენ? მერე მიადგნენ ტელევიზიას, იქ ერთი აფხაზი აღარ იყო და „გამარჯვებულები“ – ტელევიზია ავიღეთო...“,** — წერდა მარიამ ჩაჩუა-ძიძიგური, უშუალო თვითმხილველი ამ ხოცვა-ჟლეტის, აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

**„საქართველო და მსოფლიოს“ მარიამ ჩაჩუა-ძიძიგური** ამ საკითხზე დეტალურად ესაუბრა.

## მარიამ ჩაჩუა:

## მთელი ცხოვრება ხან დევნილი უნდა ვიყო, ხანაც — დაბრუნებული?!

მამაჩემი მწერალი იყო და მე მახსოვს, ჩვენს სახლში ხშირად იმართებოდა წვეულებები, რომლებშიც ქართველებთან ერთად აფხაზი და რუსი მწერლებიც მონაწილეობდნენ. სრულიად მოულოდნელად ეს ხალხი, რომელსაც მე მეგობრად თვლიდი, მოხვდა „აიდგილარაში“. **იმის თქმა, რომ ქართველები კარგები ვიყავით და აფხაზები ცუდები ან პირიქით, ნამდვილად დიდი სისულელეა, ცუდებიც და კარგებიც აქეთაც იყვნენ და იქითაც. დევნილები დღესაც მოიხსენიებიან, როგორც განკიცხულთა კასტა.**

ახლა გავიხსენოთ ის კონკრეტული მომენტი: როცა ჯარი შემოვიდა, ქართველებსა და აფხაზებს შორის უკვე იყო დაძაბულობა, მაგრამ ჩვენ ხშირად ვმართავდით შეხვედრებს. მახსენდება აფხაზი და ქართველი დედების შეხვედრები.

**სამსახურში გვყავდა აფხაზი რევიზორი სოხუმის „აფსოიუზიდან“. ეს ფაქიზი თემაა, ჩვენ როგორ დავშორდით ერთმანეთს. ჯარი რომ შემოვიდა, იგი ჩვენმა თანამშრომელმა სასწრაფოდ წაიყვანა მანქანით სოხუმში. ბიჭი ძალიან ნერვიულობდა, რა ვქნა ახლა მე — ჯარში ჩავეწერო და თქვენ გესროლოთო? — მეკითხებოდა. დირექტორმა უთხრა, ჯარი უკვე მოდის და შენ უნდა სოხუმში გადაგიყვანოთო. უარობდა, თქვენ შეგექმნებათ პრობლემებიო, ბოლოს მაინც დათანხმდა. ამათი წასვლიდან ცოტა ხანში ჯარიც შემოვიდა, წინ პოლიცია მოდიოდა, უკან — გვარდია, მხედრიონი და ყარყარაშვილის შენაერთები მოსდევდნენ.**

როცა დაიძრნენ გულრიფშის ცენტრისკენ, იქ სროლა ატყდა, ჩვენ შეკრებილნი ვიყავით, გვითხრეს, აფხაზებს დაველაპარაკოთო, მაგრამ დალაპარაკება შედეგს მოგვცემდა თუ უკუშედეგს, არ ვიცოდით. სროლა რომ ატყდა, რა თქმა უნდა, მაშინვე დავიმალეთ. მეორედ სროლა წითელ ხიდთან მომხდარა, დღესაც არ ვიცი, მართლა აფხაზურმა დაჯგუფებამ წამოიწყო იგი თუ ამათ უნდოდათ იმისი თქმა, აფხაზები წინააღმდეგობას გვიწევდნენო. ყოველ შემთხვევაში, **სოხუმში მაშინ აფხაზები უკვე აღარ იყვნენ. გარდა ამისა, საღამოს რომ ბაქი-ბუქობდნენ, ტელევიზია ავიღეთო, იმ ტელევიზიაში ერთი აფხაზიც აღარ იყო დარჩენილი.** ჩემი მამამთილი უყურებდა ტელევიზორს, **როცა ყარყარაშვილმა თქვა ის ცნობილი ფრაზა: „სათესლედ არ დავტოვებთ აფხაზებსო!“, მაშინ ჩემმა მამამთილმა თავზე იტაცა ხელი: „ნეტავ, თუ ესმით, საით მივდივართო?!“.**

ჯარი არ უნდა შემოგეშვათო... მეცინება, ვინ გვეკითხებოდა ჩვენ ჯარის შემოშვებას?

**— რა იყო ყარყარაშვილის განცხადება: ადექვატური რეაქცია აფხაზების საქციელზე თუ პროვოკაცია?**

— ყარყარაშვილის განცხადება აბსოლუტურად არაადეკვატური იყო. ძალიან ცუდად იქცეოდნენ მხედრიონელები და სხვა ჯარისკაცებიც. ამ ფონზე შეუძლებელი იყო რაიმე აგრესიული განცხადება არ გაეკეთებინა ჯარის წარმომადგენელს. აფხაზების მხრიდანაც დაიწყო ალოგიკური და აგრესიული მოქმედებები.

**სანამ ჯარი არ შემოვიდოდა, მანამდე, ასე თუ ისე, ნორმალური ვითარება იყო, დაძაბული, მაგრამ ძარცვასა და მკვლელობას ერიდებოდნენ. ჯარი რომ შემოვიდა, სიტუაცია უცებ შეიცვალა. იქ იყო კორპუსები, რომლებშიც ქართველებიც ცხოვრობდნენ და აფხაზებიც. აფხაზებმა დაკეტეს ბინები, ჩააბარეს ქართველ მეზობლებს და გუდაუთაში წავიდნენ. მიადგებოდა მხედრიონი ამ ბინებს გასაძარცვად; გამოვიდოდა ქართველი, რას სჩადით, რა გინდათ ამ ბინებთან, ეს ხომ აქეთ შემოგვიტრიალდება ბუმერანგივით დღეს თუ ხვალო... მიუშვერდნენ ან პირდაპირ მიაბჯენდნენ მას ავტომატს, შენ ხარ მოღალატე, რას ჰქვია, აფხაზებს იფარავო! რას გააწყობდა ეს ქართველი ათობით შეიარაღებული კაცის წინააღმდეგ?**

მერაბ მეტრეველი კი იმას ამბობს, არ უნდა შემოგეშვათო... თუმცა გაგრის დაკარგვის შემდეგ გაირკვა, რომ მართლა შემოგვიბრუნდა უკან ჩვენივე ჩადენილი უსამართლობა და ძალადობა.

**— იმ ადამიანების გვარებს ხომ ვერ გაიხსენებთ, რომლებიც ასე იქცეოდნენ, გარდა ამისა, იქნებ გაიხსენოთ, რა როლს თამაშობდნენ ამ კონფლიქტში ბორის კაკუბავა, არკადი მარკოზია, დიმა ჯაიანი....**

— არ მინდა შეფასება, რადგან მედროვეებიც ძალიან ბევრი გვყავდა... მით უმეტეს, დიმა ჯაიანზე ვერაფერს ვიტყვი. ეს არის კაცი, რომელიც ყველგან და ყოველთვის მსახიობია. დაბოლოს, უნდა ითქვას ერთი რამ

**— აუცილებლად უნდა დაიწყოს სახალხო დიპლომატიის აღდგენა. ჩვენ მშვიდობიან გზას უნდა დავადგეთ. მე და ჩემმა მეგობრებმა გავაკეთეთ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აფხაზ სტუდენტებს ეხმარება ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებაში.**

ამდენი წელია, ვმუშაობ საჯარო უწყებაში და მრცხვენია, რომ ნებისმიერ პროექტში, რომელიც ახლა იწერება, 20 წელია, ერთი ფრაზა უცვლელია — დევნილთა უმრავლესობა კვლავ გაუსაძლის პირობებში იმყოფება. მოკლედ, ყველაფერი ნულიდან გვაქვს დასაწყები. ჩემი პოზიციაა შერიგება, შერიგება და შერიგება.

**— როგორ გესახებათ დევნილების დაბრუნება, ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ თუ მხოლოდ დევნილები უნდა დავაბრუნოთ?**

— იცით, ვერ გეტყვით, რომ აფხაზეთი მომავალში იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ჩვეულებრივი ავტონომიის იმედიც არ მაქვს, სხვა ფორმა მიეცემა, მე მგონი.

**ყველაფერი მიდის იქით, რომ აფხაზეთი გახდეს დამოუკიდებელი და ამას საქართველომ უნდა დაუჭიროს მხარი. ეს ჩემი აზრია...**

**— საქართველოს მხრიდან მხარდაჭერა ცოტა უცნაურად მომხვდა ყურში... დევნილების საქმე როგორ იქნება, თუ თქვენი სცენარის მიხედვით განვითარდა მოვლენები?**

— ერთმა ფრაზამ გაიჟღერა, რომ, დევნილების დაბრუნება როცა იქნება, აფხაზებს, რომლებსაც დაკავებული აქვთ ქართველების სახლები, არავინ გაასახლებს და დევნილებისთვის აშენდება ცალკე საცხოვრებლებიო, ანუ მთელი ცხოვრება ხან დევნილი უნდა ვიყო, ხანაც — დაბრუნებული?! ესეც საუკეთესო შემთხვევაში...

და **საზოგადოების უმრავლესობის განწყობა როგორია, იცით? ბავშვებიც კი, რომლებიც აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ, ამბობენ, ოღონდ აფხაზეთში დავბრუნდეთ და, რა ფორმით, სულერთიაო.**

და ახლა რომ ამბობენ, — აქ კარგად არიან დევნილები და დაბრუნება არ უნდათო, აბსურდია. დიახ, ტყუილია, ასე შეიძლება მხოლოდ 10-20% ფიქრობდეს.

**ესაუბრა**
**ქეთი ხომერიკი**

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის გმირობებს, გარდა იმ დითირამბებისა, რომლებსაც მისი გარემოცვის წევრები უძღვნიდნენ, სჭირდებოდა დოკუმენტური გაფორმება. გაფორმება ისეთი ვინმეს მიერ, რომლის არამხოლოდ მორალური სახე, პროფესიაც ამის უფლებას იძლეოდა.**

# მასხარაშვილის «ისტორიული» პანელი

**ისტორიის დამახინჯება ერთი შეხედვით არც ისე რთული საქმეა. რაიმე ფაქტს ან მოვლენას შენეულ ინტერპრეტაციას მისცემ. ერთ-ორჯერ ჭკვიანი სახით ტელეკამერების წინ ისაუბრებ. ოპონენტებს უცოდინარს უწოდებ და მორჩა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაგიჯერებს. დაგარქმევს ძლიერ, ჭკვიან ისტორიკოსს, მკვლევარს, მოღვაწეს; მეორე ნაწილი აღშფოთდება და გაგლანძღავს, დაგცინებს, შარლატანს, უცოდინარს გიწოდებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში „ცვეტში“ იქნები.**



ყველაზე ადვილი გასულ საუკუნეებში მომხდარი მოვლენების დამახინჯებაა. მაქსიმუმ, ორიოდე სპეციალისტი გამოგეხმაუროს, რომლებსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი, საკუთარი სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, არც მოუსმენს, ხელს ჩაიქნევს და იტყვის: – ნეტაი, ამათ, მეტი საქმე არა აქვთ!

**ყველაზე რთული იმ მოვლენების დამახინჯებაა, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება და კიდევ უფრო რთული — იმ პიროვნებების დახასიათება, რომლებიც ამ ამბების ეპიცენტრში არიან.**

არა, პრინციპში, არც ისე ძნელია. ამისთვის ერთი ელემენტარული ქმედებაა საჭირო. უბრალოდ, უნდა გაითავისო იმ „პუტანკის“ როლი, რომელიც კლიენტის გულის მოსაგებად ყასიდად კვნესის და „პრემიალური“ თანხის მიღების მიზნით მისი მამაკაცური „ღირსებები“ ცაში აჰყავს. მაგრამ, თუ ამ „საქმეს“ ოდნავ ჩავუღრმავდებით, **ნებისმიერი „პუტანკა“ გაცილებით უფრო მაღალ მორალურ საფეხურზე დგას, ვიდრე თანამედროვე ისტორიის გამყალბებელი და სამშობლოს მოღალატის მეხოტბე დგას,** რადგან პირველი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს და რა მისი ბრალია, თუ კლიენტი ბევრს ვერაფერს ახერხებს, თანაც ამით არავის არაფერი უშავდება; ხოლო მეორე მთელ ქვეყანას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს შეურაცხყოფს და ლაფში სვრის.

ალბათ, იკითხავთ, თუ რამ მაიძულა ამ წერილის დაწერა?

ოდნავ შორიდან დავიწყებ (არ შეგეშინდეთ, არც ისე შორიდან. ასე სადღაც 2003 წლიდან).

**ყველას გვახსოვს, რომ სააკაშვილის ბანდამ და მისმა იდეოლოგებმა, თავიანთი რეჟიმის განმტკიცების მიზნით, მიზანმიმართულად დაიწყეს საზოგადოებაში იმ აზრის ჩანერგვა, რომ საქართველოს ისტორია 2003 წელს დაიწყო, რომ მანამდე არაფერი მომხდარა, რომ ქვეყანა მხოლოდ ინგრეოდა და სააკაშვილის სახით ახალი დავით აღმაშენებელი მოგვევლინა** (კონკრეტულად დავით აღმაშენებელს რატომ ადარებდნენ, ამაზე არ ვისაუბრებ. თქვენც კარგად მიხვდებით, უბრალოდ, ვიტყვი, რომ ეს შედარება აბსოლუტურად სწორი გათვლაა).

**ასევე ინერგებოდა მოსაზრებები, რომ საქართველოს ლევან ბერძენიშვილამდე ინტელექტუალური და განათლებული ადამიანი არ ჰყოლია. არ იყო პოეტი გარდა კაკალაშვილისა და ა.შ.** (ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ. ახლა კი ისევ სააკაშვილსა და მის ჟამთაღმწერელს დავუბრუნდეთ).

**სააკაშვილის გმირობებს, გარდა იმ დითირამბებისა, რომლებსაც მისი გარემოცვის წევრები უძღვნიდნენ, სჭირდებოდა დოკუმენტური გაფორმება. გაფორმება ისეთი ვინმეს მიერ, რომლის არამხოლოდ მორალური სახე, პროფესიაც ამის უფლებას იძლეოდა.**

ჰოდა, აღმოჩნდა ასეთი „უნიკალური არსება“, ვინმე სვიმონ მასხარაშვილი, რომელიც განათლებით ისტორიკოსი და მორალით ზემოთ ნახსენებ „პუტანკაზე“ უარესია და მას სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მემატიანის ფუნქცია დაეკისრა.

**„მიხეილ სააკაშვილი არავის არაფერს უმტკიცებს, უბრალოდ, მან უკვე დაამტკიცა, რომ ის საქართველოს თავგანწირული ჯარისკაცია!“** – განაცხადა **ს(ვ)იმონ მასხარაშვილმა** და, მისდა გასაოცრად, ისტორიკოსის ან, თუნდაც ისტორიის გამყალბებლის სახელის ნაცვლად, იდიოტის წოდება დაიმსახურა.

დიახ, იდიოტია ს(ვ)იმონ მასხარაშვილი! არა, დოსტოევსკის იდიოტი კი არა, უბრალო, საწყალი გაჭირვებული არსება, რომელსაც უკვე, სამწუხაროდ, არაფერი ეშველება; არსება, რომელიც მიშა სააკაშვილზე იტყვის: **„მან უკვე დაამტკიცა, რომ ის საქართველოს თავგანწირული ჯარისკაცია“** და ბაჩო ახალაიაზე — **„ბაჩო ახალაია ცოტნე დადიანივით დაბრუნდა საქართველოში. ბატონი ბაჩანა ახალაია საქართველოსთვის არის ზნეობრივი მაგალითი. მხოლოდ მის მიერ გაკეთებული საქმეებია საკმარისი, მან ჩვენი საზოგადოება გაათავისუფლა ქურდული მენტალიტეტისგან. ეს არის უდიდესი მოღვაწე, უდიდესი სახელმწიფო ფიგურა. ის ისტორიის უეჭველი კუთვნილებაა“,** სწორედაც, რომ სრული იდიოტია.

## «ხატია ბუნიათიშვილისგან, რომელმაც სააკაშვილს გენიოსი უწოდა, ის იმით განსხვავდება, რომ ცუდი მკერდი აქვს და შესახედავადაც არ ვარგა»

**ხატია ბუნიათიშვილისგან, რომელმაც სააკაშვილს გენიოსი უწოდა, ის იმით განსხვავდება, რომ ცუდი მკერდი აქვს და შესახედავადაც არ ვარგა** (პრინციპში, შეიძლება მისი მკერდი და ტანი ვიღაცას „მოსწონდეს“ და მასზეც იყოს „მეგის პიკჩერზის“ მასალები გადაღებული, მაგრამ ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს).

აი, ს(ვ)იმონ მასხარაშვილის განცხადებები აგვისტოს ომის დროს:

**„აბსოლუტურად მშვიდი სიტუაციაა, თუ შეიძლება ომის პირობებში ამას სიმშვიდე უწოდო. მე გორში მაშინ გახლდით, როცა გორის ტაძართან ბომბი ჩამოვარდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 80 პროცენტს აკონტროლებდნენ ქართული საჯარისო შენაერთები. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჩამოაგდეს რუსული თვითმფრინავი გმირმა არტილერისტებმა“.**

**„თუ გამარჯვებაზე მიდგა საქმე, გააჩნია, მის სიდიდეს რა პარამეტრებით განვიხილავთ. რუსეთს დღეს არავითარი ძალა არ შესწევს საქართველოს ანექსიისთვის. ჩვენი სამხედრო ძალა, რომელიც ტერიტორიას იკავებს, გაცილებით ძლიერია, ვიდრე ყველა ის შენაერთი, რომელიც რუსეთს შეუძლია გამოიყენოს ჩვენთან საბრძოლველად! ჩვენ, საბედნიეროდ, ძლიერები ვართ როგორც მოტივაციით, ისე პროფესიონალიზმით“.**

**„რეზერვისტების რაოდენობა 200 000 კაცია. ყველა ითხოვს ომში მოხალისედ გაწვევას. ჩვენი ჯარი არის ამერიკულ სტანდარტებზე გაზრდილი, რუსის ჯარი კი არაკაცურია, რადგან ის ადამიანის ჩაგვრაზეა აწყობილი. ჩვენ გვყავს ის ჯარი, რომელიც 2007 წელს ერაყში კოალიციის რიგებში ყველაზე მაღალხარისხოვან სამხედრო ძალად აღიარეს. ჩვენ საკმარისი რაოდენობის ჯარისკაცი გვყავს, იმდენი, რომ რუსეთს გადაწონის. რეზერვისტების დამატება საჭირო არ არის. ვიცი, რომ მოხალისეების მიღებაზეც უარი თქვეს. ჯერჯერობით ხალხის დამატება საჭირო არ არის. რუსეთს მხოლოდ ის შეუძლია, რომ დაგვბომბოს, ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა ვიცით, რამდენიმე წელი თვით ავღანელები რუსეთის თვითმფრინავებს ვერ აგდებდნენ, ჩვენ კი 10 უმაღლესი კატეგორიის თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ. ცხადია, ამ ომში დიდ ზარალს მივიღებთ, მაგრამ ჩვენი დამარცხება შეუძლებელია“.**

არადა, მე პირადად ვნახე ს(ვ)იმონ მასხარაშვილი 8 აგვისტოს გორში, როცა ის მართლა მატრაკვეცა ქალივით იდგა ე. წ. მედიაცენტრთან სამხედრო „ბუშლატში“ „გამოწყობილი“ და ძააან „ვაჟნი“ სახით აქეთ-იქით დადიოდა. ვკითხე, ჟურნალისტები სად უნდა ჩავეწერეთ-თქო. მან ელემენტარული გამარჯობა და დაკვალიანებაც არ „იკადრა“ და ერზე ძაან ჩაფიქრებული მოღვაწის სახით თავი ამარიდა.

ს(ვ)იმონ, სულ მინდოდა, მეკითხა: **რატომ „გაივაჟნიაკე“ თავი? რა, შენი „უმაღლესი მთავარსარდლის“ იმედი გქონდა? იმ „მთავარსარდლის“, რომელიც ხოხავდა? იმ მთავარსარდლის, რომელიც მის ასარჩევად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადმოსულ ამომრჩევლებს სოფელ ხურჩაში ტყვიებს ესროდა? რომელიც სხვადასხვა პროვოკაციას აწყობდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით და რომელმაც წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა და „გრანდიოზული“ ზეიმი მოაწყო?** (მის სხვა „გმირობებს არ ჩამოვთვლი).

ეჰ, რა გვარს არცხვენ!

ძმაკაცი მყავს შენი მოგვარე, ძმაკაცი!

იცი, ეს სიტყვა რას ნიშნავს?

შენი „ძმაკაცი“ გალუსტიკიჭამია მიშაა (ახლა არ დამიწყო „გალუსტიკი“ კი არა „ჰალსტუხიო“). ჩემი ძმაკაცი — შენი მოგვარე, რომლისგანაც ცა და მიწასავით განსხვავდება.

ორჯერ ვართ ერთმანეთთან შენახვედრი. ერთხელ ვაკის პარკთან შემხვდით შენ და ჩემი ერთი ნაცნობი. მე შენი პროექტი, ათწუთიანი „საქართველოს ისტორია“, რომელიც თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ არხზე გადიოდა, შევაქე. გორგასალზე ვილაპარაკეთ. მაშინ კაცი მეგონე. მეორედ — თემურ ჟორჟოლიანის ოფისში. გურამ შარაძე და ირაკლი წერეთელიც იყვნენ. საქართველოზე ვლაპარაკობდით. მაშინ „ბრაბუსი“ არ გყავდა.

**ცირკის „პუტანკაზე“ უფრო დაბალი ღირსება გაქვს შენ, ს(ვ)იმონ მასხარაშვილო!**

**თუ გინდა, მოდი და მნახე!**

**მნახე და ამ ყველაფერზე პირისპირ დამელაპარაკე.**

**არ შეგეშინდეს, არ გცემ!**

**შენნაირებზე ხელის დარტყმა (ანუ შეხება) ცუდია! არ ვიკადრებ!**

**ახლა ჩაიცვი ის „ბუშლატა“ და „ვაჟნი“ სახით იარე, იმიტომ, რომ უჭირს შენს „კლიენტს“, ძალიან უჭირს.**

**დაგცინი და შენნაირებს ყოველთვის დავცინებ!**

წერილს კი დიმა ჯაიანის იმ მცირე კომენტარით დავამთავრებ, რომელიც მან ერთ-ერთ გამოცემასთან ამ რამდენიმე ხნის წინ გააკეთა:

**„დიდი ისტორიკოსი“ რომ გვყავს, სიმონ მასხარაშვილი, ეგ ამბობდა, მინდა მოვესწრო, კრემლის ნანგრევებზე ქართული დროშა რომ ფრიალებდესო. რისი ამფრიალებელი ხარ, შე რეგვენო, 3-მილიონიანი ქვეყნით?! თუნდაც 9 მილიონი რომ ვიყოთ, ჩვენ რუსეთს ავუფრიალებთ ქართულ დროშას კრემლის ნანგრევებზე?! ამ სისულელეებით აგიჟებენ ხალხს. ასეთი სისულელეებით იყო გაჟღენთილი ჩვენი ბედოვლათი პრეზიდენტის მთავრობა... სააკაშვილი ხომ ჩვეულებრივი სულელია და მაგან გაასულელა მთელი საქართველოც“.**

დიახ, ამ სისულელეებით იყო გაჟღენთილი იმ სულელი პრეზიდენტის მთავრობა და მის ფსიქიკურ აღტკინებას მასხარაშვილის მსგავსი სულელები კიდევ უფრო უწყობდნენ ხელს.

საბედნიეროდ, დრო ყველაფერს ხდის ფარდას, ისტორიის ქარი ყველა ნაგავს მიმოფანტავს და მხოლოდ სიმართლეს ტოვებს.

**გია გაბრიჭიძე**

მოკლედ



## მთავრობის პირველი სერიოზული შეცდომა

**როგორც პოლიტოლოგმა ვაჟა ბერიძემ „პირველ პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „თუ ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე უარს იტყვის, მაშინ უარს იტყვის თავის წინასაარჩევნო პროგრამაზე“.**

„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე უარის თქმა მთავრობის პირველი სერიოზული შეცდომა იყო. მე ვიცი, რომ დღეს იკრიბებიან და აპირებენ, რომ გარკვეულწილად ეს გადაწყვეტილება შეცვალონ და შეალამაზონ ეს მიდგომა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სამართლიანობის აღდგენა არის ის ქვაკუთხედი, რომელიც წარმოადგენდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს და, თუ ხელისუფლება ამ ამოცანის გადაწყვეტაზე უარს იტყვის, ეს ნიშნავს, რომ უარს იტყვის თავის წინასაარჩევნო პროგრამაზე. ამდენად, მისი ლეგიტიმაციის ხარისხის უკიდურესობა შემცირდება“, — განაცხადა ბერიძემ და დასძინა, რომ „ის მიზეზები, რომლებიც თეა წულუკიანმა წარმოუდგინა საზოგადოებას გარკვეული ფინანსური პრობლემის არსებობის შესახებ, აბსოლუტურად არასაკმარისია“.

უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი:
**„რუსული არმიების გარეშე პოლონეთი ან განადგურდებოდა, ან მონურ მდგომარეობამდე დაკნინდებოდა, პოლონელი ერი კი გაქრებოდა პირისაგან მიწისა. მაგრამ სახელოვანი რუსული არმიები ათავისუფლებენ პოლონეთს, და მსოფლიოს ვერც ერთ სხვა ძალას ამის გაკეთება არ ძალუძს“.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დამზადებულია პოლონეთში, ანუ ხსოვნის წამბილწველნი

**ოქტომბრის მეორე ნახევარში ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „კატინის საქმეზე“ რუსეთის სასარგებლოდ, დაღუპული პოლონელების ნათესავების მიერ შეტანილ სარჩელზე. სასამართლოს დასკვნით, რუსეთს არ დაურღვევია ევროპის ადამიანის უფლებები კონვენცია „კატინის საქმეში“.**



სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების კვირაძალს, რომელიც პროვოკატორებს საშუალებას უსპობდა, კვლავაც გაეგრძელებინათ ამ თემის პოლიტიზება, **პოლონეთში ააგორეს სკანდალი გდანსკის „ქანდაკების“ გამო — ჯარისკაცი, რომელიც აუპატიურებს ორსულ ქალს, რომელსაც პირში პისტოლეტის ლულა აქვს ჩადებული...**

ვარშავის გამათავისუფლებელი საბჭოთა მეომრების ხსოვნის წამბილწველი კამპანიის ერთ-ერთ ინიციატორად გამოგვეცხადა პოლონეთის რესპუბლიკის სენატისა და კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი საიტი Kresyu.pl, რომელიც „აღმოსავლეთ კრესების“ (ტერიტორიების) თემატიკაზე სპეციალდება. ამ საიტზე განთავსებულია რუსებისა და პოლონელების ღირსების შეურაცხმყოფელი კოლაჟი **„საბჭოთა მოძალადე ჯარისკაცის ძეგლისა“** და ვარშავის სახელგანთქმული მემორიალის **„თანამებრძოლთა ძმობა“**, რომლის პოსტამენტზე ამოკვეთილია წარწერა პოლონურ და რუსულ ენებზე: **„დიდება საბჭოთა არმიის გმირებს, თანამებრძოლ ძმებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შეწირეს პოლონელი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“** (ვარშავის ხელისუფლებამ 2 წლის წინათ მოახდინა ამ ძეგლის დემონტაჟი მეტროს მშენებლობის მომიზეზებით და დაგვპირდა, რომ მას თავის ადგილზე 2013 წელს დააბრუნებდა; შემდეგ პროვოკატორებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მონუმენტის დაბრუნების წინააღმდეგ, მაგრამ ათი ათასამდე ხელმოწერაზე მეტის მოგროვება ვერ შეძლეს პოლონეთის დედაქალაქის თითქმის ორმილიონიან მოსახლეობას შორის.

საიტმა „კრესებმა“ კოლაჟს დამამცირებელი წარწერა გაუკეთა: **„ოთხი მძინარის ძეგლის რეკონსტრუქციის ახალი იდეა“.** სწორედ ასე — „ოთხ მძინარედ“ მოიხსენიებენ მოკლე მეხსიერების მქონე მოქალაქენი მემორიალს „თანამებრძოლთა ძმობა“, რომელიც წარმოდგენილია ბრინჯაოში ჩამოსხმული პოლონელი და საბჭოთა ოთხი ჯარისკაცის ფიგურით.

**პროვოკაციულ კამპანიას დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ევროპის მასმედიის საშუალებები.** მაგალითად, ბრიტანულმა Daily Mail-მა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ **„სკულპტურა სახელწოდებით „Komm, rau“ („აქ მოდი, ქალო!“) გამოჩნდა გამარჯვების ხეივანში“** და მკითხველებს მონდომებით დაასხა სიტყვის ნარეცხი „მარგალიტების“: **„1944-45 წლებში მილიონობით არა მარტო გერმანელი, არამედ პოლონელი, ავსტრიელი, რუმინელი, ბულგარელი და რუსი ქალიც კი გააუპატიურეს საბჭოთა ჯარისკაცებმა. მრავალ ქალაქში ყველა ქალი 10 წლის ასაკიდან 80 წლამდე ძალადობის მსხვერპლი გახდა... სტალინი ამართლებდა (!) იმას, რაც ხდებოდა“...**

ასეთი სიბინძურის მღვრიე ნაკადის გადმოღვრით გატაცებულ **პოლონეთში მიღებული არ არის იმის გახსენება, რომ ნაცისტებისგან ამ ქვეყნის გასათავისუფლებლად თავი დადო 600 ათასმა საბჭოთა მეომარმა, ხოლო 20 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი პოლონეთის დედაქალაქის გათავისუფლებას შეეწირა.** მათ დაივიწყეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სიტყვები იმის შესახებ, რომ **„რუსული არმიების გარეშე პოლონეთი ან განადგურდებოდა, ან მონურ მდგომარეობამდე დაკნინდებოდა, პოლონელი ერი კი გაქრებოდა პირისაგან მიწისა. მაგრამ სახელოვანი რუსული არმიები ათავისუფლებენ პოლონეთს, და მსოფლიოს ვერცერთ სხვა ძალას ამის გაკეთება არ ძალუძს“.**

**პოლონეთში მიღებული არ არის იმის გახსენება, რომ ნაცისტებისგან ამ ქვეყნის გასათავისუფლებლად თავი დადო 600 ათასმა საბჭოთა მეომარმა, ხოლო 20 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი პოლონეთის დედაქალაქის გათავისუფლებას შეეწირა**





პოლონეთის ამაყი ერის წარმომადგენლებმა დაივიწყეს მრავალმეტრიანი პლატები — გაფრთხილებები, რომელთაც ნაცისტები გადმოფენდნენ რესტორნების, კინოთეატრებისა და ქალაქების პარკების შესასვლელებთან: **„ფიურ ჰუნდე უნდ პოლენ ფერბოტენ!“ — „ძაღლებისა და პოლონელებისთვის აკრძალულია!“**

დავიწყებული აქვთ მატერიალური დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევდა ომისშემდგომ პოლონეთს, როცა უარი თქვა ყოველგვარ პრეტენზიაზე პოლონეთში განთავსებულ გერმანულ ქონებაზე და ვარშავას დაუთმო სეპარაციების 15 პროცენტი და სამრეწველო აღჭურვილობის ასევე 15 პროცენტი, რომელიც გერმანიიდან უნდა გაეტანათ.

ის ფაქტიც დაივიწყეს, რომ **როცა საბჭოთა კავშირში პური ბარათებით გაიცემოდა, 1945 წლის იანვარში დაიწყო სსრკ-დან პოლონეთისთვის უსასყიდლოდ 60 ათასი ტონა ხორბლის მიწოდება.**

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ პურის წყალობით ბევრი ამჟამინდელი რუსოფობი და მათი მშობლები შიმშილით სიკვდილს გადაურჩა და ამ ქვეყანას მოევლინა.

დავიწყებულია ისიც, რომ **საბჭოთა კავშირის ურყევი პოზიციის, უფრო ზუსტად, სტალინის სიმტკიცის წყალობით პოლონეთ-გერმანიის ამჟამინდელმა საზღვარმა ოდერ-ნეისემდე გადაიწია, რამაც პოლონეთს ბალტიის ზღვისკენ გასასვლელი მისცა და 100 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია შემატა.**

ისიც დაივიწყეს, რომ **პოლონეთისთვის ურთულეს 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირის უსასყიდლო დახმარების მოცულობამ 7 მილიარდ რუბლზე** (მაშინდელ წონად ვალუტაზე) **მეტი შეადგინა, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთმა პოლონეთს ფაქტობრივად აპატია 5,3 მილიარდიანი რუბლის ვალი.**

დღეს პოლონელი პოლიტიკოსები ამ ყველაფერს „საბჭოთა ოკუპაციას“ უწოდებენ და ნაძირალებს ნებას აძლევენ მოურიდებლად წაბილწონ წითელარმიელი მეომრების ხსოვნა და საფლავები. თანამედროვე პოლონეთში არ უყვართ ისეთი ფაქტების გახსენება, როგორიცაა პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და გერმანელი ტყვეების მასობრივი განადგურება.

**პოლონეთში გამომწვევად აუქმებენ საბჭოთა ექსპოზიციას ოსვენციმში (აუშვიც-ბირკენაუ) მოგონილი მიზეზით, მისი „ისტორიული არასარწმუნოობის“ გამო. ამას იმიტომ, აკეთებენ, რომ ვილაცას პოლონეთში ძალიან არ მოსწონს, როცა ოსვენციმში დაღუპული საბჭოთა მოქალაქეების სიაში არიან დასავლეთ უკრაინისა და ბელარუსის მკვიდრნიც.** ცდილობენ მოთხოვონ რუსეთს მრავალმილიარდიანი „კომპენსაცია კატინის გამო“, იმის მსგავსი, რაც პოლონელებს აქვთ რეპარაციული გადასახდელით გერმანიისგან...

დღეს, ისევე, როგორც 1939 წელს, ბრიტანელი და მისი მსგავსი პოლონეთის „ერთგული მეგობრების“ იმედით, ამ ქვეყნის ზოგიერთი მკვიდრი მგზნებარედ ამხელს რუსეთს „საბჭოთა რეჟიმის დანაშაულობათა“ გამო. ამასთან, ივიწყებენ, რომ **პოსტსაბჭოთა რუსეთს არავითარი საფუძველი არ აქვს, დაეხმაროს ვარშავას, თავი აარიდოს პასუხებს კითხვებზე, რომლებიც სულ უფრო ხმამაღლა ისმის დასავლეთიდან. რუსეთმა ოფიციალურ დონეზე აღიარა თავისი დანაშაული კატინის გამო** (თუმცა ამ საქმის გამოძიებას დამთავრებულს ვერ ვუწოდებთ), **პოლონეთის მხარეს გადაეცა ყველა დოკუმენტი; მაგრამ პასუხად მსგავსი არაფერი არ მოჰყოლია.** არადა, მაგალითად, პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში XX საუკუნის ოციან წლებში ათობით ათასი უიარაღო რუსი ადამიანის განადგურება „აღმოსავლეთ კრესებზე“ მეოცნებე პროვოკატორების ფანტაზია კი არ არის, არამედ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

www.fondsk.ru

70 წლის შემდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თეირანის კონფერენცია იყო პირველი ერთობლივი შეხვედრა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ლიდერებისა. ჩერჩილი და რუზველტიც აღფრთოვანებული დარჩნენ სტალინის პიროვნებით, საბჭოთა ლიდერის ქარიზმით, ხოლო მასთან საუბრისას განსაკუთრებულად ხაზს უსვამდნენ კონფერენციის უსაფრთხოების ბრწყინვალე უზრუნველყოფას.“**

# თეირანი-43 — დაზვერვების ომი

## «დიდი სამეულის» პირველი შეხვედრის 70 წლისთავისადმი

ისტორიული ცნობა
1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა საქვეყნოდ ცნობილი თეირანის კონფერენცია. აქ, ირანის დედაქალაქში, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფ. დ. რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უ. ჩერჩილი.
კონფერენციის მთავარი შედეგი: დეკლარაციები ერთობლივ მოქმედებებზე ომში გერმანიის წინააღმდეგ, ომისშემდგომ თანამშრომლობაზე, გადაწყვეტილება ევროპაში მეორე ფრონტის გახსნაზე 1944 წლის მაისის განმავლობაში, პოლონეთის ომისშემდგომ საზღვრებზე და ა. შ. გაითვალისწინა რა მოკავშირეების დაჟინებული თხოვნა, სტალინმა განაცხადა საბჭოთა კავშირის მზადყოფნაზე, დაეწყო ომი იაპონიის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ.



**თეირანის კონფერენციაზე, რომელმაც, ფაქტობრივად, შეცვალა მსოფლიო, ზღვა მასალა დაიწერა. მიუხედავად ამისა, „დიდი სამეულის“ შეხვედრის უამრავი დეტალი დღემდე უცნობია. ამ, მართლაც რომ კაცობრიობის საბედისწერო მოვლენის უცნობ დეტალებზე ინფორმაციას მრავალი წლის განმავლობაში მარცვალ-მარცვალ ეძებს, იკვლევს და საზოგადოებას აწვდის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, ორდენოსანი ლევან დოლიძე.**

**«დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში საბჭოთა დაზვერვასა და კონტრდაზვერვაში ბევრ ხელმძღვანელ თანამდებობაზე წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს წარმომადგენლები... 1938-1953 წლების განმავლობაში მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა ღალატის არც ერთი შემთხვევა»**

**— ბატონო ლევან, ზუსტად 70 წლის წინ ჩატარდა თეირანის კონფერენცია. დღეს ამ მოვლენის საიუბილეო თარიღია და გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაიხსენოთ ის, რაც მკითხველისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ამასთან, მოუთმენლად ველით ინფორმაციას ახალ, უცნობ დეტალებზე ამ კონფერენციასთან დაკავშირებით.**

— სამწუხაროდ, „დიდი სამეულის“ პირველ შეხვედრაზე ასობით წიგნი და ათიათასობით დიდი თუ პატარა წერილია გამოქვეყნებული! მიუხედავად ამისა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — უამრავი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება, რადგან ბევრი რამ საიმედოდ, გაუხსნელად ინახება უშიშროების არქივების ცეცხლგამძლე კარადებში. ამიტომაა, რომ **ჩვენ არაფერი ვიცით ათეულობით ჩვენს თანამემამულეზე — მზვერავებსა და კონტრმზვერავებზე, საკავშირო შინსახკომის თანამშრომლებსა და მოსამსახურეებზე. უცნობი არიან განა მარტო ეს ადამიანები, არამედ ის ფაქტიც, რომ თვით სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის წევრი, ლავრენტი ბერია, ომის დროს ირანში იმყოფებოდა. მეტიც, ერთი სტრიქონიც არ გაიმეტეს,**



ლევან დოლიძე

**რომ დაეწერათ — ბერიამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა კონფერენციის უსაფრთხოდ ჩატარებაში!** და, სიმართლე გითხრათ, არც თუ ისე მალე გავიგებთ ამ და სხვა მოვლენებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბერიას პირად საქმესთან. როგორც თავის დროზე მითხრა საბჭოთა კავშირის სუკ-ის საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, გენერალ-მაიორმა **გ. ვ. ფიფიამ** (სხვათა შორის, ერთადერთი ქართველი, რომელიც მიიღეს სამუშაოდ სსრკ-ის უშიშროების ცენტრალურ ორგანოში, ხრუშჩოვის მიერ სპეცსამსახურების „წმენდის“ შემდეგ), რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ლ. პ. ბერიას საქმე გრიფით „საიდუმლო“ ჯერ კიდევ 2003 წლის 23 იანვარს გადასცა შესანახად 2028 წლამდე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურსო. ასე რომ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ 15 წლის შემდეგ რაღაცას გავიგებთ...

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: **დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში საბჭოთა დაზვერვასა და კონტრდაზვერვაში ბევრ ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმატებით მუშაობდნენ საქართველოს წარმომადგენლები. არ იქნება ურიგო, მკითხველს შევახსენოთ ის ფაქტი, რომ 1938-1953 წლების განმავლობაში მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა ღალატის არც ერთი შემთხვევა. ისინი ბერიას კადრები იყვნენ!**

სტალინი ყოველთვის გულმოდგინედ ემზადებოდა ყოველი საუბრისთვის. ბერიას და მისი კადრების წყალობით, სტალინი ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში და ანალიზის შედეგად აღწევდა მიზანს. ასევე, თეირანის კონფერენციის წინ სტალინი შესანიშნავად იყო გათვითცნობიერებული როგორც ჩერჩილის, ისე რუზველტის ჩვევებთან, გემოვნებასთან, სისუსტესთან, ოჯახურ და სხვა ამბებთან დაკავშირებით. ყველაფერ ამაზე ბელადს ატყობინებდა ბერია, რომელსაც თავის მხრივ, ლონდონიდან ცნობებს აწვდიდა **„ზენკენი“ (კიმ ფილბი** — ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი). ფილბი, ბერიას დავალებით, გადმოიბირა ერთმა პარიზში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა (ევროპაში სხვა ინფორმატორებიც იყვნენ).

**— ბატონო ლევან, ამერიკიდან ვინ აგზავნიდა ინფორმაციას?**

— ნიუ იორკიდან ინფორმაცია მოდიოდა ამერიკაში შინსახკომის რეზიდენტისგან, ქიმიური მეცნიერების დოქტორის, უშიშროების გენერლის **ჰაიკ ოვაკიმიანისგან** და მისი ჯგუფისგან. ოვაკიმიანი იყო ავლაბრელი ხელოსნის შვილი. იგი, სხვა ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავებთან ერთად, მოსკოვში გადასცემდა მასალებს ატომურ ბომბზე. ამაზე და სხვა მოვლენებზე ბევრი რამ მიამბო თბილისში ჩამოსულმა ლავრენტი ბერიას ვაჟმა — **სერგო ბერიამ.**

ბატონი სერგო იყო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რაკეტების კონსტრუქტორი. მამის მკვლელობის შემდეგ (1953 წლის 26 ივნისი), მან გამოიარა ლუბიანკისა და ბუტირკის საპყრობილეები. მოღალატე ხრუშჩოვს ძალიან სურდა სერგო ბერიას დახვრეტა, დახვრეტისგან იგი მისმა კონსტრუქტორულმა გენიამ იხსნა. მაგრამ ბატონ სერგოს შეუცვალეს გვარი და მამის სახელი, ჩამოართვეს ყველა დამსახურებულად მინიჭებული წოდება და ჯილდო. ასე იცხოვრა მან 45 უმძიმესი წელი!.. ხოლო, როცა გარდაიცვალა, გაზეთ „ნედელიაში“, 2000 წლის ნოემბერში მოთავსდა ძალზე მოკრძალებული შეტყობინება: კიევში გარდაიცვალა სკი „კომეტის“ დირექტორი, სერგეი ალექსის ძე გეგეჭკორი.

**...სერგო ბერიასთვის თეირანში კონფერენციაზე გამგზავრება მეორე განსაკუთრებული სპეცდავალება იყო.** ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში ლავრენტი ბერიას ერთადერთი შვილი, რომელსაც იმ დროისთვის 17 წელიც არ შესრულებოდა, გადაისროლეს ირანის ქურთისტანში, თუმცა მისი ჯგუფის პირველი დავალება იყო მოხვედრა გერმანიაში — ზესაიდუმლო ცენტრ „პეენემიუნდეში“. ამ წარუმატებელი ცდის შემდეგ, **სერგოს ირანში ხუთი თვით დარჩენა მოუხდა. მან შესანიშნავად იცოდა გერმანული და სხვა უცხო ენები, დამთავრებული ჰქონდა მოკლევადიანი რადიოკავშირის კურსები. იგი ირანიდან აგზავნიდა საიდუმლო ინფორმაციას თბილისში განთავსებულ „ცენტრში“, მას კი ეგონა, რომ ინფორმაციებს მოსკოვს აწვდიდა.** სხვათა შორის, **ხუთი წლით ადრე სპარსეთში (ირანს მაშინ ასე მოიხსენიებდნენ) არალეგალურად იმყოფებოდა კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე, მომავალი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგდან ქობულოვი, რომელმაც იქ შექმნა განტოტებული დაზვერვის ქსელი, რამაც შემდეგ ხელი შეუწყო ირანში ჰიტლერელთა ჯაშუშებისა და დივერსანტების გაუვნებელყოფას.**

უნდა ითქვას, რომ მაშინდელ ირანში ათიათასობით სომეხი ცხოვრობდა, რომელთა წინაპრები სპარსეთის ყველაზე მრისხანე მმართველმა, აბას პირველმა, ჩაასახლა იქ. სომეხთა უმრავლესობა ვაჭრობას მისდევდა, ხშირად დადიოდნენ ავღანეთში, თურქეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. ამიტომაც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მმართველობის დროს ბერია მშვენივრად იყენებდა ამ ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონის სომხურ შესაძლებლობებს. მაგალითად, ომამდე ირანში მუშაობდა 30 წლის პროფესიონალი მზვერავი, თბილისელი **სერგო კორხმაზიანი**. ომის დასრულების შემდეგ სერგო არკადის ძე, ბერიას რეკომენდაციით, დაინიშნა სომხეთის უშიშროების მინისტრად და 1950 წელს გახდა გენერალ-მაიორი. ომის დასაწყისში კიდევ ერთი თბილისელი — **ივანე აღაიანცი** საფრანგეთიდან გაგზავნეს ირანში, სადაც დაინიშნა საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად.

**— საფრანგეთში რას მოღვაწეობდა?**

— საფრანგეთში იგი ოფიციალურად იყო სსრკ-ის საელჩოს მესამე მდივანი, არაოფიციალურად კი — საბჭოთა კავშირის დაზვერვის რეზიდენტის მოადგილე.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენო მაშინ დამწყები, შემდგომში საბჭოთა დაზვერვის ლეგენდა **გევორქ ვართანიანი**, რომელსაც თბილისური ფესვები ჰქონდა. თეირანის კონფერენციის დროს იგი მხოლოდ 19 წლის იყო. ვართანიანის ვინაობა გამოამჟღავნეს მხოლოდ 2000 წლის 20 დეკემბერს რუსეთის СВР-ს 80 წლის იუბილეზე. 76 წლის გევორქ ვარტანიანმა მაშინ პირველად მოყვა იმ დაუვიწყარ დღეებზე თეირანში: **„მე გავხდი მზვერავი საიდუმლო სამსახურის ცნობილი პროფესიონალის — ივანე ივანეს ძე აღაიანცის გავლენით. მისივე წინადადებით, ამ საქმეში მე ჩავაბი ჩემი მეუღლე, გოარ ლევონის ასული, რომელიც შემოვიდა ჩვენს სადაზვერვო ჯგუფში — „მსუბუქ კავალე-**

▶

**„საერთოდ, ყველაფერი, თეირანის კონფერენციასთან დაკავშირებული, ინახებოდა ზესაიდუმლოდ. ლავრენტი ბერიას შვილმა — სერგომ, არ იცოდა, სად მიფრინავდა და რა უნდა შეესრულებინა. ამაზე მან მხოლოდ თეირანში გაიგო, სადაც შეხვდა მამას და სტალინისგან მიიღო კონკრეტული დავალება — საიდუმლოდ მოესმინა სპეცოთახიდან საუბრებისთვის რუზველტის რეზიდენციიდან. თუმცა, როდესაც ბელადი ამ დავალებას იძლეოდა, მან ხაზი გაუსვა: „ეს არაეთიკური საქმეა, მაგრამ მე იძულებული ვარ... მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, ყველა ნიუანსი...“**

70 წლის შემდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რიაში“. ჯგუფს ასეთი სახელწოდება მიანიჭა ალაიანცმა. დღე-ღამის 17 საათის განმავლობაში ქუჩაში ვიმყოფებოდით, თვალ-ყურს ვადევნებდით გერმანელი აგენტების გადაადგილებას, ვაპელენგებდით მომუშავე გერმანულ რაციებს... როდესაც ფრანც მაიერმა ბერლინიდან მიიღო უარი სკორცენის ჯგუფის გამოგზავნასთან დაკავშირებით, მან გადაწყვიტა, ბრიტანეთის საელჩოში შეეღწია წყალკანალიდან ჩერჩილის დაბადების დღეს — 30 ნოემბერს და ბოლო მოეღო „სამეულისთვის“. მაშინ თეირანში არც წყალსადენი იყო და არც კანალიზაცია, ხოლო წყარო საელჩოში იწყებოდა სომხური სასაფლაოდან, საიდანაც ფაშისტები აპირებდნენ საელჩოში შეღწევას. ჩვენ მათ ეს გეგმა ჩავუშალეთ...“**

გევორქ ვართანიანი გახლდათ ერთ-ერთი იმ უიშვიათესი საბჭოთა მზვერავთაგანი, რომელიც, თითქმის 50(!) წელი (1991 წლამდე) არალეგალურად მუშაობდა ირანში, ჩავარდნის გარეშე! განსაკუთრებული დამსახურებისთვის მას მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა დაზვერვაში. გევორქ ვართანიანი შარშან გარდაიცვალა მოსკოვში, 88 წლის ასაკში. შედარებით ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან მისი დამრიგებელი — საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი განყოფილების უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი ივანე ალაიანცი, იგი სამოცი წლისაც არ იყო. ორივე დაკრძალულია მოსკოვის ნოვოდევიჩის სასაფლაოზე...

თეირანის სადაზვერვო ეპოპეაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა (მომავალში საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა) უშიშროების გენერალ-ლეიტენანტმა **ვლადიმერ დეკანოზოვმა**. ომის წინ იგი ხელმძღვანელობდა გერმანიაში საბჭოთა საიდუმლო სამსახურს, ანუ იყო რა გერმანიაში სსრკ-ის ელჩი, პარალელურად შინსახკომის რეზიდენტობასაც ითავსებდა. ირანში კიდევ ერთი თბილისელი — **პეტრე ზუბოვი** მუშაობდა. პეტრე იაკობის ძემ კარგად იცოდა ქართული ენა, ბერიაზე ერთი წლით უფროსი იყო და ლავრენტი პავლეს ძის განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებდა. სწორედ ბერიამ მოიყვანა ზუბოვი საიდუმლო სამსახურში. პეტრე ზუბოვმა თავი გამოიჩინა კავკასიისთვის ბრძოლაშიც, 1942 წლის ზაფხულში იგი ბერიას ჩამოჰყავა თბილისში.

რამდენიმეჯერ ჩავიდა ირანში, თქვენი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი **ვარლამ ივანეს ძე ქაქუჩაია**, სტალინისა და ბერიას ერთ-ერთი ყველაზე ნდობით აღჭურვილი პირი. ბატონი ვარლამი მშვენივრად ფლობდა აზერბაიჯანულ, თურქულ და გერმანულ ენებს. იგი გახლდათ უცნობი ირანული ფრონტის აქტიური მონაწილე. 1941 წლის 25 აგვისტოს ი. ბ. სტალინის ბრძანებით, დილის 5 საათზე ირანის ტერიტორიის მიმართულებით საბჭოთა არტილერიამ ყველა სახის იარაღიდან გახსნა ძლიერი ცეცხლი, ხოლო საჰაერო ძალების ნაწილებმა დაბომბეს ირანული აეროდრომები და სხვა სამხედრო ობიექტები. ირანში შეიჭრნენ 45-ე არმიის ქვედანაყოფები, რომელთა ფორმირება მოხდა ამიერკავკასიაში. შედეგად, შაჰის რეჟიმი დაეცა.

**— ბატონო ლევან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საბჭოთა ჯარებს წინააღმდეგობას უწევდნენ არა ირანელები, არამედ ვერმახტისა და ლიუფტვაფეს ნაწილები, მაგრამ ძალზე წარუმატებლად. არადა, გერმანიასთან ომის დაწყებიდან რაღაც თვე-ნახევარი იყო გასული და ჩვენ ვიცით, რა სავალალო აღმოჩნდა საბჭოთა ჯარისთვის 1941 წლის 22 ივნისი. აქ კი — სრული გამარჯვება! თითქოს საბჭოთა და გერმანულმა არმიებმა ადგილი გაცვალეს! თქვენი აზრით, რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ მაგ დროისთვის სტალინმა მთლიანად აიღო სამხედრო სადავეები თავის ხელში. ეს იყო იძულებითი ზომა, რადგან **22 ივნისმა ბელადს დაანახა, რომ „ტუხაჩევსკის შეთქმულება“ ბოლომდე არ იყო ამოძირკვული. დასავლეთის განსაკუთრებული ოლქის მთავარსარდალმა, გენერალმა პავლოვმა ჩაიდინა აშკარა ღალატი, როცა არ შეასრულა 18 ივნისის ბრძანება და ჯარი არ მოიყვანა სრულ საბრძოლო მდგომარეობაში. როდესაც გერმანული ავიაცია ბომბავდა სსრკ-ის ტერიტორიას, საბჭოთა სამხედროებს ეძინათ... ფაქტობრივად, პავლოვმა გერმანელებს გაუხსნა ფრონტი!.. თუ ღალატი არა, დოყლაპიობა გამოიჩინეს მაშინდელმა თავდაცვის სახალხო კომისარმა, მარშალმა ტიმოშენკომ და საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ჟუკოვმა.** ერთადერთი, ვინც მედგრად დაუდგნენ ფაშისტებს და მათ დიდი ზიანი მიაყენეს, იყვნენ სასაზღვრო ჯარები. სხვათა შორის, სასაზღვრო ჯარების უმაგალითო გმირობას ხრუშჩოვმა და მისმა პარტოკრატიულმა ბანდამ ტაბუ დაადო. „უხერხული“ იყო, რომ სახელგანთქმული სამხედრო გენერლების ჯარები ვერ ომობდნენ, სამაგიეროდ ფაშისტებს შავი დღე დააყარეს „ხალხის მტრის“, „უცხო ქვეყნების აგენტის“ და „პოლიტიკური ავანტიურისტის“ — ბერიას სასაზღვრო ჯარებმა!..

**«აბვერი, გესტაპო, მესამე რაიხის პოლიტიკური დაზვერვა ყველაფერს აკეთებდა, რომ ვითარება ემართა არამარტო ევროპაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელთა მთავარი სიმდიდრე — ნავთი, მოსვენებას არ აძლევდა ჰიტლერს და არამარტო მას»**

ალსანიშნავია, საბჭოთა ჯარმა უფრო მეტხანს დაჰყო ირანში, ვიდრე ინგლისის ჯარმა და ამერიკულმა ბატალიონებმა.

**— მაინც რამდენი ხანი იყვნენ ირანში?**

— 1946 წლის 9 მაისამდე. ამ ღონისძიებათა წყალობით და საბჭოთა სპეცსამსახურების ძალისხმევით, ამ დროის განმავლობაში განადგურდა და დააპატიმრეს 400-ზე მეტი გერმანელი აგენტი და დივერსანტი. უსამართლობა იქნება, არ ვახსენო საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი ავლანეთში **მიხეილ ალავერდოვი**, რომელმაც გერმანული სადაზვერვო სამსახურების ძალისხმევა — განეხორციელებინათ ძირგამომთხრელი მოქმედებები ირანში, კერძოდ, თეირანის კონფერენციის მსვლელობისას, ნულამდე დაიყვანა! მიხეილ ალექსანდრეს ძე დაიბადა თბილისში და ცხოვრობდა ყოფილ ენგელსის ქუჩაზე (დღეს ლადო ასათიანის ქუჩა). 1943 წელს იგი სათავეში ჩაუდგა სსრკ-ის შინსახკომის საინფორმაციო-ანალიტიკურ განყოფილებას.

**აბვერი, გესტაპო, მესამე რაიხის პოლიტიკური დაზვერვა ყველაფერს აკეთებდა, რომ ვითარება ემართა არამარტო ევროპაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელთა მთავარი სიმდიდრე — ნავთი, მოსვენებას არ აძლევდა ჰიტლერს და არამარტო მას.**

გერმანელებმა განსაკუთრებულად ფართო სადაზვერვო ქსელი შექმნეს თურქეთში. მძიმე ვითარება შეიქმნა ავლანეთში, სადაც, უკვე 12 წელი მართვის სადავეები ხელთ ეპყრა **ნადირ-შაჰის** დინასტიას, რომელიც, ირანელი შაჰის მსგავსად, დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული ჰიტლერისადმი. იმ წლებში საბჭოთა კავშირმა ბევრი მზვერავი დაკარგა მაგ ქვეყნებში; და, **თუ საერთო ჯამში საბჭოთა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რომელსაც აღიარებდნენ თეირანის კონფერენციაზე როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტიც, ამ ტრიუმფის ლომის წილი მოდიოდა საქართველოდან გამოსულ საიდუმლო სამსახურის მუშაკებზე!** კიდევ ერთხელ გამოვთქვამ მწუხარებას, რომ მათზე ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. ბევრი სახელი დავიწყებულია, არქივები გაფანტულია და, საუბედუროდ, განადგურებულიც. ერთი რამის თქმა შეგვიძლია თამამად: **ჩეკისტების ის ბრწყინვალე კოჰორტა საქართველოდან და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სძლია ვერაგ, დაუნდობელ მტერს, ლავრენტი ბერიას გამოზრდილი იყო!**

**«და თუ საერთო ჯამში საბჭოთა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რომელსაც აღიარებდნენ თეირანის კონფერენციაზე როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტიც, ამ ტრიუმფის ლომის წილი მოდიოდა საქართველოდან გამოსულ საიდუმლო სამსახურის მუშაკებზე!»**

ზუსტად 50 წლის წინ, 1963 წელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვის თავკაცმა **ჰეინხარტ გელენმა** გააკეთა შოკისმომგვრელი განცხადება, რომ სადაზვერვო ინფორმაცია მოსკოვში გადაიცემოდა ფაშისტური გერმანიის ყოვლისშემძლე რაიხლაიტერის ჰიტლერის მოადგილის — **მარტინ ბორმანის** კაბინეტიდანო. გელენი აღიარებდა: რუსული დაზვერვა უძლიერესი იყო მსოფლიოში. მხოლოდ მას შეეძლო გადმოებირებინა თვით მარტინ ბორმანი! ამ ფაქტზე ჩვენ ზუსტად ვიცოდით 1943 წელს თეირანის კონფერენციის დაწყებამდეო...

**— ბატონო ლევან, გაუგებარია: თუ იცოდნენ, რატომ არ დააპატიმრეს ბორმანი?**

— საქმე ისაა, რომ მაშინდელი გერმანიის ხელმძღვანელობაში ფაშისტური, პირდაპირ ვთქვათ, კაციჭამიური იდეოლოგიისა სწამდა მხოლოდ ორ ადამიანს — თავად **ადოლფ ჰიტლერს** და, ვფიქრობ, მასზე მეტად — **იოზეფ გებელსს**; დანარჩენები მიტმასნილნი იყვნენ. მარტინ ბორმანი კი მესამე რაიხის მთელ სიმდიდრეს განაგებდა; პარტიის ფული ყველას უნდოდა მომავალი უდარდელი ცხოვრებისთვის სამხრეთ ამერიკაში, ამიტომაც, ჩემი აზრით, ბორმანის გალიზიანება ვერავინ გაბედა; ბორმანთან დაპირისპირება, ჯერ ეს ერთი, „ფინანსურად“ არამომგებიანი იყო და, მეორეც — სიცოცხლისთვის ძალზე სახიფათოც.

**საერთოდ, ყველაფერი, თეირანის კონფერენციასთან დაკავშირებული, ინახებოდა ზესაიდუმლოდ. ლავრენტი ბერიას შვილმა — სერგომ, არ იცოდა, სად მიფრინავდა და რა უნდა შეესრულებინა. ამაზე მან მხოლოდ თეირანში გაიგო, სადაც შეხვდა მამას და სტალინისგან მიიღო კონკრეტული დავალება — საიდუმლოდ მოესმინა სპეცოთახიდან საუბრებისთვის რუზველტის რეზიდენციიდან. თუმცა, როდესაც ბელადი ამ დავალებას იძლეოდა, მან ხაზი გაუსვა: „ეს არაეთიკური საქმეა, მაგრამ მე იძულებული ვარ... მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, ყველა ნიუანსი...“**

„დიდი სამეულის“ შეხვედრის უსაფრთხოდ ჩატარების საქმეში ბევრი რამ გააკეთეს ლ. პ. ბერიას მოადგილემ, სსრკ-ის შინსახკომის აეროდრომების მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა **ლეონ ბოგდანის ძე საფრაზიანმა**, საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა **გრიგოლ თეოფილეს ძე კარანაძემ**, მილიციის მესამე რანგის კომისარმა **კაპიტონ გრიგორის ძე ნაჭყებიამ** და საქართველოს სხვა მრავალმა წარმომადგენელმა. მე ისღა დამრჩენია, ზემოხსენებულ სახელებს დავუმატო სტალინის პირადი დაცვის უფროსის, უშიშროების კომისრის — **შალვა ოთარის ძე წერეთლის** სახელი, რომელსაც ბერია ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან იცნობდა — მასთან ერთად იჯდა ქუთაისის ციხეში. ზუსტად ნაჭყებიამ და წერეთელმა მიიქციეს ჩერჩილის ყურადღება — ბრიტანეთის პრემიერმინისტრი გააოცა ამ ორი ახოვანი ვაჟკაცის სილამაზემ, ამასთან, თავად ჩერჩილის შტაბის უფროსი თეირანის კონფერენციაზე გახლდათ ქართველი — **მერაბ კვიტაშვილი**. როგორც სერგო ბერია იხსენებდა, მერაბ კვიტაშვილი გადაიბირა პირად დაზვერვაში ლავრენტი ბერიამ. ამის თაობაზე იცოდა მხოლოდ იოსებ სტალინმა. სხვათა შორის, ოდნავ მოგვიანებით რუზველტის ერთ-ერთი თარჯიმანი გახდა აშშ-ის არმიის ახალგაზრდა ოფიცერი **დავით ჭავჭავაძე**, რომელიც შემდგომ მუშაობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში და მან პოლკოვნიკის წოდებაც კი მიიღო. ასევე, გავიხსენებ კიდევ ერთ ჩვენს თანამემამულეს — გენერალ დე გოლის პირად თარჯიმანს — **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს**...

**თეირანის კონფერენცია, როგორც აღვნიშნე, იყო პირველი ერთობლივი შეხვედრა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ლიდერებისა. ჩერჩილი და რუზველტიც აღფრთოვანებული დარჩნენ სტალინის პიროვნებით, საბჭოთა ლიდერის ქარიზმით, ხოლო მასთან საუბრისას განსაკუთრებულად ხაზს უსვამდნენ კონფერენციის უსაფრთხოების ბრწყინვალე უზრუნველყოფას.** მათი მეორე შეხვედრა ჩატარდა, უკვე განთავისუფლებულ საბჭოთა ტერიტორიაზე — ყირიმში, ხოლო მესამე — დამარცხებულ ფაშისტურ გერმანიაში, პოტსდამში, სადაც გარდაცვლილი რუზველტი შეცვალა **ტრუმენმა; ჩერჩილი** კი კონფერენციის მსვლელობისას — **ეტლიმ**. ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი — იოსებ ბესარიონის ძე სტალინი სარდლობდა 10,5-მილიონიან არმიას. არც მანამდე და არც მერე მსოფლიოში არავის ჰყოლია ასეთი უზარმაზარი და მძლავრი ჯარი!

...როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, თეირანიდან ბაქოს გავლით მოსკოვში მიმავალმა სტალინმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვიცი, როდესაც მოვკვდები, ჩემს საფლავს უამრავ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი ამ ნაგავს უმოწყალოდ გაფანტავს“. ეს იყო 1943 წლის 2 დეკემბერს...

**«ზუსტად 50 წლის წინ, 1963 წელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვის თავკაცმა ჰეინხარტ გელენმა გააკეთა შოკისმომგვრელი განცხადება, რომ სადაზვერვო ინფორმაცია მოსკოვში გადაიცემოდა ფაშისტური გერმანიის ყოვლისშემძლე რაიხლაიტერის (პარტიის ხაზინადარის) — მარტინ ბორმანის კაბინეტიდანო. გელენი აღიარებდა, რომ რუსული დაზვერვა უძლიერესი იყო მსოფლიოში. მხოლოდ მას შეეძლო გადმოებირებინა თვით მარტინ ბორმანი!»**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შალახო გვაკლდა სრული ბედნიერებისთვის და ესეც ხონჩით მოგვართვეს ევროპული ვილნიუსის სამიტზე პარაფირების შეთანხმების გაფორმების საზეიმო ცერემონიის დროს. ან, იქნებ, რაღაც ყეენობაზე ვიყავით ჩასული ესტონეთის დედაქალაქში?! რა იყო ეს — ჩვენი აზიელობისთვისა და თავიანი ევროპული უპირატესობისთვის ხაზგასმა თუ ელემენტარული უცოდინარობა? თუ ორივე ერთად?!**

# ევროინტეგრაცია რუმინეთისა და ბულგარეთის მაგალითზე

**რის ასოცირება და პარაფირება, რა ხელის მოწერა და სხვა ამგვარი ფორმალობები — საქართველო თურმე, კარგა ხანია, ევროკავშირის წევრია — 2007 წლიდან მაინც, როგორც რუმინეთი.
ყველაფერი შედარებითია.
კონკრეტული პარამეტრებით.
შევადაროთ: რუმინეთი ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყნების სიაში მეორეა; ბუქარესტის საგარეო ვალი 35,7 მილიარდი ევროა; უმუშევრობამ 2013 წლისთვის 47 პროცენტს მიაღწია; რუმინეთი დღემდე შესული არ არის შენგენის ზონაში.
შეადარეთ ეს მონაცემები ჩვენსას და თვალნათელი გახდება, რომ საქართველო არაფრით ჩამორჩება რუმინეთს, რომელიც 2007 წლიდან ევროკავშირის წევრია.
რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული სპეციფიკით ცოტათი განვსხვავდებით. მაგალითად, საგარეო ვალი ნაკლები გვაქვს, სამაგიეროდ უმუშევართა რაოდენობით ვუსწრებთ.**



რუმინეთში, როგორც ნატოს წევრ ქვეყანაში, 2014 წელს შეიქმნება აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გადაზიდვათა სატრანსპორტო ცენტრი, რომელიც ბიშკეკის მანასის ბაზას ჩაანაცვლებს. საქართველოში მსგავს ბაზაზე ლაპარაკი არ არის, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ ვის როდის ჩაუკეტია თბილისის აეროპორტი ავღანეთის კურსით მიმავალი ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებისთვის?! გინდა ბაზა დაარქვი, გინდა შუალედური პუნქტი. სამაგიეროდ ვზრდით და ვამრავლებთ ავღანეთში მებრძოლი ჩვენი სამხედრო კონტიგენტის რაოდენობას.

**რუმინელი ობივატელის თვალსაზრისით, ევროინტეგრაციის პროცესი ნირვანაში ჩაძირვის ან მიწიერ სამოთხეში ამაღლების მსგავსი რამ უნდა ყოფილიყო. უკანასკნელი 15 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ლოზუნგი: „ევროინტეგრაცია ყველაფერზე მაღლა!“ რეფორმების მთელი ტკივილი, ყველა ეკონომიკური პრობლემა, ყველა გაუმართაობა ითვლებოდა ან ევროპიზაციის მისაღწევად საჭირო მსხვერპლად, ან იმად, რომ ქვეყანამ სათანადო ძალისხმევა არ დახარჯა ევროინტეგრაციისთვის. ევროკავშირში გატარებული ხუთი წლის შემდეგ უკვე შეიძლება დასკვნების გამოტანა ნებისმიერი იდეოლოგიური ასპექტის გვერდის ავლითა და მხოლოდ ეკონომიკაზე კონცენტრირებით.**

ვნახოთ, რის ანაზარა დარჩა რუმინელი ხალხი ევროინტეგრაციის შემდეგ (არადა, ეს პროცესი ხომ ჯერ კიდევ გრძელდება! „ევროინტეგრაციას აქვს დასაწყისი, ევროინტეგრაციას არ აქვს დასასრული!“).

**2004 წელს ინდოელ-ბრიტანელ მილიარდერს ლაკშმი მიტალს მოუნდა, რუმინეთის უმსხვილესი მეტალურგიული კომბინატი Sidex-ი შეეძინა. ყველაზე მოკრძალებული შეფასებებით, ამ „კომუნისტური ეპოქის მასტოდონტის“ რეალური ღირებულება იყო დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი. ლაკშმი მიტალმა არ მოინდომა ამხელა ფულის დაბანდება და პრობლემა ძალზე დახვეწილი მეთოდით გადაჭრა.**

**მისმა კუთვნილმა ერთ-ერთმა კომპანიამ 4 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესწირა ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო ფონდს. ეფექტს დიდხანს არ დაუყოვნებია: ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერმინისტრი ტონი ბლერი დაინტერესდა რუმინეთში პრივატიზაციის საკითხებით და რუმინეთის ხელისუფლებას გაუგზავნა წერილი, რომელშიც აბსოლუტურად ღიად მიანიშნებდა ზემოხსენებული კომბინატის პრივატიზების შესახებ, რაც განსაკუთრებით სასურველი იქნებოდა რუმინეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივის თვალსაზრისით. შედეგად, რუმინეთის უმსხვილესი მეტალურგიული კომბინატი 74 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

## რით არ ვართ ევროკავშირში? უმუშევრებით, დანგრეულ-გაძარცვული ქარხნებით თუ სააკაშვილის ნაშენები ბათუმის სანაპირო ბულვარით?!

იმავე 2004 წელს პრივატიზებულ იქნა სახელმწიფო ნავთობკომპანია Petrom. ლოზუნგი იგივე იყო: **„ევროკავშირში შესასვლელი ბილეთისთვის უნდა გადავიხადოთ!“** „პეტრომი“ ავსტრიულმა კომპანია OMV-ამ შეიძინა. საინტერესო ფაქტი: **ევროპელი ჩინოვნიკები, რომლებმაც წალეკეს ბუქარესტი, ნერგავენ პრინციპს, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა ანტიევროპული ბოროტებაა, თუმცა საკუთარ თავთან მიმართებაში ამ პრინციპის გამოყენებას არ ჩქარობენ.** OMV ფაქტობრივად არის ავსტრიული სახელმწიფო კომპანია, რომელიც რუმინულ ნავთობს „პრივატიზაციის გამჭვირვალე და საბაზრო მექანიზმების“ წყალობით დაეპატრონა.

პრობლემა ისაა, რომ ავსტრიელების მიერ გადახდილი ფასი არ ფარავდა სადაზვერვო მონაცემებით დადგენილი ნავთობმარაგის ღირებულების 15%-საც კი, თანაც ტექნიკის, პერსონალისა და სხვა მსგავსი ხარჯების გაუთვალისწინებლად. უფრო მეტიც, ავსტრიელებმა საპრივატიზაციო კონტრაქტში შეიტანეს ფიქსირებული გადასახადი გრუნტით სარგებლობისთვის. თავად ავსტრიელები ირწმუნებიან, რომ ეს გადასახადი საბადოების მიხედვით მერყეობს 3,5%-დან 13%-მდე. ზუსტი ციფრები არავინ იცის, გარდა თავად ავსტრიელებისა და რუმინეთის ხელისუფლებისა: კონტრაქტის ზოგიერთი ნაწილი გასაიდუმლოებულია, ალბათ, იმიტომ, რომ მეტისმეტად არ გაანაწყენონ ელექტორატი.

**რუმინული ნავთობის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია ნეოკოლონიალიზმის ნათელი მაგალითია.**

**რუმინული ნავთობის ავსტრიელი მფლობელები ნიადაგით სარგებლობისთვის გადასახადს იხდიან, მაგრამ ეს გადასახადი მრავალჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი შესატყვისი, მაგალითად, ტანზანიაში. პრივატიზაციის მომენტიდან მხოლოდ გრუნტებით სარგებლობისთვის დაბალი გადასახადის გამო ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით რუმინეთის ბიუჯეტმა 15,4 მილიარდი დოლარი დაკარგა, ეს კი ქვეყნის მთელი საერთო შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ია.** მრავალი რუმინელი სპეციალისტი შურით შეჰყურებს რუსეთს, სადაც ვლადიმერ პუტინმა აღკვეთა ნავთობის ძარცვა და დააწესა გადასახადების ნორმალური დონე, მაშინ, როდესაც რუმინელებს მხოლოდ ისღა დარჩენიათ, შორიდან უყურონ, თუ როგორ მდიდრდებიან ავსტრიელები მათი ნავთობით.

**რუმინეთის სახელმწიფო სატელეკომუნიკაციო კომპანია Romtelecom მიჰყიდეს ბერძნულ სახელმწიფო ტელეკომ ოპერატორ OTE-ს იმ ფასად, რომელმაც კავშირგაბმულობის სადენებში გამავალი სპილენძის ღირებულებაც ვერ დაფარა. ძალზე დაბალ ფასად და კვლავ ევროკავშირში ინტეგრაციისთვის აუცილებელი მსხვერპლის შესახებ ზემოხსენებული ლოზუნგების ფონზე გასხვისებული იქნა თითქმის მთელი საბანკო სექტორი, დარჩენილი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, გამანაწილებელი ელექტროქსელები და ასე შემდეგ.** სახელმწიფოს ხელში დარჩა მხოლოდ რამდენიმე ენერგეტიკული კომპანია, მაგრამ მალე ისინიც პრივატიზებულ იქნება, მანამდე კი სხვადასხვა ევროპულ კომპანიას დაბალ ფასად უზრუნველყოფენ ელექტროენერგიით.

შესაძლოა, ვინმემ იმაზე მიანიშნოს, რომ ევროკავშირი დაეხმარა რუმინეთს კუნძულ ზმეინის შელფთან დაკავშირებული ტერიტორიული დავის მოგებაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ რუმინეთი თითქმის არაფერს მიიღებს იქ აღმოჩენილი რესურსებიდან, რადგან ჯერ კიდევ 90-იან წლებში ხელმოწერილი შეთანხმებით, ამ რესურსებს ავსტრიელები და ამერიკელები მოიპოვებენ.

**ევროკავშირისკენ მიმავალი გრძელი და რთული გზის ბოლოს შეიქმნა ასეთი სიტუაცია: თავად რუმინელები მხოლოდ მოიჯარეებად იქცნენ საკუთარ ქვეყანაში, რომელსაც ისინი უკვე აღარ ფლობენ. აღარც ბანკები, არც ნავთობი, არც მიწა მათ აღარ ეკუთვნის. ცხოვრების დონის გაუმჯობესების ილუზია არსებობდა მხოლოდ ევროპული იაფი კრედიტების და უძრავი ქონების სექტორის ბუმის ხარჯზე. სპეკულატიური ბუმი დასრულდა, ვალები დარჩა, ქვეყანა კი უკვე აღარც არსებობს.**

უკრაინის ევროინტეგრაციის მომხრეები ქვეყანას ევროკავშირში გაწევრების შემთხვევაში ოქროს მთებს ჰპირდებიან. **მაგრამ უკრაინის პრემიერმა აზაროვმა კარგი სურათი და მაგალითი მოგვცა იმისა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს „ოქროს მთები“. მას არ დაუმალია, რომ ასოცირების პარაფირების სანაცვლოდ, ევროპა ერთ მილიარდ დოლარს სთავაზობდა უკრაინას, ისიც ხელფასისა და სხვა სახის სარგოს შემცირების სანაცვლოდ, მაშინ, როდესაც რეალურად ამ პარაფირებით კიევი ათეულობით მილიარდ დოლარს დაკარგავს, ხოლო ევროპის მიერ სამათხოვროდ გამოყოფილი მილიარდი ევროპისავე ვალების მომსახურებას, ანუ პროცენტის გადახდას არ ეყოფა.**

ოქროს მთებს გვპირდებიან საქართველო- ▶



## იდიოტური სერიალები, იდიოტური შოუები ევროკავშირის გარეშეც არ გვაკლია. ვყოფილვართ ამ საოცნებო ევროკავშირში და სხვას რას ვებღაუჭებით?!

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თქვენ გსურთ, იცოდეთ, როგორ იცხოვრებთ ევროკავშირის პირობებში? ჩამოდით ბულგარეთში, ოღონდ ნუ ივლით სანაპიროზე რესტორნიდან რესტორანში. ეს ნიღაბია. გაემგზავრეთ რამდენიმე კილომეტრით ქვეყნის სიღრმეში. თქვენ ნახავთ ქარხნების ნანგრევებს, თქვენ ნახავთ სიღატაკეს, რომელიც ირგვლივ სუფევს. თქვენ ნახავთ ევროკავშირის მიერ გასრესილ ეკონომიკას, შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ სამუშაოს პოვნას“.




◀ საც, თან შენიშვნებსა და რეკომენდაციებს არ იშურებენ. რეკომენდატორთა შორის განსაკუთრებით აქტიურობს ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი. ის წარმოშობით ბულგარელია და, თუ გავითვალისწინებთ, რაც ბულგარეთმა მიიღო ევროკავშირში გაწევრებით, არათუ რეკომენდაციებს უნდა გვაძლევდეს, არამედ უნდა მოგვიწოდებდეს, — დაანებეთ ამ ფარსს თავიო, მაგრამ კაცია და გუნება, შუბლის ძარღვის სიმრთელეს ყველას ვერ მოსთხოვ. ხოლო იმის დასტურად, რომ დიმიტროვი ის დიპლომატია, რომელსაც შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს, მოდით, ერთად ვნახოთ, რა ხდება მის მშობლიურ ბულგარეთში, რომელიც მოგეხსენებათ ევროკავშირის წევრიც არის და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშიც შედის. აი, რას წერს ბულგარეთის საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ზდრავკოვი გაზეთ „სლავიანსკო ედინსტვოში“ იმის თაობაზე, თუ რა დღეში ჩავარდა ეს ქვეყანა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრი გახდა.

**„თქვენ გსურთ, იცოდეთ, როგორ იცხოვრებთ ევროკავშირის პირობებში? ჩამოდით ბულგარეთში, ოღონდ ნუ ივლით სანაპიროზე რესტორნიდან რესტორანში. ეს ნიღაბია. გაემგზავრეთ რამდენიმე კილომეტრით ქვეყნის სიღრმეში. თქვენ ნახავთ ქარხნების ნანგრევებს, თქვენ ნახავთ სიღატაკეს, რომელიც ირგვლივ სუფევს. თქვენ ნახავთ ევროკავშირის მიერ გასრესილ ეკონომიკას, შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ სამუშაოს პოვნას“.**

არ გეცნოთ?

ჰოდა თქვით, ჩემო ბატონო, **რით არ ვართ ევროკავშირში? უმუშევრებით, დანგრეულ-გაძარცვული ქარხნებით თუ სააკაშვილის ნაშენები ბათუმის სანაპირო ბულვარით?!**

**„უმუშევრობა,** — განაგრძობს დიმიტრი ზდრავკოვი, — **ხელისუფლების თავხედური პატაკის მიხედვით, 18 პროცენტის დონეზეა. უსინდისო სიცრუეა! სრული პასუხისმგებლობით გიცხადებთ: ორჯერ მეტია! მინიმუმ ყოველი მეოთხე შრომისუნარიანი ადამიანი ვერ პოულობს სამუშაოს“.**

მაშ, რით ირჩენენ თავს ბულგარელები? გაედინებიან საზღვარგარეთ.

რით არიან იქ დაკავებულნი?

**„შავ მუშებად მუშაობენ, ჭურჭლის მრეცხავებად. გასტარბაიტერები!“**

ნაცნობი სურათია? მაშ, რით არ ვართ ჩვენ ევროკავშირის წევრი ქვეყანა?

ვყოფილვართ, ძმაო, ჯერ კიდევ „სააკაშვილის ეპოქიდან“ დაწყებული!

მაშ, რა პარაფირება და რის ხელმოწერა ვილნიუსის სამიტზე?

ან, თუნდაც, სიტყვის თავისუფლების საკითხი ავიღოთ: ბულგარეთში, ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ახლა უკვირთ, რომ იქ დასავლური პროპაგანდაა მოდებული: **„ყველაფერი, რაც რუსეთთანაა დაკავშირებული, ან მიჩუმათებულია, ან გაბინძურებული... ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, თუ წამოგცდებათ სიტყვები — რუსეთი, პუტინი, შეუკვეთეთ მგლის ბილეთი არსაით. იმავე წუთში მოგაკერებენ ჯაშუშის, ხელისშემწყობის და ყველა მიწიერი ცოდვის ჩამდენის იარლიყს“.**

ესეც ნაცნობია, მიშას რეჟიმის დროინდელია.

ასეთი პერსპექტივისთვის ღირდა ვითომ ევროკავშირში შესვლა?

კვლავ — **მადლობა ღმერთს, დღეს ვცდილობთ, გამოვიდეთ ამ ფობიიდან, მაგრამ მოგვცემს კი ევროკავშირი ასეთი პერსპექტივის განვითარების საშუალებას?**

ბულგარეთის, ევროკავშირის წევრი ამ ქვეყნის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, არა, არ მოგვცემს.

დიმიტრ ზდრავკოვს, ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტ ბულგარელ პატრიოტს, აი, კიდევ რა აწუხებს:

**„საღამოს შინ ბრუნდები, ჩართავ ტელევიზორს და უცქერ ერთმანეთის მსგავს იდიოტურ შოუებსა და უსასრულო, გამომათაყვანებელ თურქულ სერიალებს — შესვენებით რეკლამებისთვის. მიდის ლამაზი ცხოვრების რეკლამა, მიდის რეკლამა ევროკავშირის — ყველა ბედნიერია, ყველას სახეზე მხიარულება აწერია. მთავრდება რეკლამა — მიმოიხედავ ირგვლივ და ხედავ, რომ არაფერი შეცვლილა... ბედნიერი ცხოვრება კი სადღაც შორსაა, ვერ მისწვდები“.**

ესეც ხომ გეცნოთ?

**იდიოტური სერიალები, იდიოტური შოუები ევროკავშირის გარეშეც არ გვაკლია. სააკაშვილმა ვირტუალურ ბედნიერებას მიგვაჩვია! ვყოფილვართ ევროკავშირში და საითკენ ვიქაჩებით კიდევ?!**



ფილიპ დიმიტროვი

**ოქროს მთებს გვპირდებიან საქართველოსაც, თან შენიშვნებსა და რეკომენდაციებს არ იშურებენ. რეკომენდატორთა შორის განსაკუთრებით აქტიურობს ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი. ის წარმოშობით ბულგარელია და, თუ გავითვალისწინებთ, რაც ბულგარეთმა მიიღო ევროკავშირში გაწევრებით, არათუ რეკომენდაციებს უნდა გვაძლევდეს, არამედ უნდა მოგვიწოდებდეს, — დაანებეთ ამ ფარსს თავიო, მაგრამ კაცია და გუნება, შუბლის ძარღვის სიმრთელეს ყველას ვერ მოსთხოვ**

სოფელი? სოფლის მეურნეობა ბულგარეთში სრულიად განადგურებულია. **„უნიჭო მთავრობამ დააგროვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები. ამ უკანასკნელმა კი მოგვთხოვა თავისი ახალი ეკონომიკის უსიტყვოდ დაცვა. კი, უფლება მოგვცეს, მივსდიოთ მეცხოველეობას, მაგრამ დაგვიწესეს თავიანთი მიზერული საშემსყიდველო ფასები, რამაც სრულად გაგვაკოტრა. ქვეყანა მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული“.**

კი, მაგრამ ეს უბედურება ჩვენ ასოცირების პარაფირების საზეიმო ცერემონიამდეც გვჭირდა, ანუ **ვყოფილვართ ამ საოცნებო ევროკავშირში და სხვას რას ვებღაუჭებით?!**

ბულგარეთში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, დემოგრაფიული სიტუაცია კატასტროფულია, განათლების სისტემა მოშლილია.

ლომაია-რანკოვიჩის ხროვამ საქართველოში ზუსტად ასეთი ვითარება დაგვიტოვა.

მაშასადამე, ვყოფილვართ, ჩემო კარგებო, ევროკავშირში და ვირის წიხლისგან კბილებჩამტვრეული მგლისა არ იყოს — „მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?!“

ორიოდ სიტყვა პრესის თავისუფლების შესახებაც. აქვს თითქოს ამის უფლება მედიას, მაგრამ მთავრობის კრიტიკა მხოლოდ „ლაითადაა“ ნებადართული, ხოლო შედეგების ლოდინი — ამაო.

ევროკავშირის რაღა ამ ახალ წევრებს მივადექით, აი, სულ ახალი, ცინცხალი მაგალითი სიტყვის თავისუფლების კლონდაიკიდან: **28 ნოემბერს პრესაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკულმა ტელეკომპანია CNN-მა გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის — ვიტალი ჩურკინის ინტერვიუდან ამოჭრა მთელი პასაჟი, რომელშიც დიპლომატი მოუწოდებდა, ანგარიში გაეწიათ სირიელი ხალხის ნებისთვის, რომლის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს პრეზიდენტ ბაშარ ასადს.** ასევე ამოჭრეს ჩურკინის კომენტარი სირიის ოპოზიციის მიერ წამოყენებული წინაპირობების მიუღებლობის შესახებ ჟენევაში მოლაპარაკების დასაწყებად, რომელიც 22 იანვრისთვისაა დანიშნული და კიდევ — რამდენიმე შეფასება მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოსაზრებები სირიის მიმართ აშშ-ის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა.

დაბოლოს, გამწარებული, იმედგაცრუებული, განწირული კაცის კივილივითაა:

**„ჩვენ გვსურდა სხვა ცხოვრება, მაგრამ არა ასეთი. მწარედ მოგვატყუეს. შეგვათრიეს ამ ევროკავშირში ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ... ვიმედოვნებდით, რომ ევროკავშირში შესვლით უკეთესად ვიცხოვრებდით. არა!.. ცხოვრება აუტანელი გახდა!“**

აი, ასეთი პერსპექტივა გველოდება.

ამიტომ — შენ დაუკა! გაშალეთ მკლავები და ჩამოუარეთ... შალახო, კინტოების ცეკვა — კინტაური, რომელიც ასეთად რჩება სუხიშვილების მიერ მისი გაკეთილშობილების მიუხედავად.

**შალახო გვაკლდა სრული ბედნიერებისთვის და ესეც ხონჩით მოგვართვეს ევროპული ვილნიუსის სამიტზე პარაფირების შეთანხმების გაფორმების საზეიმო ცერემონიის დროს. ან, იქნებ, რაღაც ყეენობაზე ვიყავით ჩასული ესტონეთის დედაქალაქში?!**

რა იყო ეს — ჩვენი აზიელობისთვისა და თავიანი ევროპული უპირატესობისთვის ხაზგასმა, თუ ელემენტარული უცოდინარობა? თუ ორივე ერთად?!

და ამათ უნდა გადაგვიწყვიტონ ბედი ქართლისა?!

**არმაზ სანებლიძე**



## დიმიტრი ზდრავკოვი:

## ჩვენ გვსურდა სხვა ცხოვრება, მაგრამ არა ასეთი. მწარედ მოგვატყუეს. შეგვათრიეს ამ ევროკავშირში ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ... ვიმედოვნებდით, რომ ევროკავშირში შესვლით უკეთესად ვიცხოვრებდით. არა!.. ცხოვრება აუტანელი გახდა!

## მედიკამენტებზე კონტროლი უნდა გამკაცრდეს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ მედიკამენტებზე კონტროლის გამკაცრებას მოითხოვს.**

ორგანიზაციის განცხადების თანახმად, წამლების: „ანდანტეს“, „გრიმოდინის“, „ტებანტინის“, „ბაკლოსანის“, „გაბაგამას“ შესაძენად არასრულწლოვანი მომხმარებლები აფთიაქებს ხშირად მიმართავენ.

**„ყველა ეს მედიკამენტი ექიმის დანიშნულების გარეშე გაიცემა და მოზარდები მას ე. წ. ფსიქოტროპული თრობის შეგრძნების მისაღებად მოიხმარენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც წამლის მოქმედება გვიან იწყება. ამის გამო მომხმარებელი დოზას ზრდის, რამაც შეიძლება ფატალურ შედეგებამდე მიიყვანოს. აბები იწვევს ნარკოდამოკიდებულებასა და ხშირ შემთხვევაში უფრო ძლიერი ნარკოტიკის მოხმარების სურვილს, რაც საბოლოოდ ადამიანს ინტრავენურ მომხმარებლად აქცევს. ნარკოტიკის მოხმარება არასასურველ გავლენას ახდენს როგორც ადამიანის ფსიქიკურ, ისე ფიზიკურ მდგომარეობაზე. ნარკოტიკის მოხმარებისას დიდია ასოციალური ქცევის ჩადენის ალბათობა, რადგან ცნობიერება ამ ნივთიერებების ფონზე შეცვლილია და ადამიანი არაადეკვატურად აზროვნებს. დიდია წამლის მოპოვების მოტივით კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის რისკიც“,** — აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე ცნობით, აფთიაქში ხშირად ბავშვებიც შედიან და რამდენიმე აბს ერთად მოიხმარენ, რაც იწვევს უკუჩვენებებს, თავბრუსხვევას, ღებინების შეგრძნებას, არაადეკვატურ მოქმედებას, გაორებულ მხედველობას და ა. შ.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, აბები ასევე აქვეითებს ტვინის უჯრედების მოქმედებას და გარკვეული პერიოდის შემდეგ ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

„ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს აფთიაქების კონტროლის გამკაცრებისკენ მოუწოდებს.



## ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გეოპოლიტიკურ კონკურენციას ევრაზიაში აშშ აგებს ყოველთვის, როგორც კი ევროპელები ხვდებიან, რომ „საშიშროება აღმოსავლეთიდან" ილუზორულია და კარგავენ ყოველგვარ ინტერესს ამერიკელების ყოფნის მიმართ ატლანტიკიდან კარპატამდე სივრცეში. ევროპის რუსეთისადმი ნორმალური ურთიერთობა ნატოსთვის ყელის გამოჭრასავითაა, რომელიც მსოფლიოს ამ ნაწილში აშშ-ის პოლიტიკის მთავარი იარაღია.**

# ვაშინგტონმა ევროპას უბრძანა...

**ახლოაღმოსავლეთის ჩანაცრებამდე მისული კოცონი აშშ-მა ხელახლაააბრიალა და დაძაბული ყურადღება ევროპაზე გადაიტანა, სადაც მოკავშირეებმა რუსულ-ამერიკული ურთიერთობის „გადატვირთვის" პერიოდში ზედმეტად თავისუფლად იგრძნეს თავი. ნატოს ჯარების მასშტაბური მანევრები რუსეთისა და ბელარუსის საზღვრების სიახლოვეს, ფულითა და თანამედროვე იარაღით პოლონეთის გატენვა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაერთიანების შესახებ საუბრების განახლება — ეს ყველაფერი თეთრი სახლის მიერ რუსეთთან „პარტნიორობის" პოლიტიკაზე საბოლოოდ უარის თქმის მანიშნებელია, პოლიტიკისა, რომლის დეკლარირებას ვაშინგტონი იძულებით ახდენდა, სანამ ეს სჭირდებოდა „საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ" ამერიკის შეიარაღებულ ძალებს.**



ახლა ეს ომი დამთავრდა, აშშ ძმად ეფიცება „თალიბანს", „ალ ქაიდას" და „ძმებ მუსლიმებს" მოლაპარაკების მაგიდასთან. სირიელი ისლამისტები „ამერიკის მტრებიდან" უცებ მის მოკავშირეებად გარდაიქმნენ, ხოლო ანტიტერორისტული კოალიციის პარტნიორს ვაშინგტონმა „ნატოს პოტენციური მოწინააღმდეგის" სტატუსი დაუბრუნა.

მოულოდნელი ეს არ იყო. **გეოპოლიტიკურ კონკურენციას ევრაზიაში აშშ აგებს ყოველთვის, როგორც კი ევროპელები ხვდებიან, რომ „საშიშროება აღმოსავლეთიდან" ილუზორულია და კარგავენ ყოველგვარ ინტერესს ამერიკელების ყოფნის მიმართ ატლანტიკიდან კარპატამდე სივრცეში. ევროპის რუსეთისადმი ნორმალური ურთიერთობა ნატოსთვის ყელის გამოჭრასავითაა, რომელიც მსოფლიოს ამ ნაწილში აშშ-ის პოლიტიკის მთავარი იარაღია.**

არ დაუშვან, რომ ბებერ ევროპას ეჭვი შეეპაროს „ატლანტიკური სოლიდარობის" ფასეულობათა ურყევობაში, იყო და რჩება სტანდარტული ანგლოსაქსური სტრატეგიის არსენალში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ხოლო კრემლის დემონიზაცია და მოსკოვის კონფლიქტზე პროვოცირება ევროპის ჩვეულებრივი მიტმასნების პოლიტიკაა. ამერიკული „ქოლგის" ქვეშ თავის შეფარების საჭიროებაც ქრება, როგორც მოთხოვნა ჩვეულებრივი ქოლგების საჭიროებისა წვიმის გადაღების შემდეგ.

**ამერიკას სჭირდება „მტრული" რუსეთი ისევე, როგორც ნარკომანს ჰეროინის მორიგი დოზა.** ამიტომაა, რომ „პარტნიორობის" იძულებითი თამაშის შემდეგ, ვაშინგტონი გარდაუვალად დაიწყებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის გართულებას, რათა მოსკოვისადმი უნდობლობის საწამლავი შეიყვანოს ევროპული პოლიტიკის ვენებში, რაც, სხვათაშორის, უკვე დაწყებულია. ამ საქმეში მის დამხმარეთა ავანგარდში, ბუნებრივია, იმყოფება პოლონეთი.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **პოლონეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ბევრს აკეთებს მოსკოვსა და ვარშავას შორის ურთიერთგაგების გზების ძებნის საქმეში. მაგრამ იგი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს იმას, რომ პოლონეთის კონსერვატიულ წრეებში დომინირებს არაჯანსაღი მიდრეკილება თავისი ქვეყნის ტრაგიკული გამოცდილების თანამედროვეობაზე გადმოსატანად.** დასავლეთში გერმანიასთან, ჩრდილოეთში რუსეთთან საერთო საზღვრების არსებობა, ბელარუსისა და ბალტიის ქვეყნების გავლით, აგრეთვე, აღმოსავლეთითაც, ბევრი პოლონელის მიერ კვლავ აღქმულია, როგორც მესამე რეჩპოსპოლიტას უშიშროების წინააღმდეგ მიმართული მთავარი მუქარა.

ეს ძალიან ეხმარება ვაშინგტონს, გამოიყენოს პოლონეთი, როგორც საშუალება რუსეთის „იმპერიული ამბიციებით" ევროპელთა დასაშინებლად...

**პოლონეთისა და ბალტიის მასმედიის მიერ ანტირუსული და, უფრო ფარული ფორმით, ანტიგერმანული ისტერიის გამძაფრებაში გარკვეული ლოგიკა შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, როცა მოსკოვიდან გაისმის გაფრთხილება, რომ რუსეთი შესაბამის რეაქციას მოახდენს პოლონეთში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტების განლაგების გამო, ან, როცა რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები არ მალავენ გაოცებას პოლონელების მიერ თავიანთი არმიის დამრტყმელი პოტენციალის გაძლიერების თაობაზე, ამას აფასებენ, როგორც რუსეთის ფედერაციის პირდაპირ მუქარას მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართ. და პირიქით, როცა გერმანია არ გამოხატავს მზადყოფნას, ყველაფერთან ერთად, „ევროპული თავდაცვის" ტვირთიც აიკიდოს, ამას აღიქვამენ, როგორც ბერლინის გულგრილობას მოსკოვის „იმპერიული პოლიტიკის" მიმართ და ლამის — როგორც ევროპის წინააღმდეგ რუსეთისა და გერმანიის „ახალი გარიგების" ნიშანს.**

## ამერიკას სჭირდება «მტრული» რუსეთი ისევე, როგორც ნარკომანს ჰეროინის მორიგი დოზა

## პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები იმედოვნებენ, რომ კვლავ შუბლით შეაჯახონ მოსკოვი და ბერლინი

**პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები თავიანთ თავს „აღმოსავლეთის ბარბაროსებითა" და „ვერაგი გერმანელებით" აშინებენ, უბიძგებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, დემონსტრაციულად გამოხატონ „ატლანტიკური სოლიდარობა" რუსეთის მიმართ და იმედოვნებენ, რომ კვლავ შუბლით შეაჯახონ მოსკოვი და ბერლინი.** ამასთან, ისინი დახმარებას სთხოვენ ამერიკელებს, რომლებმაც თითქოს ბედის ანაბარა მიაგდეს ახალგაზრდა ევროპელები „აგრესიული" გერმანელებისა და რუსეთის პირისპირ. და მაშინ ვაშინგტონი ბრუნდება ევროპული პოლიტიკის სცენაზე, როგორც გამაერთიანებელი ძალა ამ მუქარის გასანეიტრალებლად — ნატო სწავლებაში ჩართავს არა მხოლოდ მოკავშირეებს, არამედ მსგავს ნეიტრალებს... კაცმა რომ თქვას, ეჭვი არავის ეპარება, რომელი ცენტრისკენ მიიზიდებიან ეს, თითქოსდა ნეიტრალური ქვეყნები. მაგრამ **ძნელი გასაგებია ოფიციალური კიევის ლოგიკა, რომელიც Steadfast Lazz 2013-ში მონაწილეობის მისაღებად ორჯერ უფრო მეტ კონტინგენტს აგზავნის, ვიდრე ნატოს წევრი გერმანია.**

ალიანსის ბრიუსელის შტაბ-ბინაში, ბუნებრივია, განაცხადეს, რომ მანევრები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არ არის მიმართული. მაგრამ სწავლების სცენარი ყველაფერს ააშკარავებს: **პოლონეთსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ურთულდებათ ურთიერთობა მავან სახელმწიფოსთან, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე დომინირების პრეტენზიას აცხადებს. მათი თხოვნით, ნატო პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიებზე განალაგებს სწრაფი რეაგირების ძალებს, რომლებიც აგრესორს ალიანსის ძირითადი ძალების გაშლამდე წინ აღუდგებიან.**

**ხოლო რადგან ნატოს სახმელეთო და საავიაციო დანაყოფები სწავლების სცენარის მიხედვით განლაგებულია რუსეთისა და ბელარუსის საზღვრებთან, საეჭვოა, რომ ბრიუსელში პოტენციურ აგრესორად გულისხმობდნენ, ვთქვათ, ნატოს წევრ ესტონეთს.**

ამგვარად, **აშშ-ის წინამძღოლობით მოქმედმა ჩრდილოატლანტიკურმა კავშირმა მოიცილა „რუსეთთან პარტნიორობის" ლეღვის ფოთოლი და აშკარად დაგვანახა, რა მიმართულებით შეიცვლება მისი სტრატეგია ავღანეთში წარუმატებლად დამთავრებული ოპერაციის შემდეგ...**

ეს ყველაფერი და, ამასთან ერთად, ცნობილი ვიშეგრადის ჯგუფის — პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ჩეხეთის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება სწრაფი რეაგირების ბრიგადის შექმნის შესახებ კარგად ერწყმის ამერიკის ძალისხმევას ჩრდილოატლანტიკური კავშირისთვის ძველი დანიშნულების დასაბრუნებლად, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში დარჩება, გერმანია — „გაერთიანებული ევროპის" უღელქვეშ, ევროპა — რუსეთის გარეშე.

**თუ ჯერ კიდევ შარშან ნატოელები სამშვიდობო ოპერაციებითა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პირობებში მოქმედებით იფარგლებოდნენ, ამჟამად გვპირდებიან, ყოველწლიურად სრულმასშტაბიანი სამხედრო სწავლების გამართვას ევროპაში, თითქოს ალიანსის უსაფრთხოების მთელ პერიმეტრზე რაიმე პრინციპულად შეცვლილიყოს; ან, იქნებ, ატლანტისტების გონებაში ჩაისახა იდეა ამ ცვლილებათა მიზანმიმართულად პროვოცირების შესახებ?**

**სერგეი მაქსიმოვი**
www.fordsk.ru
(უმნიშვნელო შემცირებით)

## აშშ-ის წინამძღოლობით მოქმედმა ჩრდილოატლანტიკურმა კავშირმა მოიცილა «რუსეთთან პარტნიორობის» ლეღვის ფოთოლი და აშკარად დაგვანახა, რა მიმართულებით შეიცვლება მისი სტრატეგია ავღანეთში წარუმატებლად დამთავრებული ოპერაციის შემდეგ...

**P.S.** ნატოელთა გააქტიურებას რუსეთი გულხელდაკრეფილი არ შესცქერის: გავრცელებული ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ამას რუსეთი თავისი ბირთვული ძალების მთავარი შემადგენელის პრიორიტეტული ძალისხმევით უპასუხებს, რომ წლეულს უკვე ორი სარაკეტო პოლკი აღიჭურვა სტრატეგიული დანიშნულების მოძრავი კომპლექსებით, გაისად კი დაემატება 22 კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტა.

რუსეთის სპეციალისტები მუშაობენ ისეთი რაკეტების შექმნაზე, რომლებსაც შეეძლება, დაუბრკოლებლად გადალახოს მოწინააღმდეგის ნებისმიერი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა. 2013 წლის ივნისში რუსეთმა ასეთი კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტა უკვე გამოსცადა. გამოცდა წარმატებული იყო.

**აფხაზეთის ომშიც და 2008 წელსაც საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილოკავკასიელთა შორის დიდი ნაწილი ჩერქეზებით იყო წარმოდგენილი. და თუ ჩეჩნები მეტად ჩანდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი მეომრები არიან, თორემ რაოდენობრივად უფრო მეტი ადიღელი, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაის მკვიდრი ჩერქეზები იბრძოდნენ. ჩვენ კი მათი წინაპრების ტრაგედია გვაწუხებს, ყოფილ კანონმდებლებს აწუხებდა!**

რეცენზია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არარსებული გენოციდის ქრონიკა




**ეს ერთი ხანია, წიგნების გამოცემაში გააქტიურებულმა აიპ „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ მკითხველებს კიდევ ერთი ნაბეჭდი პროდუქცია მიაწოდა — „ჩერქეზთა გენოციდის აღიარების მიზანი და შედეგები“, რომელიც საქართველოს ყოფილი პარლამენტის მიერ მიღებული ცრუსოლიდარული აქტის კრიტიკული მიმოხილვაა, იმ შეკითხვებზე პასუხის გაცემაა, რომელთაც რუსეთს უყენებენ XIX საუკუნეში ჩადენილი „ცოდვებისთვის“, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის შემოერთებაზე, განსაკუთრებით კი — ჩერქეზეთის (ადიღეს) მიწების გამო; იმაზე, რომ ამ რეგიონში რუსების გადაადგილებას თან ახლდა „ენით უთქმელი სისასტიკე“, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“ და ა. შ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2013 წლის 25 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო Betsy's Hotel-ში არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობა“ მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიზნისა და შედეგების განხილვას მიეძღვნა.**

ქართველი მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, პუბლიცისტების, ჟურნალისტების მიერ მოხსენებებში წარმოდგენილ პლურალისტულ მოხსენებებში არაერთი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა და ვარაუდი გამოითქვა.

ეს იყო თავისუფალი ტრიბუნა, რომლიდანაც დაუნჯებული, პრინციპულად გამართული და მეცნიერულად დასაბუთებული ბჭობა მიმდინარეობა.

მაგრამ არა ერთ ხმაში.

**„ჩემი ღრმა რწმენით,** — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ **ტარიელ გაგნიძემ,** — **(საქართველოს პარლამენტის მიერ) ჩერქეზების გენოციდის წამოწევის მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რათა შემდგომში (დაინტერესებულმა ძალებმა) განახორციელონ ექსპანსია რუსეთის ფედერაციის იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც არ არის ჩრდილოკავკასიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მაგალითად, ჩეჩნეთის ან დაღესტნის რესპუბლიკების მსგავსი. ასევე, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, უკავშირდება იმ გლობალურ პროექტს, რომელიც „ანაკონდას მარყუჟის“ ან „დაძაბულობის რკალის“ სახელითაა ცნობილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში, და გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრების გასწვრივ მუდმივი დაძაბულობის კერების შექმნას და მათით მანიპულირებას“.**

მოკლედ, საქართველოს ყოფილი ხელისუფლება შეეცადა ქვეყნის ავანტიურაში გაბმას და, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ეს მისი ინიციატივა არ ყოფილა. მარიონეტების მონდომებით ასრულებდნენ ისინი დამკვეთთა ნებას.

საკითხთა-საკითხი მაინც გენოციდის პრობლემაა.

იყო კი გენოციდი?

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი **ვალერიან დოლიძე** მიიჩნევს, რომ **„თანამედროვე იურიდიული ტერმინის გამოყენება იმ ისტორიული მოვლენის მიმართ, რომლის დროსაც კაცობრიობის სამართლებრივი ცნობიერება არც გენოციდის დანაშაულს იცნობდა და არც შესაბამისი ტერმინოლოგია არსებობდა“, გამართლებული არ არის. „ამიტომ ჩერქეზების გენოციდის აღიარება საქართველოს (ყოფილი) პარლამენტის მიერ წარმოადგენს ისტორიის დეისტორიზაციას, როცა წარსულის მოვლენების შესახებ მსჯელობა და მათი შეფასება ხდება თანამედროვე სამართლებრივი და მორალური ნორმების საფუძველზე. ეს არის ისტორიის მიმართ ჩადენილი ძალადობა, რადგან ხდება მოვლენის ხელოვნურად ამოგლეჯა კონკრეტული ისტორიული კონტექსტიდან...“** *(გვ. 27-28).*

ქართველი მეცნიერი ღრმა განსჯისა და ანალიზის შედეგად აბათილებს ამერიკელი ისტორიკოსის **უოლტერ რიჩმონდის** პოზიციას, რომლის თანახმად, რუსების მიერ ჩატარებული წმენდები, რომელთაც თან სდევდა მამაკაცების, ქალების, ბავშვების მასობრივი მკვლელობა ხიშტებითა და საარტილერიო ცეცხლით, არის გენოციდი. **„მაგრამ გენოციდის კვალიფიკაციისთვის მხოლოდ ხიშტებით მკვლელობაზე მითითება საკმარისი არ არის“** *(გვ. 45),* — ასკვნის გამოკვლევის ავტორი. ხოლო ის, რაზეც ამერიკელი ისტორიკოსი საუბრობს (დახოცვა), რა თქმა უნდა, სისასტიკის უკიდურესი გამოვლენაა, მაგრამ გენოციდად მისი კვალიფიცირება შეუძლებელია. **„ეს არის ისეთი ფსიქოლოგიური მოქმედება, რომლის მიზანია შიშის დათესვა მოსახლეობაში და არა ეთნიკური ჯგუფის განადგურება“** *(გვ. 48).*

დასკვნა კი ასეთია: **საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მომხდარი ტრაგედიის გენოციდად წარმოდგენა დღეს შეუძლებელია. „ამისთვის საჭიროა არა ისტორიკოსების მიახლოებული მსჯელობები, არამედ სასამართლო პროცესები და კვალიფიციური იურისტები, მოწმეების დაკითხვა და ა.შ.“** *(გვ. 49).*

**მაგრამ ვინ უნდა აგოს პასუხი?!**

პროფესორ ვალერიან დოლიძის მეცნიერული შრომა მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა. გამოწვლილვითაა განხილული პრობლემის შემადგენელი საკითხები. მათ შორის, — ისტორიის გათანამედროვების მცდელობისას ნეგატიური სტერეოტიპების წარმოქმნის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში უარყოფითი მხარეების წინ წამოწევის შედეგად განვითარებული გართულების (უკანასკნელი — 2008 წლის აგვისტოს ომი იყო) დაძლევის და, ამასთან, მიჩქმალული დადებითი და პროგრესული მხარეების უპირატესი ჩვენებით, რაც ობიექტურად ჩვენი ისტორიის თანმდევი იყო.

**„ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა: ჩვენ რუსეთზე არანაკლებ ვართ დაინტერესებული ამ რეგიონის სტაბილურობითა და მშვიდობიანობით**

ნაშრომში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები და შეფასებულია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა, ისტორიული ფაქტი უარყოფითი ნიშნით ორივე დაპირისპირებული მხარისთვის.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

**„საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია ურთიერთუნდობლობა,** — აღნიშნავს ბატონი ვალერიან დოლიძე, — **რომელიც, ერთის მხრივ, ისტორიის ცალმხრივად გააზრების, მეორე მხრივ კი, ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ** (ელიტის ბრჭყალებში ჩასმა უპრიანი იქნებოდა. — ა. ს.) **რუსეთის, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის, არაადეკვატური შეფასების შედეგია. ამ ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ იგი აგებული იყოს ღრმადგააზრებული საერთო ინტერესების საფუძველზე. როგორც საქართველოს სჭირდება რუსეთი, ასევე, რუსეთსაც სჭირდება საქართველო“** *(გვ. 72).*

ვინ მუშაობს ამ პრობლემის გადასაწყვეტად დღეს? აბაშიძე-კარასინის შეხვედრები კონკრეტული საკითხებით არის შემოფარგლული. სხვა ფორმატს საზოგადოებრიობა არ იცნობს.

**გამოდის, რომ ჩერქეზების გენოციდის აღიარება, რომელიც „არის რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების მცდელობა მშვიდობიანი საშუალებებით, მიმართული რუსეთის დაშლაზე“** *(გვ. 73),* **კვლავ ძალაში რჩება?!**

ე. ი. რუსეთთან საქართველო კვლავ საომარ მდგომარეობაში იმყოფება?!

ამის იქით კი ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარის — **ირაკლი უბილავას** ასეთი პერსპექტივა ესახება: **„ჩერქეზების აღიარების მოტივს საქართველოს წინა ხელისუფლებისთვის თუ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენდა სეპარატისტული ტენდენციების ხელშეწყობა (დიდი ალბათობით, ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე), მაშინ... კავკასიის გეოპოლიტიკური სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს ქმედება ყოვლადგაუმართლებელი და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული“** („ჩერქეზეთის გენოციდის აღიარება, როგორც აშშ-ის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი“ *(გვ. 75-93).*

გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის — **ნანა დევდარიანის** განსახილველ წიგნში წარმოდგენილი პუბლიკაცია „გენოციდი და დემოგრაფიული კატასტროფა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტები“ მისი სტატუსისა და აზროვნების შესაფერისი მასშტაბურობითა და ორიგინალური დასკვნებითაა წარმოდგენილი.

**„დღეს უკვე აღარავის უკვირს საქართველოდან უცხოეთში ჩაწოდებული და შემდეგ იქიდან უკან დაბრუნებული იმპორტირებული იდეები და ინიციატივები. ერთ-ერთი ასეთი იყო სწორედ „ჩერქეზული საკითხის“ თითქოსდა ამერიკიდან აქტივიზაცია. სხვა წყაროები მიუთითებენ, რომ აშშ-ის მოქმედ ადმინისტრაციასთან ახლოს მდგომი ორგანიზაციები არამხოლოდ საჯაროდ მხარს არ უჭერენ „ჩერქეზულ თემას“, არამედ ნეგატიურად აფასებენ ქართული ხელისუფლების აქტივობას ამ მიმართულებით“** *(გვ. 95).*

თავის ამ პოზიციას ქალბატონი ნანა კონკრეტული ფაქტებით ადასტურებს, კერძოდ, ადგილობრივი ძალების მიერ ჩატარებული კონფერენციების ქრონოლოგიური (2009-2011 წ.წ.) და თემატური ჩამონათვალით და საინფორმაციო მხარდაჭერის პრაქტიკულად განხორციელებული ღონისძიებებით და ანალიზით, რაც, საბოლოო ჯამში, ყოფილი პარლამენტის მიერ „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარებით „დაგვირგვინდა“.

პოლიტოლოგი და ცნობილი ჟურნალისტი ნანა დევდარიანი ისეთ თემასაც შეეხო, რომელზეც საუბარს ნაცელიტის მხარდამჭერი პოლიტმოაზროვნენი თავგამოდებით გაურბიან. აი, ნანა დევდარიანი კი იმოწმებს ექსპერტ მამუკა არეშიძეს და იზიარებს მის შეხედულებას, რომ **აფხაზეთის ომშიც და 2008 წელსაც საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილოკავკასიელთა შორის დიდი ნაწილი ჩერქეზებით იყო წარმოდგენილი. და თუ ჩეჩნები მეტად ჩანდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი მეომრები არიან, თორემ რაოდენობრივად უფრო მეტი ადიღელი, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაის მკვიდრი ჩერქეზები იბრძოდნენ.**

**ჩვენ კი მათი წინაპრების ტრაგედია გვაწუხებს, ყოფილ კანონმდებლებს აწუხებდა!**

ორიგინალურად ინტერპრეტირებული პრინციპია — **„მოტეხილობა მოტეხილობის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“** *(ლევ. 24,20).*

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რომლებიც ამ ნაშრომშია განხილული, ერთი ასეთი აქცენტიცაა ხაზგასმული: **„სხვათა შორის, დღევანდელი ადგილობრივი ლიბერალები, რომლებიც სტალინის სისასტიკეზე აღშფოთებით საუბრობენ, უთუოდ უნდა გაეცნონ მისი თანადროული მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების „ღვაწლს“ მასობრივ მკვლელობებსა და მთელი ხალხების დედაბუდიანად აყრის საქმეში“** *(გვ. 117).*

არ ეცნობიან, არ აინტერესებთ, სამაგიეროდ, ზუსტად ასრულებენ მათთვის მიცემულ ინსტრუქციებს. საქართველოს ყოფილები, რომლებსაც 300 ათასი პატიმარი და პრობაციონერი ჰყავდათ (იმდენი, რამდენი ქართველიც სამამულო ომში დაიღუპა), არნახული ოპერატიულობით დემონტაჟს უკეთებენ სტალინის ძეგლს გორში, ახალი ხელისუფლებისთვის კი სულერთია...

დაბოლოს: **„ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა: ჩვენ რუსეთზე არანაკლებ ვართ დაინტერესებული ამ რეგიონის სტაბილურობითა და მშვიდობიანობით. ჩერქეზთა ისტორიის შესწავლასთან ერთად, ურიგო არ იქნებოდა, (ყოფილი ხელისუფლება) საკუთარი ქვეყნის ისტორიას ჩაღრმავებოდა, თუმცა უკვე ერთი წელია, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ვითარება კარდინალურად არ შეცვლილა, რუსეთთან ურთიერთობის „დალაგება“ ჯერაც შეუსრულებელ დაპირებად რჩება“** *(გვ. 122-123).*

„საქართველო და კავკასიური პოლიტიკა — ისტორიული გამოცდილება, დღევანდელი მდგომარეობა, პერსპექტივა“ — ამ რთულ თემას შეეჭიდა **ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე** და, უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად დასძლია.

ჩერქეზთა საკითხის ფონზე იგი დღევანდელ ვითარებას განიხილავს და ასკვნის, რომ **„დღეს საქართველო რამდენიმე სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, ზოგი კი, ალბათ, თავს იჩენს ახლო მომავალში...“** ეს არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთიდან გამომდინარე პრობლემები: სომხების (სომხების გენოციდის) საკითხიც დგება დღის წესრიგში, აფხაზთა მუჰაჯირობაც და ა.შ.: **„ამ ლოგიკით თუ გავყვებით, მუჰაჯირობაც გენოციდად უნდა შეფასდეს და შეიძლება სანთლით საძებარი გახდეს ერი ამ სტატუსის გარეშე“** *(გვ. 143).*

იგი აანალიზებს ჩრდილოკავკასიური ტომების ურთიერთობას ქართველებთან და მთისა და ბარის მოსახლეობის დაპირისპირების სამ სახეობას გამოჰყოფს: მტაცებლურ ექსპედიციებს, ლაშქრობებს ტერიტორიის დაპყრობისა და მუდმივი საშემოსავლო ბაზრის შექმნის მიზნით.

ავტორი არ მალავს, რომ **საქართველოზე მთიელთა თავდასხმები „ანადგურებდა მწარმოებელ საზოგადოებას, შლიდა მეურნეობას, აუდაბურებდა მთელ რიგ მხარეებს, ძლიერ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთის აგრესიას. ამიტომაა, რომ რიგი კონკრეტული მოვლენა ფეოდალური ხანის საქართველოში შეუძლებელია აიხსნას დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე“** *(გვ. 149).*

წიგნში ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ობიექტურადაა გადმოცემული საქართველოში ლეკთა თარეშის აღსაკვეთად წარმოებული ბრძოლების პერიპეტიები ქართველთა მონაწილეობით. ამ თემას სპეციალური თავი ეძღვნება **„რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი მოქმედება ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმებისგან თავდასაცავად 1801-1804 წლებში“.**

საინტერესო პუბლიკაციებით არიან წარმოდგენილნი **დალილა ხორავა, ჯონდი ბაღათურია, ელიზბარ ჯაველიძე, მამუკა არეშიძე, პეტრე მამრაძე.**

დაბოლოს, წიგნი უნიკალურია იმითაც, რომ პირველი კრებულია, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის საკითხებს დღევანდელობის პრიზმაში განიხილავს.

ღირს წასაკითხად.

**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკავშირო პროკურორი ევროკავშირში ყველაზე გავლენიან ფიგურად იქცევა. და ევროპის მკვიდრთაგან არავინ, მათ შორის არც მინისტრები და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები, არასდროს იქნებოდნენ დაცულნი მაფიასთან კავშირის საფუძვლიანი ან წარმოსახვითი ეჭვისა და ქონების კონფისკაციისგან.**

# ევროპა: მაფია, კორუფცია და ევროკავშირის პროკურატურა

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმა კემერონმა ახლახან ევროპა დახასიათა, როგორც სოციალურ შეღავათებზე მსოფლიო ხარჯების 50%, მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტის 25% და მსოფლიო მოსახლეობის 7%. ამგვარ პირობებში ცხოვრება ძალზე კომფორტული საქმეა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტის 25% ძირითადად მომსახურებისგან შედგება. მაგალითად, იმ შვეიცარის მომსახურება, რომელიც რესტორანში კარს გაგიღებთ, ან იმ მცველისა, რომელიც ამ პროცესს მდუმარედ და უმოქმედოდ აკვირდება, — ესეც საერთო შიდა პროდუქტია.**



ევროინტეგრანტები მიისწრაფვიან არა ნაჩუქარი კომფორტისა და ელიტური გარანტიებისკენ, არამედ ხელფასებისა და პენსიებისკენ, რომლებიც ხუთჯერ აღემატება მათსას; ხარისხიანი მედიცინისკენ, რომელიც ნებისმიერისთვის იქნება ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის არარსებობისკენ, კეთილსინდისიერი, გამჭვირვალე ბიზნესისკენ. ამასთან, იგივე **ევროინტეგრანტებს სულაც არ ეხამუშებათ ის, რომ, ვთქვათ, „ფორბსის" ბოლო დროის ყველაზე გამოჩენილი აფერების ტოპ ათეულში ექვს ადგილს ამერიკელები იკავებენ, სამს — ევროპელები და ერთს — იაპონელები.**

რაც შეეხება ორგანიზებულ დანაშაულს...

ბრიუსელში ოქტომბერში ჩატარებული ევროკავშირის მეთაურების სამიტის წინ „ევრონიუსმა" გადმოსცა ორი სიუჟეტი: **„ევროპას ეშინია კალაბრიული მაფიის"** და **„სონია ალფანო: მაფიოზები ახლოს არიან ევროპის საკონტროლო ღილაკთან".**

პირველი სიუჟეტი შედგებოდა რაჯიო დი კალაბრიას ოლქის პროკურორის მოადგილესთან, იტალიელ ნიკოლაი გრატერისთან ინტერვიუსგან. იგი წარმოდგენილი იყო, როგორც კალაბრიული (სამხრეთიტალიური) მაფიის ნდრანგეტას საკითხთა მთავარი სპეციალისტი. მისი განმარტებით, **ნდრანგეტა და მისი სიმდიდრე დემოკრატიის საფრთხედ იქცა. მან უკვე გადააჭარბა სიცილიურ მაფიას და იქცა გლობალურ სტრუქტურად, რომელიც თავისი ქვეგანყოფილებებით მთელ ევროპას, ამერიკასა და ავსტრალიასაც კი მოიცავს.**

მიუხედავად იმისა, რომ კალაბრიის მთელი მოსახლეობა სულ 2 მილიონი ადამიანია, გრატერიმ მისი ყოველწლიური შემოსავალი 44 მილიარდ ევროდ შეაფასა. მისი განცხადებით, **ნდრანგეტა უკვე მივიდა სახელისუფლო ფონდებამდე პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების მოსყიდვის გზით, ამასთან, თავს ინებივრებს მასმედიის საშუალებების შესყიდვით და საზოგადოებრივი აზრის სათავისოდ ჩამოყალიბებით.**

ამ ყველაფრის შემდეგ „ევრონიუსის" რედაქციამ თავი და საკუთარი აუდიტორია დაამშვიდა, რომ ეს მაფია მთელი ევროპისთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება. **ევროკომისიამ უკვე მოიწონა ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი ბრძოლის პროექტი მაფიის წინააღმდეგ და აღნიშნული საკითხი დააყენა ოქტომბერში გამართულ ევროკავშირის ქვეყნების მეთაურთა სამიტზეც.**

სამიტის მეორე დღეს კი ევროპარლამენტმა მორიგი მოწოდებით ევროპის პოლიციას დაავალა, გააძლიეროს ბრძოლა მაფიის წინააღმდეგ და დასძინა, რომ ურიგო არ იქნებოდა საერთო ევროპული პროკურატურის შექმნა. მისივე ვარაუდით, ამ საქმით უკვე ახალი არჩევნების შემდეგ შეკრებილი ევროპარლამენტი და ახალი ევროკომისია დაკავდება.

ასე რომ, 2014 წლის მაისის ბოლომდე ნდრანგეტას შეუძლია მშვიდად იძინოს.

იმავე დღეს იმავე „ევრონიუსმა" კიდევ ერთი საშინელება გამოაცხო მაფიის შესახებ: ინტერვიუ ჟურნალისტთან და მწერალთან — რობერტო სავიანოსთან და „კოზა ნოსტრას" მიერ მოკლული ჟურნალისტის შვილთან — სონი ალფანოსთან. ალფანო 2012 წლის მარტში ევროკომისიამ სათავეში ჩაუყენა ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ კომისიას.

იტალიელები „ევრონიუსის" მსმენელებს არწმუნებდნენ, რომ **მაფია ღრმადაა შეჭრილი ინგლისის, გერმანიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფლებები საკუთარ მოქალაქეებს ამის შესახებ არ უყვებიან.** სავიანოს თქმით, **მაფია და მაფიოზები საკუთარ ხელში იღებენ მთელი კონტინენტის მომავალს.** ალფანო კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა: **„მაფიოზები უკვე ახლოს არიან იმასთან, რომ ხელში ჩაიგდონ საკონტროლო ღილაკთან წვდომა. ეს ორგანიზაციები მშვენივრად არიან გაცნობიერებულნი, თუ სად რა ხდება, აქვთ კავშირები ევროკავშირის ხელისუფლების ყველა ინსტიტუტთან — ევროკომისიასთან, ევროპარლამენტთან და ევროპულ კავშირთან".**

**«ფორბსის» ბოლო დროის ყველაზე გამოჩენილი აფერების ტოპ ათეულში ექვს ადგილს ამერიკელები იკავებენ, სამს — ევროპელები და ერთს — იაპონელები**

სონია ალფანო ნამდვილი მებრძოლია. ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბერში მან წამოაყენა წინადადება, მაფიისთვის ჩამორთმეული ფული საპენსიო და სხვა სოციალური ფონდებისთვის გადაეცათ მისი შემდგომი გამოყენებისთვის. და ძალიან ბრაზობდა ავსტრიელებსა და გერმანელებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მის სურვილს, გაუქმებულიყო საბანკო საიდუმლო და გამარტივებულიყო ქონების კონფისკაციის პროცედურა ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც მაფიასთან კავშირში არიან ეჭვმიტანილნი.



სონიას ოპონენტებმა ძალზე დახვეწილი კონტრდარტყმა მიაყენეს მას. მათ ალფანოს წინადადება შეაფასეს, როგორც „მაფიოზური ქმედება", რადგან ის ავალდებულებდა საპენსიო ფონდებს, ფული ჩაედოთ მიმზიდველ ინოვაციურ პროექტებში. ევროკავშირის ქვეყნების კანონები კი კონფისკატთან ამგვარ დამოკიდებულებას არ ითვალისწინებს.

ოპონენტებთან კინკლაობის შემდეგ ალფანო თითქმის ერთი წლით გაქრა ახალი ამბებიდან და ახლაღა გამოჩნდა „ევრონიუსის" ზემოხსენებულ „საშინელებათა ფილმში". მიუხედავად ამისა, მეორე დღეს გახსნილმა ევროკავშირის სამიტმა სრული იგნორირებით უპასუხა ალფანოსაც და მაფიასაც, რადგან, როგორც გაირკვა, **„ევროპის მაკონტროლებელ ღილაკთან" მაფიაზე ბევრად უფრო ახლოს ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოა.** სა**მიტი იმდენად გაერთო ევროკავშირის ხელისუფლებების მეთაურების, ევროკავშირის სტრუქტურების გავლენიანი წარმომადგენლების და სხვა ევროპელების მრავალწლიანი მოსმენებით ამ უწყების მიერ, რომ ევროკავშირში უკრაინის ასოცირების საკითხიც კი უკანასკნელი სამუშაო დღის უკანასკნელ საკითხად მოისროლა.**

**მაფია ღრმადაა შეჭრილი ინგლისის, გერმანიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფლებები საკუთარ მოქალაქეებს ამის შესახებ არ უყვებიან... მაფია და მაფიოზები საკუთარ ხელში იღებენ მთელი კონტინენტის მომავალს**

თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ანტიმაფიოზური" სპეცკომიტეტის შეფის მიმართ ევროკავშირის ლიდერების გულგრილობას სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

პირველი მიზეზი ბრიუსელის ხელისუფლების დერეფნებში მაფიოზური ლობია.

მეორე მიზეზი ისაა, რომ **იუსტიციის, ფუნდამენტური უფლებებისა და მოქალაქეობის საკითხთა ევროკომისარმა ვივიან რედინგმა ახლახან წამოაყენა ევროკავშირის ერთიანი პროკურატურის შექმნის საკითხი.** ამ ფონზე ალფანოს იდეა, მხოლოდ მომავალი საკავშირო პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჯერ კიდევ სასამართლომდე ჩამოერთვათ ქონება მაფიასთან კავშირში ეჭვმიტანილებს, ვერ გამოიწვევდა ევროპის სუვერენული სახელმწიფოების ლიდერებისგან აღფრთოვანებას. მიზეზი ნათელია: **ამ წინადადების მიღების შემთხვევაში საკავშირო პროკურორი ევროკავშირში ყველაზე გავლენიან ფიგურად იქცევა. და ევროპის მკვიდრთაგან არავინ, მათ შორის არც მინისტრები და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირები, არასდროს იქნებოდნენ დაცულნი მაფიასთან კავშირის საფუძვლიანი ან წარმოსახვითი ეჭვისა და ქონების კონფისკაციისგან.**

და მესამეც... **უკვე ორ** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ACLU-ს უფლებადამცველების განცხადებით, არაძალადობრივი დანაშაულებების გამო განაჩენების გადახედვით გადასახადების გადამხდელების სახსრებიდან, სულ მცირე, 1 მილიარდ 784 მილიონი დოლარი დაიზოგება. უფლებების დაცვის ამერიკული კავშირის შეფასებით, მხოლოდ ფედერალური პენიტენციალური სისტემა 1,2 მილიარდი დოლარის ეკონომიას გააკეთებს.**

# «ევროპის მაკონტროლებელ ღილაკთან» მაფიაზე ბევრად უფრო ახლოს ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოა

წელიწადზე მეტია, ევროპაში იმპერიული ტიპის სახელმწიფოს შექმნის იდეას ავითარებენ. **იმპერია ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც მაქსიმალურად ცენტრალიზებული, უნიფიცირებული და სტანდარტიზებული სახელმწიფო, რომელიც უკიდურესად აგრესიულია თავისი ჩამოყალიბებისა და ადრეული განვითარების ეტაპებზე.** მაგრამ ევროპის კონტინენტური იმპერიები მუდამ აწყდებოდნენ მძაფრ წინააღმდეგობას ინგლისელებისგან, რომლებმაც ჩაშალეს როგორც ფრანგი იმპერატორების, ასევე გერმანელი კაიზერისა და გერმანული ნაციის ფიურერის ოცნებები.

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ სამიტამდე სამი დღით ადრე ბრიტანულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ OpenEurope გამოაქვეყნა 13-გვერდიანი ანგარიში თვალშისაცემი სათაურით: **„ევროპის რეგულატორული აქტების ტოპ ასეული, რომელიც ბრიტანეთს წელიწადში 27,4 ფუნტი-სტერლინგი უჯდება და რომლებზე ხარჯებიც შემთხვევათა მეოთხედში მათგანვე მიღებულ შემოსავლებს აღემატება“.**

სია ეხებოდა კანონებს ჯანდაცვის, შრომის დაცვის, სატრანსპორტო წესების, საკვები პროდუქტების და სხვა უამრავ რამეს. ანგარიშის ტირაჟირება ოპერატიულად და ხალისით განახორციელეს ბრიტანულმა და ევროპის სხვა ქვეყნების მედიასაშუალებებმა. ამასთან, ის თავისუფლად ხელმისაწვდომია ინტერნეტშიც და სამიტზეც ამ ყველაფერთან დაკავშირებულ სკანდალს ელოდნენ.

მაგრამ კემერონმა დუმილი არჩია. მას არ დაუწყია ამ 13 ფურცლის ფრიალი და მუქარა, რომ ბრიტანეთი გავა ევროკავშირიდან, არ მოუთხოვია ევროკომისიის უფლებების შეზღუდვა, საკავშირო კანონმდებლობის გადახედვა ან რაღაც ამგვარი. რატომ? იმიტომ, რომ **საფრანგეთი და გერმანია ხმამაღლა და გაბრაზებულები განიხილავდნენ აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ევროპელი ლიდერების სატელეფონო მოსმენების საკითხს და სულ ბრიტანეთს უბღვერდნენ, რადგან მისი ჯეიმს ბონდების ამერიკელ მალკო ლინგებთან თანამშრომლობა ახსენდებოდათ: ზღვების დედოფალს ხომ მუდამ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა თავის ყოფილ კოლონიასთან. და ამ სიტუაციაში, როდესაც ბრიტანეთმა აბსოლუტურად უშფოთველად მიიღო ჯაშუშური სკანდალი მოსმენების შესახებ, ევროკავშირის ახლებურად მოწყობაზე თემის წამოწევა ნამდვილად უადგილო იქნებოდა.**

ამ ყველაფრის გამო ევროკომისიის წინააღმდეგ მიმართული ანგარიში უვაზნო გასროლას ჰგავდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ გაუძლო ახალი ამბების კონკურენციას.

ასე რომ, **კორუფციისა და მაფიოზობის თემები ევროკავშირის სამიტზე, უბრალოდ, გვერდზე მოისროლეს, უკაცრავად, გადადეს. მაგრამ ამის გამო კორუფცია არ გამქრალა. ჯიბრზე, სამიტიდან ორი კვირის შემდეგ კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა ევროკავშირს ბელგიამ, რომელმაც ვაჭრობის საკითხების ევროკომისარი კარელ დე გიუხტი 900 ათასი ევროს ოდენობით გადასახადების გადაუხდელობაში დაადანაშაულა.** ახლა ყველას ძალიან აინტერესებს, საიდან აქვს ევროკომისარს იმდენი ფული, რომ მხოლოდ გადასახადების სახით ლამის მილიონი ევრო მართებს? ევროკომისია შეეცადა, რამენაირად სინდისი დაემშვიდებინა და განაცხადა, რომ გიუხტმა გადასახადები არ გადაიხადა, ვიდრე ევროკომისარი გახდებოდა, ამის შემდეგ კი ყველაფერს კეთილსინდისიერად იხდიდა. მაგრამ ევროკომისრის იმიჯს, ცხადია, ეს ვერ შველის. პრესამ მისთვის და მთელი ევროკავშირისთვის ძალზე შეუფერებელ დროს გაიხსენა, რომ **კიდევ ერთი ევროკომისარი, ოღონდ ჯანდაცვის საკითხებში, ჯონ დალი ასევე მთავარი მოქმედი პირი იყო კორუფციულ სკანდალში.**

ასე რომ, **თუ ვინმე ევროპისკენ მიისწრაფვის, სასურველი არ არის, ამას ფართოდ დახუჭული თვალებით აკეთებდეს...**

**politobzor.net**




# ამერიკის «ცოცხალი მიცვალებულები» — სამუდამოდ ციხეში



**სამოქალაქო უფლებების დაცვის ამერიკული კავშირი (American Civil Liberties Union, ACLU) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 1920 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს კონსტიტუციითა და კანონით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ეს არის ამერიკაში უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვაზე მუშაობს.**




რამდენიმე დღის წინ ორგანიზაციის საიტზე გამოქვეყნდა ანგარიში „ცოცხალი მიცვალებულების“, ანუ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც აშშ-ში არა მხოლოდ გისოსებს მიღმა ამოჰყვეს თავი, არამედ სამუდამოდ იქ დარჩებიან.

ანგარიშში დასახელებულია კონკრეტული რაოდენობა — **3278 ადამიანი.** უფლებადამცველების ცნობით, **ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს არაძალადობრივი დანაშაულებები, მაგალითად, წვრილმანი ქურდობა, და ამის გამო მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა აპელაციის უფლების გარეშე.**

**ამ „ცოცხალი მიცვალებულებიდან“ ბევრი დანაშაულის ჩადენისას ფსიქიურად დაავადებული იყო, წამალზე დამოკიდებულებით ან რაიმე სხვა სენით იყო შეპყრობილი. მათგან არც ერთი არ დაბრუნდება ოჯახში თავის მშობლებთან და შვილებთან, გადასახადების გადამხდელები კი მილიონობით დოლარს ხარჯავენ, რომ ამგვარი დამნაშავეები შეინახონ ციხეში.**

ACLU-ს მონაცემებით, 22 წლის პატრიკ მეტიუსი დააპატიმრეს სამუშაო ინსტრუმენტების მოპარვის ბრალდებით. ამერიკული კანონების შესაბამისად, მან სამუდამო პატიმრობა მიიღო სასჯელად იმისთვის, რომ 17 წლის ასაკში გატეხა კარი და ჩაიდინა ქურდობა, ამასთან, დანაშაულის ჩადენისას არ იყო შეიარაღებული. მოსამართლეთაგან ერთ-ერთმა, განიხილავდა რა პატრიკის მიმართვას, განაცხადა, რომ **„ამ ბიჭის აუცილებელი დასჯა, მისი აზრით, არ ნიშნავს მართლმსაჯულების აღსრულებას“.** თავად პატრიკი ამბობდა: **„ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. ერთხელ რაღაც შემეშალა და მკვლელებთან გამათანაბრეს“.**

ტერეზა გრიფინი პირველი დარღვევისთვის სამუდამოდ გაამწესეს ციხეში. იგი 26 წლის და შვიდი თვის ორსული იყო, როდესაც თავისი ახლობლის 38500 დოლარი ნაღდი ფულითა და კოკაინით დააკავეს. გრიფინის თქმით, ყოფილმა შეყვარებულმა სცემა და მოკვლით ემუქრებოდა. ეჭვიანობის გამო უკრძალავდა სკოლასა და სამსახურში სიარულს. მისივე თქმით, ეს კაცი მას ტეხასი-ოკლაჰომას გზაზე ნარკოტიკების ტრანსპორტირებისთვის იყენებდა. ქალს ნარკოტიკების გაყიდვის შემდეგ ნაღდი ფული მიჰქონდა. **გრიფინი უკვე 22 წელია ციხეში ზის და ამბობს: „მესმის, რომ არასწორად მოვიქეცი, მაგრამ ამისთვის მთელი ცხოვრება ხომ არ უნდა წამართვან“.**

ენტონი ჯერომ ჯექსონს ექვსი კლასის განათლება აქვს. მზარეულად მუშაობდა. 44 წლის იყო, როდესაც სასტუმროს ნომრიდან საფულე მოიპარა. პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც მოპარული საკრედიტო ბარათის გამოყენებას ცდილობდა. იმის გამო, რომ მანამდე ორჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისთვის, ეს კაცი სამუდამოდ გამოკეტეს ციხეში ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე.

სტეფანი ივეტ ჯორჯი 23 წლის მარტოხელა დედაა. პოლიციამ მისი სახლის სხვენში დამალული ნარკოტიკები იპოვა. მოსამართლეს არ სურდა, ესოდენ მკაცრი განაჩენი გამოეტანა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან სტეფანის მანამდეც ჰქონდა ორიოდე წვრილმანი კანონდარღვევა.

შარანდუ პარლერ ჯონს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს კოკაინის გავრცელების შეთანხმების გამო. მთელი ბრალდება მისივე თანამოაზრეების ჩვენებებს ეყრდნობოდა, მათ კი ამ ჩვენებებით საკუთარი სასჯელები შეიმცირეს. შეთქმულების შესახებ საქმის ფარგლებში სულ 105 ადამიანი დააკავეს. გარდა სატელეფონო ზარისა, რომელშიც ორი სახელისუფლო ინფორმატორი მონაწილეობდა, მის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. **ეს ქალი, უკვე 14 წელზე მეტია, ციხეში ზის. თვეში გამოყოფილ 300 წუთ სალაპარაკო დროს ზუსტად თანაბრად ანაწილებს და ყოველ დღე 10-10 წუთით ესაუბრება თავის ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც მხოლოდ 9 წლის იყო შარანდუს დაპატიმრებისას.**

ტიმოთი ჯექსონიც სამუდამო პატიმარია ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე. ამ ადამიანმა მაღაზიაში 159 დოლარად ღირებული ქურთუკი მოიპარა. ქურდობა ახალი ორლეანის უნივერმაღში მოხდა 1996 წელს. იმ პერიოდში ამგვარი დანაშაულისთვის, თუ მისი ჩამდენი ადრე ნასამართლევი არ იყო, სასჯელი მხოლოდ 2-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა, ახლა კი 6 თვემდეა შემცირებული ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით. მაგრამ ტიმოთის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევამდე 20 წლით ადრე, ჯერ კიდევ არასრულწლოვნების პერიოდში მან იარაღის გარეშე ძარცვა განახორციელა და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ორჯერ გაიტაცა ავტომანქანა.

ეს საკმარისი აღმოჩნდა ამ ადამიანის ცოცხლად დასამარხად. ჯექსონი უკვე 16 წელის ციხეში ზის. **„თითქოს მკვლელობისთვის ჩამსვეს ციხეში. არადა, მათ ჰყავთ ადამიანები, რომლებმაც მკვლელობისთვის გაცილებით ნაკლები სასჯელი მიიღეს, ვიდრე მე. 159-დოლარიანი ქურთუკი — ვინმეს რომ ეთქვა, ამის გამო სამუდამოდ ციხეში გამომკეტავდნენ, არ დავიჯერებდი“,** — ამბობს ჯექსონი.

**ACLU-ს უფლებადამცველების განცხადებით, არაძალადობრივი დანაშაულებების გამო განაჩენების გადახედვით გადასახადების გადამხდელების სახსრებიდან, სულ მცირე, 1 მილიარდ 784 მილიონი დოლარი დაიზოგება. უფლებების დაცვის ამერიკული კავშირის შეფასებით, მხოლოდ ფედერალური პენიტენციალური სისტემა 1,2 მილიარდი დოლარის ეკონომიას გააკეთებს. რაც შეეხება თითო ადამიანის სამუდამო პატიმრობას, ვთქვათ, ლუიზიანის შტატში, გადასახადების გადამხდელებს მისი შენახვა დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი უჯდებათ.**

შეგახსენებთ, ამჟამად აშშ მთელ მსოფლიოში ლიდერობს პატიმრების რაოდენობის მიხედვით: 100 ათას მოქალაქეზე 730 პატიმარი მოდის, ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრის მონაცემების მიხედვით. ამერიკულ ციხეებში დაახლოებით 2,2 მილიონი ადამიანი იხდის სასჯელს.

**topwar.ru**

**აშშ მთელ მსოფლიოში ლიდერობს პატიმრების რაოდენობის მიხედვით: 100 ათას მოქალაქეზე 730 პატიმარი მოდის, ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრის მონაცემების მიხედვით. ამერიკულ ციხეებში დაახლოებით 2,2 მილიონი ადამიანი იხდის სასჯელს**

ACLU
AMERICAN CIVIL LIBERTIES UNION

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ გოგონა საძმოს შტაბ-ბინაში გამართულ წვეულებაზე მოდის, მას ალკოჰოლის ან სხვა „არგუმენტების“ გამოყენებით აუცილებლად დაიყოლიებენ სექსზე. ეს საძმოში გაწევრების კანდიდატების ამოცანაა. ამასთან, გაწევრების რიტუალი ხშირად წარმოადგენს ჯგუფურ სქესობრივ აქტს და მას ვიდეოზე იღებენ. საძმოს წევრებს შეუძლიათ გაამხნევონ ახალი კანდიდატი. ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში ანალოგიურ პრაქტიკას „ვეშაპებზე ნადირობა“ ეწოდება.**

# აშშ-ში ყოველი მეოთხე სტუდენტი გოგონა ძალადობის მსხვერპლია

**ამერიკულ უმაღლეს განათლებას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს ე. წ. სტუდენტური საძმოების გარეშე. სხვა ყველაფერთან ერთად, ამ საძმოების დაუწერელი წესდებები ხშირად წევრებისგან ითხოვენ, თავი „ნამდვილ მამაკაცებად“ წარმოაჩინონ და სხვა „გმირობებთან“ ერთად ორგიებში მიიღონ მონაწილეობა.**
**გასაკვირი არ არის, რომ დღეს სექსუალური ძალადობის პრობლემა სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში აშშ-ში უკვე სოციალურ ეპიდემიადაა აღიარებული.**

ეს საგაზაფხულო სემესტრის დროს მოხდა. ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის პირველკურსელი ლაურა დანი წავიდა წვეულებაზე, სადაც საკმარისზე მეტი სასმელი დალია. მისი თქმით, მან იმ დღეს ცხოვრებაში სულ მეორედ დალია ალკოჰოლური სასმელი. მისივე ჯგუფიდან ორმა ბიჭმა გოგონას საკმარისზე მეტი „ყურადღება დაუთმო“ და რაღაც მომენტში ლამის ძალით წაათრიეს „სხვა წვეულებაზე“. გოგონა შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა თანაჯგუფელებს, მაგრამ ბიჭებმა ხელში აყვანილი მიიყვანეს რაღაც ბინაში და გააუპატიურეს...

**სტატისტიკა ცინიკური და მომაკვდინებელია:**

**ამერიკელი სტუდენტი გოგონების 25% სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში გაუპატიურების მსხვერპლი ხდება.**

**ამერიკელი სტუდენტი ბიჭების 60% აბსოლუტურად მისაღებად თვლის გაუპატიურებაში მონაწილეობას.**

**მოძალადეებად იდენტიფიცირებული სტუდენტების 78% ძალადობის აქტის ჩადენამდე იცნობდა მსხვერპლს ან მის მეგობრებს.**

**ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებში ყველა გაუპატიურების 90% ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად ხდება.**

**გაუპატიურებათა 47% გოგონებისთვის სხეულის დაზიანებებით მთავრდება.**

ამ ყველაფერთან ერთად, ფსიქოლოგიის პროფესორის — კრისტინა ჰოფ სომერსის აზრით, ანალოგიური ხშირად ციტირებადი სტატისტიკა, რომელსაც შემოკლებულად „ყოველ მეოთხესაც“ უწოდებენ ხოლმე, მნიშვნელოვანწილად შემცირებულია. გამოკითხვის ფურცლები ხომ ისეა შედგენილი, რომ ანგარიშში ხვდება მხოლოდ ის გაუპატიურებები, რომელთა დროსაც მსხვერპლი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამგვარად, **შედეგებში პრაქტიკულად არ არიან გათვალისწინებულნი ის გოგონები, რომლებსაც სექსუალური კავშირი აიძულეს იმ ეშმაკური კომბინაციებით, რომლებშიც ასე გაწაფულნი არიან და რომელსაც ესოდენ ხშირად მიმართავენ სტუდენტური საძმოების წევრები.**

სტუდენტურ გარემოში სექსუალური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, ცხადია, „პაემანზე გაუპატიურებაა“. საუბარია ძალადობის იმ ფორმაზე, რომლის დროსაც მოძალადე იცნობს მსხვერპლს და ამ შემთხვევაში ისინი, თანაჯგუფელები თუ არა, ერთი სასწავლებლის სტუდენტები მაინც არიან ხოლმე. დანაშაულის ეს სახეობა სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში ერთ-ერთ ყველაზე რთულად რეგისტრირებად დანაშაულად ითვლება. **ტერმინი „გაუპატიურება პაემანზე“ ასევე ცნობილია, როგორც „ფარული გაუპატიურება“ და დღეს ამერიკის საზოგადოება მას მზარდ პრობლემად აღიარებს.**

საკმარისია, აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში თავაშვებული სმის პრობლემასთანაა გათანაბრებული. ალკოჰოლი, როგორც ცნობილია, საფუძველს ქმნის იმ სარისკო ქცევისთვის, რომელიც საღ გონებაზე უადგილოდ ჩაითვლებოდა. სწორედ ამის გამოა, რომ **კვლევებმა მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება აჩვენა ალკოჰოლის მოხმარების ზრდასა და სექსუალური ძალადობების რაოდენობის ზრდას შორის ამერიკის ახლგაზრდობას შორის. ასევე არ არის შემთხვევითი ისიც, რომ იმ გოგონების 59%, რომლებიც თანაკურსელებთან ერთად სვამენ ალკოჰოლურ სასმელებს, პირველი სემესტრის დასრულებამდე ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოძალადეები, მართალია, სპირტიან სასმელებს იყენებენ იმისთვის, რომ გოგონებს ქმედუნარიანობა დააკარგინონ ან უბრალოდ ადვილად ხელში ჩასაგდებად აქციონ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავი ინსტრუმენტიდან, რომლებიც მოძალადეების არსენალშია თავმოყრილი. ამის შესახებ ფსიქოლოგი დევიდ ლისაკი იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებს, რომელიც ოც წელზე მეტი დროის მანძილზე სტუდენტებს შორის ძალადობის შესწავლის შედეგად დაუგროვდათ. ლისაკი პო-




**«ისეთი დახურული საზოგადოებების ფარგლებში ჩადენილი გაუპატიურებების უმეტესობა, როგორიც სტუდენტური საერთო საცხოვრებლებია, სერიული მოძალადეების ნახელავია»**

ტენციური მსხვერპლის „დამუშავების“ სტრატეგიების სრულ არსენალს იძლევა: **ურთიერთობის იმიტირება, თანაკურსელების აზრით, ზეწოლა, დაშინება და ბოლოს ფიზიკური ძალა. ყველაფერი ისე ეწყობა, რომ, თუ საქმე საუნივერსიტეტო ან პოლიციურ გამოძიებამდე მიდის, მსხვერპლის არგუმენტები, უბრალოდ, არ ჭრის.**

არანაკლებ საინტერესოა მეორე დასკვნაც, რომელსაც დევიდ ლისაკი კიდევ ერთ ფსიქოლოგთან — პოლ მილერთან ერთად ჩატარებული სამუშაოების შემდეგ აკეთებს: **„ისეთი დახურული საზოგადოებების ფარგლებში ჩადენილი გაუპატიურებების უმეტესობა, როგორიც სტუდენტური საერთო საცხოვრებლებია, სერიული მოძალადეების ნახელავია“.**

ეს დაკვირვება პირდაპირ კავშირშია ამერიკული სტუდენტური საძმოების კულტურასთან, ასევე მათ ფაქტობრივ ავტონომიურობასთან იმ უმაღლესი სასწავლებლების ფარგლებში, რომელსაც განეკუთვნებიან. **საძმოთაგან ყველაზე სახელგანთქმული არის „ქალა და ძვლები“ — იელის უნივერსიტეტის სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოება.**

ოფიციალური მონაცემე-




**საძმოთაგან ყველაზე სახელგანთქმული არის «ქალა და ძვლები» — იელის უნივერსიტეტის სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოება**

ბით, **ყველა გაუპატიურებათა დაახლოებით 15% და კიდევ სექსუალური ძალადობების მეოთხედი ჯგუფური ხასიათისაა. ამასთან, მათგან 70% სტუდენტური საძმოების ჩადენილია.** მიზეზთა შორის არის ახალი წევრების მიღება, ნარკოტიკების გამოყენება, ალკოჰოლი, ლიდერული ამბიციების განმტკიცება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ, სტატისტიკის მიხედვით, **საძმოების წევრები სხვა სტუდენტებზე ხშირად არიან მოძალადის როლში გაუპატიურების სცენებში და არც თუ ყოველთვის ჯგუფური გაუპატიურებისა.** სოციოლოგ მაიკლ კიმელას აზრით, **„ძმური“ გაუპატიურებები არის მამაკაცურობის გამოხატვის ცერემონიული აქტი.** თავის მხრივ, ანთროპოლოგი პეგი რივზ სანდეი აღნიშნავს, რომ **ამ მეთოდით ახალგაზრდები ამტკიცებენ საკუთარ ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.**

თავად საძმოში გაწევრების რიტუალი დაახლოებით ასე ხორციელდება: **თუ გოგონა საძმოს შტაბ-ბინაში გამართულ წვეულებაზე მოდის, მას ალკოჰოლის ან სხვა „არგუმენტების“ გამოყენებით აუცილებლად დაიყოლიებენ სექსზე. ეს საძმოში გაწევრების კანდიდატების ამოცანაა. ამასთან, გაწევრების რიტუალი ხშირად წარმოადგენს ჯგუფურ სქესობრივ აქტს და მას ვიდეოზე იღებენ. საძმოს წევრებს შეუძლიათ გაამხნევონ ახალი კანდიდატი. ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში ანალოგიურ პრაქტიკას „ვეშაპებზე ნადირობა“ ეწოდება. პორნოსაიტები სავსეა ამგვარი ვიდეოებით.**

სამწუხაროდ, ამერიკელ სტუდენტთაგან მხოლოდ 10% ატყობინებს სამართალდამცველებს გაუპატიურების შესახებ.

**„საქმე ისაა, რომ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები სიტყვიერად მხარს უჭერენ ძალადობის მსხვერპლთ, სინამდვილეში კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოძალადეები გაამართლონ და ძალადობის ფაქტი დამალონ“,** — ამბობს ანჟელა როუზი, რომელიც თავის დროზე სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში გაუპატიურების მსხვერპლი გახდა. გამაოგნებელია, მაგრამ ჟურნალისტების მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ **კოლეჯები თითქმის არასდროს რიცხავენ სტუდენტებს, რომლებიც სექსუალურ მოძალადეებად არიან აღიარებულნი. პირიქით, ყველაზე ხშირად სწორედ მსხვერპლი ხდება მტრული დამოკიდებულების მსხვერპლი და სწორედ ის ტოვებს სასწავლებელს.** ▶

ამერიკაში ჯერ ევროპის დონეზე არ მძვინვარებს ფაშიზმი, იქ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფა და სამედიცინო დაზღვევა. საუბედუროდ, ევროპამ გადაწყვიტა, საპირისპირო მიმართულებით იაროს და ყველაზე ძველი ისტორიული კონფლიქტები და მტრობა გააცოცხლოს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არსებობს თუ არა ქვეყანაში უნივერსიტეტი, რომელიც მზადაა, გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა საერთო საცხოვრებლებში ძალადობის თავიდან ასაცილებლად და გასაკიცხად?“ — უჩნდება კითხვა NBC News-ს, რომელიც ხუთი უბედური გოგონას ამბავს ყვება. ვირჯინიის, ჯორჯთაუნის, ოჰაიოს უნივერსიტეტების, ასევე უილიამისა და მერის კოლეჯის სტუდენტები სამართლიანობის აღდგენის ძებნისას უმაღლესი სასწავლებლების ჩინოვნიკების მხრიდან აშკარა წინააღმდეგობას გადააწყდნენ.

**„კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელობებს ძალიან ეშინიათ, რომ გაუპატიურების შესახებ ინფორმაცია სასწავლებლის კედლებს მიღმა გაჟონავს და მომდევნო სასწავლო წლისთვის აბიტურიენტების ნაკლებობის წინაშე აღმოჩნდებიან; ასევე ეშინიათ სტუდენტების მშობლებისა და სპონსორების მხრიდან მოსალოდნელი შეკითხვების“,** — აცხადებს საუნივერსიტეტო ქალაქ ოჰაიოს უსაფრთხოების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი დანიელ კარტერი.

**„არარეალურია, უმაღლესი სასწავლებლებისგან ველოდოთ აქტივობას სექსუალური მტაცებლების დაჭერის საქმეში. ეს, უბრალოდ, არ არის მათი ძირითადი მისია. უმაღლესი სასწავლებლები ის ადგილია, რომლებშიც ახალგაზრდები საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას სწავლობენ“,** — აცხადებს სტეტსონის უნივერსიტეტის იურისტი ლიტერ ლეიკი. ასე რომ, ამერიკაში მოძალადეების დასჯა „ძირითადი მისია“ არ არის.

**„დაიმახსოვრეთ, უმაღლესი სასწავლებელი არ არის თქვენი მეგობარი და ყველა ბიუროკრატს, რომელსაც აქ ხედავთ, დავალებული აქვს, დაიცვას ის თქვენივე საჩივრებისგან. აქაური ჩინოვნიკების ყველა პროცედურა გამიზნულია მხოლოდ იმისთვის, რომ გაუპატიურებების შემთხვევები ხალიჩის ქვეშ დამალონ, შეზღუდონ ზარალის მასშტაბები და მოსპონ მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება თავად სასწავლებლის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული“,** — ასკვნის კლერ პოტერი.

რა თქმა უნდა, უნდა ვაღიაროთ, რომ აშშ-ში მოქმედებს კანონი, რომელიც უნივერსიტეტებსა და კოლეჯებს გაუპატიურებათა პროფილაქტიკას ავალებს, მაგრამ რეალობაში ყველაფერი უტოლდება დემონსტრაციულ აქციებს, მაგალითად, ყოველწლიურ „გაცნობიერების კვირას“. თუ პრობლემის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, მსგავსი კვირეულები სხვა არაფერია, გარდა მიცვალებულის გულზე დაწყობილი ყვავილებისა.

**დღეს აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში 20 მილიონი ახალგაზრდა სწავლობს. მათგან 57%-ს სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ. ამ გოგონების მეოთხედს სწავლის დასრულებამდე სექსუალური ძალადობა ელის.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასახიჩრებული ბედის ადამიანების რაოდენობა ამერიკაში ასი ათასობითაა.

fbii.org

# მკაცრი ეკონომიის პოლიტიკამ ამერიკა, შესაძლოა, ფაშიზმამდე მიიყვანოს

**ამერიკაში სოციალური პროგრამებისა და სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება ფაშიზმის ზრდას განაპირობებს. ამერიკის პოლიტიკური სისტემა თავის ახლანდელ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ამაზრზენად გამოიყურება, მაგრამ შეხედეთ, რა ხდება ატლანტის ოკეანის მიღმა. კონტინენტზე ეკონომიის ხანგრძლივი პოლიტიკისა და ხელისუფლების უუნარობის გამო, როგორმე გაუმკლავდეს უმუშევრობას, ნელ-ნელა იკრებს ძალებს მემარჯვენე ტალღა — ნეოფაშისტური პარტიები.**



თუ ეკონომიის მომხრენი თავისას მიაღწევენ, აშშ-საც იმავე მიმართულებით ელის გზის გაგრძელება. ევროპა იმის ნათელი მაგალითია, თუ რა ხდება, როდესაც რესპექტაბელურ პარტიებს არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან არ ძალუძთ, ხალხს ცხოვრება შეუმსუბუქონ. ექსტრემისტები სარგებლობენ შესაძლებლობით, გაიმყარონ პოზიციები და სიტუაცია მალე მახინჯდება.

**ევროკავშირში ევროპული ქვეყნების გაერთიანებას ბოლო უნდა მოეღო მეომარი ნაციონალისტური მოძრაობებისთვის. ევროკავშირის წევრები უნდა აყვავებულიყვნენ პერსპექტივაში, მაგრამ ახლა ისეთ ქვეყნებში, როგორიც საბერძნეთი და ესპანეთია, პოლიტიკაში სრული განხეთქილებაა, ეკონომიკაში კი — ჩიხი.**

**მაღალი რანგის დანიშნული ჩინოვნიკები ბრიუსელში პირდაპირ ჰაერიდან იღებენ რაღაც ციფრებს, შემდეგ კი ამ ციფრებზე დაყრდნობით პოლიტიკოსები სხვა ქვეყნებს მოუწოდებენ, შეამცირონ დახმარებები, ხელფასები, სამუშაო ადგილები და ასე შემდეგ**



ევროს შემქმნელები რაღაცით ჰგავდნენ იმ მშობლებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე დაქორწინდნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ერთმანეთთან აკავშირებდნენ ძალზე განსხვავებული პოლიტიკური კულტურისა და ეკონომიკის ქვეყნებს. მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ დროთა განმავლობაში პარტნიორები ერთმანეთს შეეგუებოდნენ და მჭიდრო კავშირი ჩამოუყალიბდებოდათ.

ევროკავშირი ფსონს დებდა სამმაგ — ეკონომიკის, პოლიტიკისა და ხალხთა კონვერგენციაზე. როდესაც ევრო იქმნებოდა, ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ევროზონაში ვაჭრობისა და ინვესტიციის ზრდა შექმნიდა ნამდვილად ერთიან ევროპულ ეკონომიკას, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმოებისა და მოხმარების დონეები ნელ-ნელა გათანაბრდებოდა.

ასევე ირწმუნებოდნენ და, სავარაუდოდ, ეს მხოლოდ იმედი იყო, რომ ევრო პოლიტიკურ ერთიანობასაც უზრუნველყოფდა. თუ ევროპელები ერთსა და იმავე ბანკნოტებსა და მონეტებს გამოიყენებდნენ, უმალ გააცნობიერებდნენ, თუ რამდენი საერთო აქვთ, გამოიმუშავებდნენ საერთო იდენტურობას და გააღრმავებდნენ პოლიტიკურ ურთიერთკავშირებს. ერთიანი ვალუტის შემქმნელები ასევე იმედოვნებდნენ, რომ ელიტის შეხედულებები საზოგადოებრივ აზრს დაუახლოვდებოდა. მათ იცოდნენ, რომ მთელ რიგ საკვანძო ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, საზოგადოება არ იზიარებდა ელიტის ენთუზიაზმს ევროსთან მიმართებაში. მაგრამ ისინი იმედოვნებდნენ, რომ დროთა განმავლობაში სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლებოდა.

სწორედ ამ ტკბილ ოცნებებში მწარედ ჩაერია რეალობა. **თავიდან ადამიანები ბრიუსელიდან მომავალ განკარგულებებს იმ წვრილმან შეფერხებებად აღიქვამდნენ, რომლებიც დროდადრო მნიშვნელოვნად ურთულებდა მათ ცხოვრებას. ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა, თუ რომელი ცხიმები შეიძლებოდა ყოფილიყო შოკოლადის შემცველობაში, უფრო დაცინვის საგანს წარმოადგენდა, ვიდრე მღელვარებისას. ევროკომისია ჰგავდა რაღაც ძალიან შორეულს, რასაც აბსოლუტურად არანაირი კავშირი არ გააჩნდა ევროპის ქვეყნების უმეტესობის ხალხთა ცხოვრებასთან. მაგრამ 2008 წლის დიდმა რეცესიამ ყველაფერი შეცვალა. ევროპულ ორგანოებში გაიმარჯვა ეკონომიის დამღუპველმა კურსმა. საბერძნეთისგან, პორტუგალიისგან, ესპანეთისგან, ირლანდიისგან და სხვა ქვეყნებისგანაც დაიწყეს საბიუჯეტო ხარჯების შემცირების მოთხოვნა. შედეგები საზარელი აღმოჩნდა.**

პოლიტიკურ დონეზე ევროზონის სტაბილიზაციის შესახებ პაქტის მოქმედებაში მოყვანით დაკავებულნი იყვნენ, ძირითადად, ბიუროკრატები — ეგრეთ წოდებული სამეულები, რომლებშიც საკვანძო როლს მსოფლიო სავალუტო ფონდისა და ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები ასრულებდნენ, ანუ ინსტიტუტები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას. ისინი ადგენენ „საბიუჯეტო წესებს“ ისე, რომ გამოდიან რაღაც თავისუფალი ციფრებიდან, რომლებიც არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არავის დაუსაბუთებია.

აი, ერთი კარგი მაგალითი. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, **ავბედითი „წესები“, რომლებიც ადგენენ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს და რომლებზეც ლოცულობდნენ როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეებიც, საფრანგეთის ექსპრეზიდენტის — ფრანსუა მიტერანის მთავრობის ერთ-ერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკის მოფიქრებულია.** ამ იდეის წარმოშობის შესახებ მისმა ავტორმა ასე ბრძანა:

**„3%-იანი ზღვარი ერთ საათზე ნაკლებ დროში მოვიფიქრეთ, ყოველგვარი თეორიული განსჯის გარეშე. მიტერანს, უბრალოდ, ნორმა ესაჭიროებოდა, ნორმა, რომელსაც მინისტრებთან დავისას გამოიყენებდა, როდესაც ეს უკანასკნელნი მასთან ფულის სათხოვნელად მივიდოდნენ... ჩვენ რაღაც მარტივი გვჭირდებოდა. რატომ მაინცდამაინც 3%? ეს კარგი რიცხვი იყო, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო და რაღაცით სამებასაც მოგვაგონებდა“.**

მაშ ასე, **მაღალი რანგის დანიშნული ჩინოვნიკები ბრიუსელში პირდაპირ ჰაერიდან იღებენ რაღაც ციფრებს, შემდეგ კი ამ ციფრებზე დაყრდნობით პოლიტიკოსები სხვა ქვეყნებს მოუწოდებენ, შეამცირონ დახმარებები, ხელფასები, სამუშაო ადგილები და ასე შემდეგ.** რა გამოდის შედეგად? ათენში, მადრიდსა და რომში ხალხი უკვე იხოცება არეულობების დროს. საფრანგეთში უკმაყოფილო ამომრჩეველმა მარინ ლე პენი საპრეზიდენტო არჩევნებზე წარმატებით უზრუნველყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნეონაციონალური ფრონტის კანდიდატი იყო. თუ ამ ადამიანის გვარი ნაცნობად მოგეჩვენებათ, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ჩვენ წინაშე მემკვიდრეობითი ფაშიზმის ნათელი მაგალითია. ეს ქალბატონი არის ფრანგი პოლიტიკოსის — ჟან-მარი ლე პენის უმცროსი ქალიშვილი, ეს უკანასკნელი კი „ნაციონალური ფრონტის“ პრეზიდენტი იყო და ახლა ამავე პარტიის საპატიო თავმჯდომარეა. გასულ წელს მარინ ლე პენმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ხმათა 18% დააგროვა და მესამე ადგილი დაიკავა არჩევნებში გამარჯვებული ფრანსუა ოლანდისა და მისი წინამორბედი ნიკოლა სარკოზის შემდეგ.

**ევროკავშირის წინააღმდეგ მომართული იმავე ტიპის პარტიები, როგორიც ლე პენისაა, ახლა კონტინენტური ევროპის მრავალ ქვეყანაში აყვავების გზაზეა. და ისინი სწორედ იმის გამო ძლიერდებიან, რომ ძირითადი პარტიები განაგრძობენ იმ მასშტაბული სოციალური უბედურებების ღიად იგნორირებას, რომლებიც მათვე მოაწყვეს საკუთარი პოტენციური ამომრჩევლებისთვის.** როგორც ახლახან New York Times-ი იტყობინებოდა, ულტრამემარჯვენე პარტიები სწრაფად იკრებენ პოლიტიკურ ძალებს:

**„საფრანგეთში, ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემების თანახმად, პარტიებს შორის ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა ულტრამემარჯვენე „ნაციონალური ფრონტი“. სხვა ქვეყნებში — ავსტრიაში, ბრიტანეთში, ბულგარეთში, ჩეხეთში, ფინეთში და ნიდერლანდებში — ასევე ძლიერდებიან პირველ პლანზე მოულოდნელად გამოსული დესტრუქციული პოლიტიკური ორგანიზაციები“.**

ახლა ევროპელი ლიდერები საუბრობენ სრულფასოვან პოლიტიკურ კავშირზე გადასვლის შესახებ („ევროპის შეერთებული შტატები“), მაგრამ ამავე დროს ისინი უარს არ ამბობენ ეკონომიის კულტურაზე, რომელიც აძლიერებს ისედაც გაბატონებულ სოციალურ სტრესებს და პოლიტიკურ მეინსტრიმს პოპულისტების დარტყმის ქვეშ აყენებს.

ამ ყველაფერთან ერთად **დრო ევროპული ხელისუფლებების წინააღმდეგ მოქმედებს. კერძო დავალიანების დონე კვლავაც ძალიან მაღალია და პოლიტიკოსებს უკვე ადარებენ დიდი დეპრესიის პირობებში ვალის სრულფასოვანი დეფლირება, რაც კიდევ ერთ დაკარგულ ათწლედს გააჩენს.** სწორედ იმიტომ, რომ წინ აღუდგნენ ამას, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ახლახან შეამცირა საპროცენტო განაკვეთები, მაგრამ რეალური ეფექტის მისაღწევად, როგორც ჩანს, საჭირო იქნება ისეთი საბიუჯეტო პოლიტიკის შემოღება, რომელიც წინ აღუდგება შემოსავლების შემცირებას და ზურგს გაუმაგრებს ცხოვრების სტანდარტებს.

ეს მთავარი მიზეზია იმისა, რომ **ამერიკაში ჯერ ევროპის დონეზე არ მძვინვარებს ფაშიზმი, იქ ჯერ კიდევ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფა და სამედიცინო დაზღვევა. საუბედუროდ, ევროპამ გადაწყვიტა, საპირისპირო მიმართულებით იაროს და ყველაზე ძველი ისტორიული კონფლიქტები და მტრობა გააცოცხლოს.** თუმცა, შესაძლოა, ამერიკასაც იგივე ბედი ეწიოს, თუ ანალოგიურ გზას დაადგება და მერე მას „ჩაის სმის მოძრაობა“ ისეთივე უვნებლად მოეჩვენება, როგორიც ჩაის სმაა.

AlterNet

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ათასფერი სიმინდი

**ერთი შეხედვით ფერად კანფეტებს ან შუშის მძივებს წააგავს, მაგრამ სინამდვილეში ეს სიმინდია, რომელიც ადგილობრივმა ამერიკელმა ფერმერმა, კარლ ბარნსმა, ბუნებრივი მეთოდებით გამოიყვანა.** ულამაზესი მცენარე უცებ გახდა პოპულარული და ფერმერს კლიენტების რიგი დაუდგა — უამრავ ადამიანს სურდა, საკუთარი ბაღი დაემშვენებინა ასეთი ფერად-ფერადი სიმინდით.





## სიცილი ბავშვებში აზროვნებას ავითარებს

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სიცილის დროს ბავშვს თავის ტვინის ის არეალი უაქტიურდება, რომელიც შემოქმედებითი უნარებისა და კრეატიული აზროვნების განვითარებასთანაა დაკავშირებული.**

მეცნიერების გამოთვლით, ბავშვები დღეში დაახლოებით 300-ჯერ იღიმიან და იცინიან, მაშინ, როცა მოზრდილები ამას დღეში 15-20-ჯერ აკეთებენ. ამასთან, მრავალრიცხოვანი კვლევები ცხადყოფს, რომ დადებითი ემოციები ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და იმუნიტეტს აძლიერებს. ბავშვებს კი სიცილი ცხოვრების ყველაზე ადრეულ ეტაპზე ჰარმონიული განვითარებისთვის სჭირდებათ.



აღნიშნული პროცესი ბავშვის ტვინის ორივე ნახევარსფეროში ხდება, მოზრდილებისგან განსხვავებით. მათ შემთხვევაში, აქტიურობა მხოლოდ მარცხენა ნახევარსფეროში მატულობს.

ნაშრომის ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის დადებითი ემოციები აუცილებელია. სწორედ ამაზეა დამოკიდებული ბავშვის განვითარების ჰარმონიულობა.

ამიტომ სპეციალისტები მშობლებს ურჩევენ, ბავშვები საბავშვო ღონისძიებებზე ხშირად ატარონ და მათთან ერთად მხიარული ფილმები ნახონ.

## რესტორანი, რომელშიც საუბარი აკრძალულია

**თანამედროვე ცხოვრების რიტმი ძალიან სწრაფია და ხშირად გვიჩნდება სურვილი, რამდენიმე წუთით მაინც შევძლოთ მშვიდად განმარტოება.** კაფესა თუ რესტორნებში ყოველთვის ხმაურია. თუმცა მათ, ვისაც სადილობა სიჩუმეში სურს, ნიუ იორკში მდებარე რესტორან „ჭამას“ უნდა ესტუმროს. დაწესებულებაში იძულებული ხარ, არ ილაპარაკო და მხოლოდ ჭამო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუჩაში გაგიძახებენ. თუნდაც მეგობრებთან ერთად მიხვიდეთ, მაგიდის გარშემო ყველა ჩუმად უნდა იჯდეს.

**„როდესაც ჩვენი მზარეულები ასეთ გემრიელ კერძებს ამზადებენ, რატომ უნდა დახარჯოთ დრო საუბარში?“** — ამბობს დაწესებულების მფლობელი. რესტორანში ყოველთვის ხალხმრავლობაა, მაგრამ სამარისებული სიჩუმე სუფევს.



## შვილიშვილები პელეს სასამართლოში უჩივიან

**72 წლის ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელ პელეს შვილიშვილები სასამართლოში უჩივიან.** 13 წლის ოქტავიო და 15 წლის გაბრიელი 6-6 ათას დოლარს ითხოვენ. ისინი სამედიცინო დაზღვევისა და განათლებისთვის საჭირო თანხას საკუთარი ჯიბიდან იხდიან. სიტუაციას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ბავშვების დედა სანდრა რეგინა 2006 წელს სიმსივნით გარდაიცვალა.

როგორც ამბობენ, პელეს შვილიშვილების ნახვის სურვილიც კი არ აქვს. ფეხბურთის მეფემ ისინი ბოლოს 2011 წელს ნახა. სასამართლო გარჩევა ნოემბერში დასრულდება.

ცნობისთვის, ბავშვების დედა, სანდრა რეგინა, პელეს უკანონო შვილი იყო. ფეხბურთელი დიდი ხნის განმავლობაში მას შვილად არ სცნობდა და რეგინას სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლო პროცესი და დნმ-ის ანალიზის ჩაბარებაც დასჭირდა. თუმცა სიმართლის დადგენის შემდეგაც პელე შვილთან თითქმის არ კონტაქტობდა. სანდრამ აღნიშნულ ფაქტს ავტობიოგრაფიული წიგნი „ქალიშვილი, რომელიც მეფეს არ სურდა“ მიუძღვნა.



## ქალი, რომელიც ალკოჰოლით «ორსულდება»

**ინგლისში, იორკშირის საგრაფოში მცხოვრები 35 წლის ქალი, ჯო, ალკოჰოლზე დამოკიდებულია და ღვიძლის ცეროზის დაავადების გამო 9 თვის ფეხმძიმის მუცელი აქვს.**

ყველა ფიქრობს, რომ ქალი ორსულადაა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილს უთმობენ. ჯო ამ უხერხულობის გამო თავს ძალიან ცუდად გრძნობს და ხალხის ერიდება.

ალკოჰოლისადმი გადაჭარბებულმა სიყვარულმა ქალის ღვიძლს სერიოზული ზიანი მიაყენა. პაციენტის მუცლის ღრუ სითხით ივსება და მუცელზე ვენები ექიმება. ის იძულებულია, სამ კვირაში ერთხელ საავადმყოფოში მივიდეს, რათა ექიმებმა სითხე ამოუღონ.

ჯო ალკოჰოლის მსხვერპლი მას შემდეგ გახდა, რაც ბარში დაიწყო მუშაობა. მთელი დღე ალკოჰოლური სასმელებით იყო გარემოცული და ცდუნებას ვერ გაუძლო. 5 წლის განმავლობაში ყოველ დღე 3 ბოთლ წითელ ღვინოს სვამდა, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო.

ექიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 30 წლამდე ახალგაზრდების ალკოჰოლზე დამოკიდებულების სტატისტიკასა და საგანგაშო შედეგებზე საუბრობენ.

## 10 წლის მილიონერი

**ინგლისის მოქალაქე 10 წლის ბიჭუნა კიერონ ვილლიამსონი 4 წლის ასაკიდან ყოფილა გატაცებული სახვითი ხელოვნებით. უკვე 10 წლის ასაკში კი მისი ნაშრომები გაიტანეს ხელოვნების ბაზარზე და ინტერნეტის მეშვეობით 20 წუთში ყველა მათგანი გაიყიდა, თანხამ კი 360 000 ევრო შეადგინა. პარალელურად პერსონალური გამოფენა გამართა, რამაც სოლიდური თანხა მოუტანა და შარშან მისმა ბიუჯეტმა 2 მილიონ ევროს ბევრით გადაამეტა.**

2013 წელს კიერონს 11 წელი შეუსრულდა და მას უკვე მთელი მსოფლიო იცნობს, შესულია ასევე გინესის რეკორდებში. ბრიტანული პრესა მას ზედმეტ სახელად „პატარა ფულს“ ეძახის. კიერონის სურათებს ფართო საზოგადოება არა მარტო ინგლისში, სხვა ქვეყნებშიც იწონებს.











## კბილების გახეხვა ექვს წამში

**მეცნიერებმა 3D პრინტერზე დაბეჭდეს კბილის ჯაგრისი, რომელიც მთელ პირის ღრუს ექვს წამში წმენდს. ამისთვის აუცილებელია ჯაგრისის პირში ჩადება და რამდენიმე წამის განმავლობაში ღეჭვა.**

სამგანზომილებიანი ობიექტის შესაქმნელად კბილის ექიმს პაციენტის ყბის სკანირება დასჭირდება, რომ კბილების ვირტუალური ასლი ატვირთოს. შემდეგ სპეციალისტები, განლაგების მიხედვით, CAD ფაილზე ჯაგრისს ხატავენ და ბეჭდავენ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცხოველები, რომლებიც არასოდეს გინახავთ

მათ, ვინც ფიქრობს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ნანახი აქვს და ვეღარაფერი გააკვირვებს, ფოტოგრაფები საინტერესო გალერეას სთავაზობენ. ფოტოგრაფებმა ოკეანის სიღრმეში, მადაგასკარის ტყეებსა და აფრიკის სავანებში საოცარი არსებები აღბეჭდეს. ამ ფოტოების ნახვისთანავე ჩნდება კითხვა — მართლა არსებობს თუ ფოტოშოპის დამსახურებაა? არავითარი ფოტოშოპი. ამ არსებების გარეგნობაზე მხოლოდ ბუნებამ იზრუნა.































ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მომავლის ავტომობილებისთვის ენერგიის ალტერნატიული წყაროს სახით კომპაქტური ატომური რეაქტორის გამოყენების შესაძლებლობა დღეს სრული სერიოზულობით განიხილება.**



# «ატომური» ავტომობილი



**ავტომობილის გამოჩენის დღიდან ადამიანი გამუდმებით მისი შიდაწვის ძრავის გაბარიტების შემცირებას და ამავდროულად მისი სიმძლავრის გაზრდას ცდილობს. თუმცა, თხევადი საწვავის ღირებულების ზრდა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, ავტომრეწველობის გიგანტებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიებისკენ უბიძგებს.**

ბოლო დროს საავტომობილო გზებზე ჰიბრიდული ან ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების ხილვა სულ უფრო ხშირად შეიძლება. ეფექტურობის მიუხედავად, მათაც საკუთარი მინუსები აქვთ, რაც, პირველ რიგში, მოძრაობის შეზღუდული მანძილით და თავად ავტომობილის მეტისმეტად დიდი ღირებულებით არის განაპირობებული. მომავლის ავტომობილებისთვის ენერგიის ალტერნატიული წყაროს სახით კომპაქტური ატომური რეაქტორის გამოყენების შესაძლებლობა დღეს სრული სერიოზულობით განიხილება. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ადამიანს ბირთვულ სათბობზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებები ემსახურება — ავიამზიდები, წყალქვეშა ნავები, ყინულმჭრელები. სათბობის გამოუცვლელად მათი რეაქტორები ათწლეულების მანძილზე მუშაობენ.

სამოქალაქო ავტომობილებისთვის განკუთვნილი კომპაქტური რეაქტორის შექმნა ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული და, პირველ რიგში, საქმე უსაფრთხოებას ეხება. ამერიკულ კომპანია Laser Power Systems-ს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს. მისი სპეციალისტები რადიოაქტიული თორიუმისგან მიღებული სითბოს ელექტროენერგიაში გარდაქმნის სისტემაზე და ამ სისტემის ავტომრეწველობაში დანერგვაზე აქტიურად მუშაობენ.

კომპანიის პრეზიდენტის — ჩარლს სტივენსონის განმარტებით, 8 გრამ თორიუმში არსებული ენერგია ავტომობილის მოსამარაგებლად მთელი მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში სავსებით საკმარისია. რადიაქტიულ თორიუმზე მომუშავე ავტომობილის კონცეპტუალური პროექტი Cadillac World Thorium Fuel Concept პირველად 2009-ში წარმოადგინეს, თუმცა მას შემდეგ ამ საქმეში რაიმე განსაკუთრებული სიახლეები არ შეინიშნება. ატომური ავტომობილის შექმნის სიამოვნება მრავალი ტექნიკური საკითხის გადაჭრას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი ენერგეტიკული მახასიათებლების მიუხედავად, სამრეწველო მიზნებში თორიუმს პრაქტიკულად არ მოიხმარენ. ამის მთავარი მიზეზი მისი მცირე გავრცელებაა. ქიმიური ელემენტი მხოლოდ აშშ-ში, ავსტრალიასა და ინდოეთში მოიპოვება.



# ჯარიმა სიხარბისთვის

**დააკვირდით, იმაზე მეტს ხომ არ უკვეთავთ რესტორნებში, ვიდრე ჭამა შეგიძლიათ? თუ ასეა, ფრთხილად იყავით, შესაძლოა, დაგაჯარიმონ! ჯერჯერობით ეს ახალი გადასახადი ქართული რესტორნების კლიენტებს არ ემუქრებათ, თუმცა ბევრ ქვეყანაში უკვე მოქმედებს. პირველად ჰონკონგში შემოიღეს, შემდეგ ეს იდეა აშშ-ის რესტორნების ნაწილმაც გაიზიარა და მენიუშიც ჩაწერა (წვრილი შრიფტით), რომ ყოველი შეუჭმელი კერძის ღირებულების 30%-ს კლიენტი ჯარიმის სახით გადაიხდის.**

ბოლო დროს ევროპულმა რესტორნებმაც დაამკვიდრეს ახალი წესი. მაგალითად, ვილნიუსის ჩინურ რესტორანში კლიენტებს თუ ადრე ფიქსირებულ ფასად დიდი თეფში შეეძლოთ გაევსოთ საჭმლით, ახლა ჯერ კარგად ფიქრობენ, შეძლებენ თუ არა ამდენის ჭამას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა მოუწევთ. რესტორნის მეპატრონის თქმით, ეს წესი ეკონომიის გამო კი არ შემოიღო, არამედ საჭმლისადმი პატივისცემის გამო. თუმცა კლიენტები ხშირად თავდაცვით ზომებს მიმართავენ და დარჩენილ საკვებს ხან ხელსახოცების ქვეშ მალავენ, ხან იატაკზე ყრიან.

# «ქარის და წყლის ბარი»

**ეს უჩვეულო ბარი მდებარეობს ვიეტნამში, ბინზიონგის (Binzyong) სამხრეთ პროვინციაში, ერთ-ერთი ტბის შუაგულში. ბარი დაპროექტებულია ვიეტნამელი დიზაინერის — ვონ ტრონ ნიას მიერ და უნიკალურია იმით, რომ მისი მშენებლობის დროს არ გამოუყენებიათ ლურსმანი.**

მრგვალი სტრუქტურის დიამეტრი შეადგენს 15 მეტრს, ხოლო სიმაღლე — 10 მეტრს. ნაგებობა შედგება 42 ნაწილისგან, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან უძველესი იაპონური მეთოდით.

ბუნებრივი განათების წყალობით, რომელიც შედის გუმბათში ხვრელების საშუალებით, პროექტი ეკოლოგიურად უსაფრთხოა. ამით ვიეტნამელი დიზაინერის — ვონ ტრონ ნიას მიერ დაფინანსებული პროექტი „გადავარჩინოთ ბუნება და კულტურა“ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ჩამოსაყალიბებლად პირველ დიდ ნაბიჯს დგამს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით ვენტილაციაც ბუნებრივადაა დამონტაჟებული: მწველი და მძაფრი ჰაერი გარეთ სპეციალური ხვრელების საშუალებით გადის.











# ადამიანის სხეულის ნაწილები განსხვავებული სისწრაფით ბერდება

**ქალების სარძევე ჯირკვლები სხეულის სხვა ნაწილებსა და ორგანოებზე სწრაფად ბერდება. ასეთი დასკვნის გაკეთება სხეულის ნებისმიერი ორგანოს ან ქსოვილის ბიოლოგიური ასაკის გაზომვის განსაკუთრებული ტექნოლოგიით არის შესაძლებელი. ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტმა კვლევა ჩაატარა.** კვლევისას ექსპერტებმა ჯანმრთელი თირკმლის ქსოვილი სარძევე ჯირკვლებს შეადარეს და უკანასკნელი რამდენიმე წლით „უფროსი“ აღმოჩნდა. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, თუ ქალს მკერდის კიბოს დიაგნოზს უსვამდნენ, მაშინ სიმსივნური წარმონაქმნის გარშემო მდებარე ქსოვილები სხვა ქსოვილებზე თითქმის 10 წლით უფროსი იყო. როგორც ჩანს, ონკოლოგიური დაავადებები ბიოლოგიური საათის მსვლელობას 30-40 წლით აჩქარებს, ტვინის კიბო კი — 80 წლით.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჩინეთში ცათამბჯენი-შარვალი ააგეს

**ჩინეთის ქალაქ სუჩჟოუში 300 მეტრის სიმაღლის უჩვეულო ცათამბჯენ Gate of the Orient-ს („აღმოსავლეთის კარიბჭე") აგებენ. იგი გიგანტური თაღის ფორმისაა, მაგრამ ხალხმა მისი არქიტექტურული კონცეფცია თავისებურად წაიკითხა და ალტერნატიული ვერსია შეარჩია: გიგანტური შარვალი.**

შარვალთან მსგავსება მართლაც გასაოცარია, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია RMJM -ის პროექტის ავტორი ბრიტანელი არქიტექტორები არაფერს მსგავსს არ ვარაუდობდნენ, უბრალოდ, ერთმანეთის გვერდით აშენებულია ორი ცათამბჯენი, რომელთაც თაღი აერთიანებთ.

**„პროექტი ქალაქ სუჩჟოუს სიმბოლურ გასაღებს წარმოადგენს და თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთის მნიშვნელობას უსვამს ხაზს",** — განმარტავენ არქიტექტორები. მისი მშენებლობა 2004 წლიდან მიმდინარეობს და დასრულდება მომავალ წელს. მაგრამ თავად ჩინელები პროექტს დასცინიან. შარშან გაზეთმა Shanghai Daily-მ გამოაქვეყნა მასალა სათაურით „ეს თაღია თუ შარვალი?". ჩინეთის მიკრობლოგერები კი ცათამბჯენისთვის „აღმოსავლეთის შარვლის" დარქმევის ინიციატივით გამოდიან.



# მეცნიერებმა ყველაზე ეფექტიანი და სასარგებლო დიეტა დაასახელეს

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბრინჯისა და კეფირის დიეტა ყველაზე სასარგებლო და ეფექტურია ჭარბ წონასთან საბრძოლველად. კეფირი შეიცავს ბევრ ვიტამინს და სასარგებლო მინერალს, ის აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, წმენდს სისხლს და აუმჯებესებს თმისა და ფრჩხილების სტრუქტურას.**

ხოლო ბრინჯს ორგანიზმიდან მარილი და შლაკები გამოაქვს. ასევე, ბრინჯი ხანგრძლივი დროით გვანაყრებს. ბრინჯისა და კეფირის მხოლოდ 3-დღიანი დიეტის შემდეგ 3 კგ-ის დაკლებაა შესაძლებელი.

სასურველია, რომ საჭმელი ერთსა და იმავე დროს მივიღოთ, ამ შემთხვევაში ორგანიზმი ნაკლებ იგრძნობს კალორიების სიმწირეს.

თუმცა, ბრინჯისა და კეფირის ნებისმიერი დიეტა რაციონიდან გამორიცხავს სანელებლებს, შაქარს, მარილს, და სპირტიან სასმელებს. დღეღამის განმავლობაში სასურველია მინიმუმ 1.5 ლ სუფთა წყალი მიიღოთ.



# ქალი, რომელიც 60 წელი «რკინის ფილტვით» სუნთქავდა

**აშშ-ში, ჩრდილოეთ კაროლინაში მცხოვრები მარტა მეისონი ბოლო 60 წელი „რკინის ფილტვით" სუნთქავდა.** ბავშვობაში გადატანილი მძიმე დაავადების გამო ქალი სრულიად პარალიზებული დარჩა და მთელი ცხოვრება გაატარა რკინის სამედიცინო მოწყობილობაში, რომელიც მისთვის ფილტვების ფუნქციას ასრულებდა. მარტა ბავშვობაში პოლიომიელიტით დაავადდა.

მარტას ცხოვრება უცნობ ადამიანებში სევდას იწვევს, მის მიმართ სიბრალულით იმსჭვალებიან, მაგრამ ოჯახის წევრებისთვის ის ყველაზე მხიარული ადამიანია. მიუხედავად ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობისა, მან ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმით იცხოვრა: აქვს სკოლისა და კოლეჯის დიპლომი, აწყობდა სხვადასხვა წვეულებას და წიგნებსაც კი წერდა.

ქალბატონი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ამ მძიმე დაავადებით ასე ხანგრძლივად იცოცხლა.



# ბავშვის ძუძუთი კვება მამაკაცებსაც შეუძლიათ

**დედობრივი მზრუნველობა და ბავშვის ძუძუთი კვება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს პროცესი იმითაა გამორჩეული, რომ დედასა და შვილს შორის განსაკუთრებულ კავშირს ამყარებს, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ძუძუთი კვება ქალების უნიკალურ უნარს არ წარმოადგენს და რიგ შემთხვევებში მამაკაცსაც შეიძლება გამოუმუშავდეს რძე, რომლითაც პატარას გამოკვებავს.**

მეცნიერებაში ცნობილია, რომ მამაკაცის მიერ ბავშვის ძუძუთი კვება არამარტო თეორიულადაა შესაძლებელი, არამედ პრაქტიკაშიც რამდენიმეჯერ განხორციელებულა.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ჰორმონებს ფრიად უცნაური რამეების გაკეთება შეუძლია, ხოლო პროლაქტინი – რძის წარმოებაზე პასუხისმგებელი ჰორმონი – ქალების ექსკლუზიურ საკუთრებას არ წარმოადგენს. ორგანიზმში მისი საკმარისი რაოდენობით გამომუშავების შემთხვევაში კაცებსაც, ქალების მსგავსად, უჩნდებათ რძე. სამეცნიერო ჟურნალი Scientific American საუბრობს ამის 4 შესაძლო მიზეზზე, ესენია: ჰიპოფიზის ჯირკვლის სიმსივნე, დიდი ხნის განმავლობაში ღვიძლის მდგომარეობის გაუარესება (მაგალითად, შიმშილით), ზოგიერთი წამლის მიღება და მკერდის სტიმულაციაც კი.



# 7-წლიანი საქორწილო დიეტა

**შოტლანდიის ქალაქ კალანდერში მცხოვრები 26 წლის კირსტი ტომსონი 7 წელი მკაცრ დიეტას იცავდა და სისტემატურად ვარჯიშობდა, რათა საოცნებო დღეს სასურველ საპატარძლო კაბაში გამოწყობილიყო.**

გოგონა 108 კილოგრამს იწონიდა. 7 წლის წინ 19 წლის იყო, როდესაც შეყვარებულმა ცოლობა სთხოვა, მაგრამ კირსტის არ სურდა, „მსუქანი პატარძალი" ყოფილიყო. მან საკუთარ თავს ულტიმატუმი წაუყენა — სანამ არ გავხდები, არ გავთხოვდებიო. დღეს გოგონა 70 კილოგრამს იწონის. მან 7 წელიწადში 38 კილოგრამი დაიკლო.

„წონაში დაკლების შემდეგ უფრო საინტერესო გავხდი. ცხოვრებაში პირველად შევიძინე საცურაო კოსტუმი და თამამად ჩავიცვი. უბედნიერესი ვარ", — ამბობს კირსტი.



# 800 პაციენტს სხეულში სამედიცინო იარაღები აღმოუჩინეს

**აშშ-ში 800 პაციენტი ოპერაციის შემდეგ ჩარჩენილ სამედიცინო ინსტრუმენტს დღემდე სხეულით ატარებს. ამ მონაცემებს ჯანდაცვის არაკომერციულ ორგანიზაციათა გაერთიანებული კომისია ავრცელებს. ყოფილი პაციენტების ჯანმრთელობა სერიოზული რისკის ქვეშაა.**

ორგანიზაციის მიზანია, გამოიკვლიოს ის გარემოებები, რომელთა გამოც წვრილმანი სამედიცინო დანიშნულების ნივთები (ტამპონი, ნემსი, პინცეტი და სხვ.) პაციენტთა სხეულში რჩება.

**„თუ შესაბამის ზომებს მივიღებთ, ამ შემთხვევების შემცირება შესაძლებელია. ეს იარაღები, შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც გახდეს. ბოლო წლებში ამ მიზეზით 16 ადამიანი გარდაიცვალა",** — აცხადებს კომისიის მთავარი ექიმი ანა პუჯოლს მაკი.

2005 წლიდან დღემდე აშშ-ში ოპერაციის შემდგომ სხეულში ზედმეტი საგნის ჩარჩენის 800-მდე შემთხვევა დაარეგისტრირეს.

# ჯონ კერი შეგვპირდა...



**„ამერიკული მხარე უაღრესად კმაყოფილია საქართველოს დასავლური კურსით; კერძოდ, ამ დღეებში ვილნიუსში შემდგარი ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების ფაქტით“,** — განაცხადა აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, არჩილ გეგეშიძემ, მაია ფანჯიკიძისა და ჯონ კერის შეხვედრის შემდეგ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს. გეგეშიძის თქმით, სახელმწიფო მდივანმა საქართველოს მადლობა გადაუხადა ურყევი კურსისთვის და მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის.

**„მან თქვა, რომ შეერთებული შტატები ყველაფერს იღონებს, რათა საქართველოს მხარი დაუჭიროს ამ პროცესის ეფექტურად გაგრძელებაში“,** — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ნატოში ინტეგრაციის საკითხს, ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას და მათ თვისობრივად ახალ დონეზე აყვანას.

**„გამოითქვა მოსაზრება, რომ გახშირდეს ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტების გაცვლა. ჯონ კერი დაგვპირდა, რომ არაუგვიანეს გაზაფხულისა, ის აუცილებლად ესტუმრება საქართველოს, ასევე შეერთებულ შტატებში ელიან საქართველოს ლიდერებს, პრემიერს, პრეზიდენტს, კონკრეტული თარიღი მოგვიანებით დადასტურდება. არის სრული მზადყოფნა, რათა სრული დინამიზმით ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა და ეს ფორმატები ორმხრივი ურთიერთობისა კიდევ უფრო გაფართოვდეს, გაღრმავდეს და ამისი ნება დღევანდელ შეხვედრაზე მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფო მდივნის მხრიდან“,** — აღნიშნა არჩილ გეგეშიძემ.

# უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).**

# გიორგი მარგველაშვილი მიმართვას ავრცელებს



**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გავრცელდა საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის მიმართვა.**

**3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნება და პრეზიდენტი განსაკუთრებული პატივისცემით მიესალმება მათ.**

„ამ ადამიანთა მდგომარეობა ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს სახელმწიფოს სახეს, საზოგადოების კულტურასა და ღირსებას.

ბუნების კანონია, რომ, თუ ადამიანს რაიმე უნარი ეზღუდება, სანაცვლოდ უეჭველად ებოძება სხვა ნიჭი. ყველა ადამიანშია პოტენციალი, რომელიც მას ღირსეული ცხოვრების, საზოგადოების კეთილდღეობისთვის შრომის საშუალებას აძლევს. საჭიროა ყველა ჩვენგანის — ხელისუფლების, საზოგადოების, თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კოორდინირებული მუშაობა, რათა ყველა პირობა შევქმნათ ამ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენისა და განვითარებისთვის.

მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ვიქნები საზოგადოების ამ ჯგუფის უფლებათა დამცველი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მალე დაიკავებს ადგილს ჩემი პირადი მრჩეველი, რომელიც მიზანმიმართულად იმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემატიკაზე.

ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვუსურვებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენს თანამემამულეებს“, — **აღნიშნულია პრეზიდენტის მიმართვაში.**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)**

# ვანო მერაბიშვილი გაოცებულია



**პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის თქმით, ის გაოცებულია საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ „რაშა თუდეისთვის“ მიცემული ინტერვიუთი.**

როგორც ყოფილი პრემიერი თავის facebook-ის გვერდზე წერს, თეორიულად შეუძლებელია ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის პერიოდში პოლიციის რეიტინგის ორჯერ გაზრდა.

**„ბატონი ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მისი მუშაობის დროს პოლიციის რეიტინგი ორჯერ გაიზარდა. მინდა მას შევახსენო, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ყველა სანდო გამოკითხვის თანახმად, საქართველოს პოლიციის რეიტინგი მერყეობდა 80-90%-ის ფარგლებში. შესაბამისად, მისი ორჯერ გაზრდა თეორიულად შეუძლებელი იქნებოდა“,** — აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

ის მიიჩნევს, რომ კრემლის პროპაგანდისტულ არხებზე, იაფფასიანი ტყუილების გავრცელების ნაცვლად, კარგი იქნებოდა, პრემიერმინისტრს კრიზისში მყოფი ქვეყნის ეკონომიკასა და გაზრდილ კრიმინალზე ეზრუნა.

# ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი

# თეა წულუკიანი თბილისის იუსტიციის სახლის დაზიანებას გამოეხმაურა



**იუსტიციის მინისტრის განცხადებით, „იმ იტალიური კომპანიის წარმომადგენლები, რომელმაც შარშან სახურავი საოცარი სისწრაფით გააკეთეს, თბილისში ხვალ ჩამოვლენ“.**

„იუსტიციის სახლის შესასვლელში, გარე პერიმეტრზე სახურავი ჩამოიშალა ქარის გამო. საბედნიეროდ, არავინ დაზიანებულა. შენობა დაცლილია მოქალაქეებისა და თანამშრომლებისგან. ადგილზე ვიმყოფებით მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, სამაშველო სამსახური. მთავარია, არავინ დაზიანდა, ვინც ამ დროს შესასვლელში შეიძლებოდა ყოფილიყო“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, თბილისის იუსტიციის სახლი მუშაობას, სავარაუდოდ, 4 დეკემბრიდან განაახლებს.

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009